ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა"
+
მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები
ტომი 1
ამერიკული ზღაპრები
6 ლარი

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები 1
ამერიკული ზღაპრები



ორშაბათი, 23 სექტემბერი, 2013 №225 (6226) ფასი: 30 თეთრი

# ნორა კვიციანი: „ოქრუაშვილმა უნდა აღიაროს, ვისი ბრძანებით მოგვიწყო 2006 წელს პროვოკაცია!"



გვ.5



კოდორის მოსახლეობა თავდაცვის ყოფილ მინისტრს პასუხს სთხოვს

## დიმიტრი ლორთქიფანიძე: „ბიძინა ივანიშვილის გუნდი პოლიტიკურად ცვედანი აღმოჩნდა"

— გვ. 3 —



# რუსმა ოკუპანტებმა სოფელ დვანის მიმდებარე ტერიტორია დატოვეს

— გვ. 6 —

## სანდრო თვალჭრელიძე: „დღეს ხელისუფლება არ კონტროლდება"

გვ.3



## გია ვოლსკი: „ის, რაც ახლა საოკუპაციო ხაზთან ხდება, წინა ხელისუფლების მძიმე შეცდომების შედეგია"



გვ.6



გვ.4

## ნიკოლოზ მჟავანაძე: „ლენტეხში სიტუაციას მაჟორიტარი დეპუტატი გოგი ლიპარტელიანი ურევს"



გვ.2

## ლევან ჩაჩუა: „ჩემს პოლიტიკურ საქმიანობასთან ეკლესიას კავშირი არა აქვს"

## უამინდობის გამო რთველი შეჩერდა



გვ.6

ISSN 1987-9385

3 ხვალ 300 არაგველს გაიხსენებენ

6 ალავერდის სამონასტრო კომპლექსი დაიტბორა

2 სკოლებში ნაღმის არსებობის შესახებ ცრუ შეტყობინების ფაქტზე ორი პირი დააკავეს

4 თომას ჰამერბერგი: „გაგიმართლათ, რომ აქტიური სამოქალაქო საზოგადოება გყავთ"

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ლევან ჩაჩუა: „ჩემს პოლიტიკურ საქმიანობასთან ეკლესიას კავშირი არა აქვს“

## რატომ გადაწყვიტა ყოფილმა პოლიტპატიმარმა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება

ნათია ხურცილავა



**ინტერვიუ პრეზიდენტობის კანდიდატთან, ყოფილ პოლიტპატიმარ ლევან ჩაჩუასთან:**

*— ბატონო ლევან, როგორც ცნობილია, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აპირებთ. ხმები გავრცელდა, რომ თითქოს საპატრიარქო მხარს გიჭერთ, რა შეგიძლიათ გვითხრათ?*

— საპატრიარქო და პატრიარქი პოლიტიკაში არ ერევა. მე ძალიან ახლო ურთიერთობა მაქვს პატრიარქთან, სამღვდელოებასთან, მაგრამ ჩემს პოლიტიკურ საქმიანობასთან ეკლესიას არანაირი კავშირი არ აქვს. პარლამენტის მიერ სინდისის პატიმრად ვარ აღიარებული. პოლიტპატიმარი ვიყავი.

*— რატომ გადაწყვიტეთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მიგეღოთ მონაწილეობა?*

— როდესაც ბატონი ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ ავანსცენაზე გამოჩნდა, მე უკვე ორი წლის დაჭერილი ვიყავი. ძალიან დიდი იმედი მქონდა, რომ ეს ძალადობრივი და მანიაკალური რეჟიმი, რომელიც ცხრა წლის განმავლობაში მართავდა ქვეყანას, ერთხელ და საბოლოოდ დასრულდებოდა. იმედი ჩამესახა, რომ ქვეყანა ნორმალური კურსით განვითარდებოდა, ქართულ სახელმწიფოს გადავარჩენდით. საპყრობილეში ვლოცულობდი, ღმერთს შევთხოვდი, რომ შესწეოდა იმ ადამიანებს, რომლებისაც გულწრფელად სჯეროდა ჩვენს ხალხს. მჯეროდა, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილი ქვეყნის გადარჩენას და სწორ ორიენტირზე დაბრუნებას შეძლებდა. თუმცა, რაც უფრო დრო გადის, იმედგაცრუება მიპყრობს, რადგან პარლამენტში არსებული ძალთა ბალანსი არ არის ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური განწყობების ამსახველი. 40 პროცენტი, რომლითაც „ნაციონალური მოძრაობა“ არის წარმოდგენილი პარლამენტში, არ არის რეალობასთან ახლოს. ასევე კოალიციაში, რომელმაც დანარჩენი 60 პროცენტი გადაინაწილა, „ნაციონალურ მოძრაობაზე“ უარესი მსოფლმხედველობის წარმომადგენლებითაა დაკომპლექტებული, როგორც სულიერი კუთხით, ისე მენტალური თვალსაზრისით. ქართველი ხალხის ძირითადი მოთხოვნა სამართლიანობის აღდგენაა. ადამიანები სამართალს ითხოვენ. სამწუხაროდ, დღესაც სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით გამოდის ხალხი. თითქმის მთელი იმერეთი მოვიარე, მანამდე სხვადასხვა რეგიონებში მქონდა შეხვედრები, ყველგან ხალხი სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით გამოდის. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური სტაგნაციაა ქვეყანაში, მიუხედავად იმისა, რომ ხალხს დუხჭირი ცხოვრება აქვს, ხალხი მაინც პირველ რიგში ღირსებას და სამართლიანობას ითხოვს. ამიტომ გადავწყვიტეთ მორწმუნე საზოგადოებამ, რომ რეალურად ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე პასუხისმგებლობა აგვეღო და ამიტომ შემოვედით პოლიტიკაში. ჩვენ შემოვიკრიბეთ ის ხალხი, რომლებიც ადრე პოლიტიკაში არ ყოფილან ჩართულები. ამ ადამიანებს ე.წ. პოლიტიკურ თამაშებში, კორუფციულ გარიგებებში არასდროს არ მიუღიათ მონაწილეობა. ეს ადამიანები ჩინოვნიკები არ ყოფილან. ძირითადად უპარტიო ადამიანები არიან წარმოდგენილი ჩვენთან, თუმცა პროფესიონალები, რომელთაც თავიანთი პროფესიული ხედვა აქვთ ქვეყნის მომავლის განვითარების. ჩვენ წარმოვადგენთ საარჩევნო პროგრამას, რომლის შესრულებაც რეალურად იქნება შესაძლებელი და არა მხოლოდ სიტყვების თამაში. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ სამართლიანობა აღდგეს და ჩვენს ქვეყანას დაუბრუნდეს ღირსება. მე პირადად ჩემს გუნდთან ერთად ამისთვის ვიბრძოლებ. ღირსების დაბრუნება ყველაზე მნიშვნელოვანია, ღირსება, რომელიც „ნაციონალურმა მოძრაობის“ ცხრაწლიანმა მმართველობამ დაუკარგა ჩვენს ქვეყანას და მის ხალხს. სამწუხაროდ, კოჰაბიტაციის ფონზე ღირსების დაბრუნება შეუძლებლად მიმაჩნია, სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, რომ პასუხისმგებლობა აგვეღო.

*— პოლიტპატიმრებთან გაქვთ ურთიერთობა?*

— რასაკვირველია, ჩვენი ჯგუფის სამი წევრი პოლიტპატიმარი გახლავთ: ზვიად ბლიაძე, რატი მაისურაძე და გიორგი გაბედავა. ეს ადამიანები სინდისის პატიმრები არიან და დღეს სამართლიანობისა და ღირსების აღდგენისთვის იბრძვიან. ჩვენ შურისძიების სურვილი არ გვამოძრავებს. მინდა გითხრათ, როდესაც საპყრობილეში ვიყავი და ბაჩო ახალაია დააკავეს, ჩემს თავს ვეუბნებოდი, რომ არ გამხარებოდა. ეს არის ქრისტიანული დამოკიდებულება ზოგადად ადამიანის მიმართ. სხვა საკითხია, სისხლის სამართლის დამნაშავეებმა, რომლებმაც ეს სადისტური რეჟიმი და გულაგები შექმნეს, სადაც ადამიანებს აწამებდნენ და აუპატიურებდნენ, პასუხი უნდა აგონ. ჩვენი წინასაარჩევნო კამპანია სხვა კანდიდატის ლანძღვაზე არ არის აგებული. მე მათ პიროვნულ პატივისცემას ვუდასტურებ, მაგრამ მე ჩემს ხედვას ვთავაზობ ამომრჩეველს.

# ნინო ბურჯანაძე: „დარწმუნებული ვარ, ჩვენ შევძლებთ აფხაზ და ოს ძმებთან ჩატეხილი ხიდების აღდგენას“



ამის შესახებ პრეზიდენტობის კანდიდატმა ნინო ბურჯანაძემ დილმის ძმათა სასაფლაოზე განაცხადა, სადაც ბაბუშერას აეროპორტში დაღუპულთა საფლავები გვირგვინით შეამკო და ტრაგედიის შედეგად გარდაცვლილთა ოჯახებს მიუსამძიმრა.

„დღეს არის ძალიან ტრაგიკული დღე საქართველოს უახლესი ისტორიისა, ძალიან მტკივნეული დღე, როდესაც ტრაგიკულ ომში ძმებს შორის, ქართველებსა და აფხაზებს შორის, ჩვენი სამშობლოს ათობით დამცველი დაიღუპა ბაბუშერას აეროპორტში თვითმფრინავის ჩამოგდების შედეგად. მინდა, კიდევ ერთხელ მივუსამძიმრო დაღუპულთა ოჯახებს, კიდევ ერთხელ მოვიხარო ქედი ყველა იმ ადამიანის წინაშე, ვინც სამშობლოსთვის გაწირა თავი. ყველაზე სამწუხაროა ის, რომ ამდენი წლის შემდეგ ჩვენ კვლავ ვდგავართ გადაუწყვეტელი პრობლემის წინაშე. მინდა, ყველას ვთხოვო, რომ მომავალში ყველაფერი გაკეთდეს იმისათვის, რათა ის ბიჭები, რომლებიც თავიანთ მიწა-წყალზე დაიღუპნენ, გადმოსვენებულნი იყვნენ აქ, თავიანთ მშობლებთან და ოჯახებთან ახლოს; დაფასდეს ყველა ის ოჯახი, ყველა დედა, რომელმაც სამშობლოსთვის შვილი გაწირა. არ შეიძლება, სამშობლოსთვის მეომრების დაყოფა იმის მიხედვით, ვინ რომელი პრეზიდენტის დროს იბრძოდა, ვინ რომელი პრეზიდენტის დროს დაიღუპა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ისევე, როგორც ამ ქალბატონებმა შეძლეს, დაღუპული აფხაზი ბიჭების დედებს დალაპარაკებოდნენ, ერთმანეთისთვის მიესამძიმრებინათ, ხელი ჩამოერთმიათ, ჩვენც შევძლებთ აფხაზ თანამემამულეებთან საერთო ენის გამონახვას, ერთმანეთისთვის ბოდიშის მოხდას და იმის აღთქმას, რომ არასოდეს ძმათა მკვლელი ომი აღარ განმეორდება. დარწმუნებული ვარ, ჩვენ შევძლებთ ჩატეხილი ხიდების აღდგენას და ჩვენ შევძლებთ ჩვენი სამშობლოს გაერთიანებას“, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

პირველი

## შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ამოიღო

სამართალდამცველებმა 1962 წელს დაბადებული ალეკო ხ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების და ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ბათუმში დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, დაკავებულის დროებითი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას 35,024 გრამი „ჰეროინი“ და 1,5 გრამი ფსიქოტროპული ნივთიერება „პრეგაბალინის“ შემცველი 5 აბი „ლირიკა“ ამოიღეს.

„ნარკოლოგიურმა შემოწმებამ დაადგინა, რომ ალეკო ხ. დაკავების მომენტში ნარკოტიული საშუალების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა“, — აცხადებენ შსს-ში.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების და ფსიქოტროპული ნივთიერების შეძენა-შენახვის ფაქტზე სსსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 261-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

პირველი

## სკოლებში ნაღმის არსებობის შესახებ ცრუ შეტყობინების ფაქტზე ორი პირი დააკავეს

1998 წელს დაბადებულმა გ.ა.-მ და 1998 წელს დაბადებულმა ე.გ-მ თბილისის 21, 24 და 53 საჯარო სკოლებში ნაღმის არსებობის შესახებ ცრუ შეტყობინება შსს-ს გადაუდებელი დახმარების ოპერტიულ მართვის ცენტრ „112“-ში 20 სექტემბერს, 09:45 დატოვეს.

შსს-ს შესაბამისი სამსახურები შეტყობინების მიღებისთანავე სამივე სკოლასთან გამოცხადდნენ. მოსწავლეებისა და იქ მყოფი პირების ევაკუაცია ოპერატიულად განხორციელდა.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად დადგინდა, რომ შეტყობინება ცრუ იყო და არცერთი სკოლის შენობაში ნაღმი არ აღმოჩნდა. სამართალდამცველებმა ორივე მოზარდი მშობლებთან ერთად პოლიციის განყოფილებაში დაკითხეს. ისინი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემიან, როგორც 14 წელს მიღწეული პირები. გამოძიება ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინების ფაქტზე სსსკ-ის 331-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს. გამოძიებას შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველო აწარმოებს.

პირველი

## უკრაინიდან ოლეგ მელნიკოვის ექსტრადიცია განხორციელდა

ოლეგ მელნიკოვის საქართველოში ექსტრადიცია თბილისის საერთაშორისო აეროპორტში 21 სექტემბერს, რეისით კიევი-თბილისი, ბორისპოლის აეროპორტიდან განხორციელდა. საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს და მთავარი პროკურატურის მიერ ძებნილი ოლეგ მელნიკოვის უკრაინაში დაკავებიდან 10 თვის განმავლობაში აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა უკრაინის სამართალდამცავ ორგანოებთან მისი საქართველოში ექსტრადიციის მიზნით. რამდენიმესაფეხურიანი სამართლებრივი პროცედურების გავლის შემდეგ უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ მელნიკოვის საქართველოში ექსტრადიციის გადაწყვეტილება მიიღო.

2012 წლის 7 დეკემბერს უკრაინაში, ქალაქ კიევში, უკრაინის სამართალდამცავმა ორგანოებმა საქართველოს ინტერპოლიდან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი მაღალჩინოსანი, 1966 წელს დაბადებული ოლეგ მელნიკოვი დააკავეს. ოლეგ მელნიკოვი დაპატიმრების და საქართველოში შემდგომი ექსტრადიციის მიზნით ინტერპოლის თბილისის ბიუროს მიერ საერთაშორისო ძებნაში 2012 წლის 5 დეკემბრიდან იმყოფებოდა.

ოლეგ მელნიკოვს ბრალად ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, რაც გულისხმობს მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას, რამაც ფიზიკური პირის უფლების არსებითი დარღვევა გამოიწვია, ჩადენილი ძალადობით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით.

გარდა ამისა, მიმდინარე წლის ივლისში ოლეგ მელნიკოვს ბრალი წაეყენა სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე სსსკ-ს 24-143-ე მუხლის პირველი ნაწილით და მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით (დახმარება თავისუფლების უკანონო აღკვეთაში, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ორი ან მეტი პირის მიმართ, სხვა დანაშაულის გაადვილების მიზნით).

პირველი

## გიორგი თარგამაძემ ბაღდათის მოსახლეობას საპრეზიდენტო პროგრამა გააცნო



ადგილობრივებთან საუბარი დასაქმების პერსპექტივებს, ადგილზე ეკონომიკის განვითარებას, სოციალური პრობლემების მოგვარებას, ჯანდაცვის საკითხების გაუმჯობესებას შეეხო. გიორგი თარგამაძის განცხადებით, „ქრისტიან-დემოკრატები“ მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად მოქალაქეებს სამეტაპიან გეგმას სთავაზობენ, რაც საგადასახადო შეღავათებს, საკრედიტო და სატარიფო პოლიტიკის გაუმჯობესებას გულისხმობს.

„იმ შემთხვევაში თუ საქართველოს ენერგორესურსები ბიზნესის განვითარების სამსახურში იქნება ჩაყენებული, ეკონომიკა მუშაობის დაწყებას შეძლებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ყოველთვის პრობლემად დარჩება. ეროვნული პროდუქცია უნდა იყოს კონკურენტუნარიანია იმპორტთან და თუკი მისი წარმოება იმდენად ძვირი დაჯდა, რომ წარმოებას აზრი აღარ ექნა, ცხადია, ასე ქართული ეკონომიკა ვერ განვითარდება. დღეს ჩვენ ვიმყოფებით ტრადიციულ ქალაქში, სადაც სახელმწიფომ მხარი უნდა დაუჭიროს და განავითაროს ტრადიციული დარგები და ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ქუთაისელ ადამიანს საკუთარი ბიზნესსაქმიანობის წამოწყება და განვითარება შეეძლოს“, — განაცხადა გიორგი თარგამაძემ.

პირველი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დიმიტრი ლორთქიფანიძე: „ბიძინა ივანიშვილის გუნდი პოლიტიკურად ცვედანი აღმოჩნდა“

შორენა კოწოწაშვილი

რატომ ვერ იხიბლება ივანიშვილი თავისივე რჩეული უმრავლესობით და რატომ ვერ მოხვდა ყოფილი დეპუტატი ლორთქიფანიძე კოალიციის რიგებში? – ამ საკითხების ირგვლივ გავესაუბრეთ დიმიტრი ლორთქიფანიძეს.

***–ბატონო დიმიტრი, რატომ ველარ იხიბლება ივანიშვილი მმართველი გუნდით და რამ იმოქმედა პრემიერის წასვლის გადაწყვეტილებაზე?***

– ბიძინა ივანიშვილი ნამდვილად ველარ იხიბლება, მსუბუქად რომ ვთქვათ, თავისი



გარემოცვით. ყველას გვახსოვს, როგორ იხიბლებოდა კოალიციის ერთ-ერთი წევრით ვახტანგ ხმალაძით და ამბობდა, რომ ასეთი უნდა ყოფილიყო საპრეზიდენტო კანდიდატი. გახსოვთ მისი აღფრთოვანება ამა თუ იმ პოლიტიკური მოხელით, როდესაც იგი განათლებასა და ნიჭიერებას უსვამდა ხაზს. დღეს ბიძინა ივანიშვილის ხმა ნამდვილად ჩამკვდარია. მე მგონი, ივანიშვილიც გვეთანხმება საზოგადოების დიდ ნაწილს, რომელიც ფიქრობს, რომ დღევანდელი პოლიტიკა სამართავი გახდა პოლიტიკურად ცვედანი და პოლიტიკურად ბერწი პოლიტიკოსების, რომლებიც სამწუხაროდ, სათანადო დონეზე ვერ აღმოჩნდნენ და კომპრომეტირებულიც არიან ძველი ხელისუფლებისაგან. ამ განცხადების საფუძველს გვაძლევს ივანიშვილის არცთუ მოურიდებელი ფრაზა, რომელმაც პირდაპირ განაცხადა, რომ მიდიან მასთან და ეკითხებიან, რა უნდა ქნან იმ შემთხვევაში, თუ დაფიქსირებულია იმ მაკომპრომეტირებელი სახის აუდიო და ვიდეო ფაილებში მათი ღალატის ფაქტები, მაგალითად, მეუღლესთან. ეს განცხადება პრემიერმა საჯაროდ გააკეთა. პრემიერ-მინისტრმა პირდაპირ მიანიშნა იმაზე, რომ ამას არა აქვს ერთეული და ათეული შემთხვევა, არამედ არის მასობრივად. ბოლოს და ბოლოს, გაირკვა, რომ თურმე 17 ათასი აუდიო და ვიდეო ფაილი არსებობს. ამავე დროს, არც იმის ილუზია გვაქვს, რომ ამ ფაილების განადგურების შედეგად ეს ფაქტები აღარ იარსებებს და მაკომპრომეტირებელი ხასიათის შემცველი ინფორმაცია აღარ გააკეთებს თავის გასაკეთებელ საქმეს. ძალიან კარგად და ღრმად მესმის. მე გახლდით არაერთი სახელმწიფო კომისიის წევრი და შიგნიდან მესმის სახელმწიფოს მართვის სპეციფიკა და ძალიან კარგად ვგრძნობ, რომ ნაცმოძრაობის უკან იყვნენ სპეცსამსახურები, მათ შორის სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნისა, რომლებიც გარკვეულწილად მართვის ინსტრუმენტად იყენებდნენ ასეთი ტიპის კომპრომატებს, რომ შემდგომში არც ერთ სულიერს, რომელსაც პრეტენზია ექნებოდა ქვეყნის პოლიტიკაში მოსვლისა, არ გასჩენოდა იმაზე მეტი ამბიცია, ვიდრე, ვთქვათ, ეს იქნებოდა დასაშვები ამ სპეცსამსახურებისა და მისი მარიონეტი ხელისუფლებისა. მე ამ მოსაზრებას კიდევ უფრო მიმყარებს ის კასრებში ნაპოვნი იარაღი, რომელიც, ამავე დროს, დახუნძლული იყო ამ აუდიო-ვიდეო ფაილებით. ფაქტია, რომ დღევანდელი ხელისუფლების არაერთ მაღალი თანამდებობის პირს ეშინია ამ ფაილების. აი, ეს ის ფაქტებია, რომელზეც პრემიერი, რომელიც მიჩვეულია თავისუფლად ლაპარაკს იმაზე, რაც გონებაში მოადგება, ისიც ვერ ბედავს ამაზე პირდაპირ და დამაჯერებლად ისაუბროს.

***– თუმცა, ბატონო დიმიტრი, ბიძინა ივანიშვილს შეუძლია, შეცვალოს გუნდი საჭიროების შემთხვევაში. მან პასუხისმგებლობა აიღო ქვეყნის მართვაზე და საზოგადოების უდიდესი ნაწილი მას გაჰყვა. რა გამოდის, ბიძინა ივანიშვილმა სახელმწიფოს ინტერესებით ითამაშა?***

– მოდით, ნუ დავაბრალებთ მარტო ბიძინას, რომ მან სახელმწიფოს ინტერესებით ითამაშა. ვფიქრობ, მისი არაპოლიტიკური ბუნებიდან გამომდინარე, პრემიერი ამ თამაშის შესაძლებლობას მოკლებული იქნებოდა. ივანიშვილი ნამდვილად მოწადინებული იყო, შეერჩია ისეთი გუნდი, მათ შორის არაპოპულარული პოლიტიკოსებით და დაბალრეიტინგიანი პოლიტიკური ფიგურებიც შემოიკრიბა, რომ შემდგომში გარანტია ჰქონდა იმისა, რომ ქვეყნის მართვის სადავეებთან მას ეყოლებოდა პროფესიონალი პოლიტიკოსები. ჩვენ მივიღეთ აბსოლუტურად განსხვავებული სურათი. ის რესპუბლიკელებიც კი, რომლებიც დავით ბერძენიშვილის პირით ღაღადებენ, რომ ძალიან კომფორტულად გრძნობენ თავს „ქართული ოცნების“ რიგებში, დღეს დგებიან იმ ფაქტის წინაშე, რომ თუკი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები შედგა, სწორედ ისინი და მათი მონათესავე ნაციონალური მოძრაობა ჩაირეცხებიან პოლიტიკური სივრციდან. ამიტომ ბიძინა ივანიშვილი დგას ამ ფაქტის წინაშე, რომ მისი პოლიტიკური გუნდი არის ცვედანი, გააკეთოს და იმუშაოს ქვეყნის რეალურ აღმშენებლობაზე. ამიტომ, სანამ ურემი გადაბრუნებულა, მანამდე აპირებს პოლიტიკიდან გასვლას. დიახ, ეს შესაძლებელია, შეფასებული იყოს გაქცევად შემდგომი პასუხისმგებლობისა. მაგრამ მე თავს შევიკავებდი ასეთი კომენტარისგან. მე მაინც მიმაჩნია, რომ ივანიშვილი პოლიტიკური სივრციდან ამ თავისი გასვლით ასპარეზს უთმობს იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც ნამდვილად იყვნენ ღირსი დაეკავებინათ ადგილი ქვეყნის მართვის სადავეებთან და სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ მოხვდნენ. მათ შორის გახლავართ მეც. მე, პირადად, შევეწირე რამდენიმე პოლიტიკოსის ამბიციებს, „ქართული ოცნების“ ლიდერებს ვგულისხმობ. ხელისუფლების გარეთ არიან ძალიან კარგი ადამიანები, რომლებთან ერთადაც შეიძლებოდა ძალიან კარგი პოლიტიკური გუნდის გაკეთება და ქვეყნის მართვის ეროვნულ სადავეებზე გადაყვანა.

***– რადგან პოლიტიკურ შეწირვაზე მიანიშნეთ, შეგიძლიათ თქვათ, რომ ივანიშვილის პოლიტიკური კარიერა გარკვეულწილად კოალიციის წევრთა პოლიტიკურ ამბიციებს შეეწირება?***

– ივანიშვილის ადრინდელი განცხადებებიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ პირველ ეპისტოლეში თქვა, რომ მხოლოდ ორი წლით იქნებოდა პოლიტიკაში, მაფიქრებინებს, რომ მას საერთოდ არ გააჩნდა პოლიტიკური ამბიცია. ის ამბიცია, რომელიც ადამიანს თავისი პოლიტიკური კარიერის გზაზე უნდა აინტერესებდეს. ივანიშვილი არ იყო პოლიტიკოსი და ის არაფრით არ რისკავს. ამიტომ მთელი პრობლემაც ამაშია, რომ მას ჰქონდა ეს ლუფტი და ამ ლუფტს იყენებს იმისათვის, რომ დროზე ადრე მიდის პოლიტიკიდან და არ დგება იმ ფაქტის წინაშე როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური გუნდის ხელმძღვანელი კატასტროფის წინაშე, რომელიც უქადის ქვეყანას ამ პოლიტიკური გუნდის შენარჩუნების შემთხვევაში. „ქართული ოცნება“ აი, ამ კვაზიკოჰაბიტაციის პროცესში შეიძლება შეფასებულ იქნეს ასე; „ხარი ხართან დააბი, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო“. არაფრით არ განსხვავდება ბევრი ლიდერი თავისი განცხადებებით, ტრადიციული მკვდრადშობილი საუბრით იმ ნაციონალური მოძრაობის დემაგოგი ლიდერებისაგან, რომლებიც ამ წლების მანძილზე გვასმენინებდნენ ამ დემაგოგიას.

# სანდრო თვალჭრელიძე: „დღეს ხელისუფლება არ კონტროლდება“

ნათია ხურცილავა

წინასაარჩევნო კამპანია დღითიდღე ძალას იკრებს. საპრეზიდენტო მარათონი კანდიდატებმა უკვე დაიწყეს. ელექტორატთან შეხვედრები რეგიონებში უფრო აქტიურ ფაზაშია. პრეზიდენტობის კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიას, გარემოს ექსპერტები აფასებენ.

**ინტერვიუ პოლიტოლოგ სანდრო თვალჭრელიძესთან:**

***– ბატონო სანდრო, 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადებას, წინასაარჩევნო კამპანიას როგორ შეაფასებთ?***

– მეჩვენება, რომ საქართველოს ფაქტორის გათვალისწინებით ეს წინასაარჩევნო კამპანია ძალიან ცივილიზებული ფორმებით მიმდინარეობს. ვხედავ, რომ ყველა თავისუფალია. არავინ, არც ერთ კანდიდატს არ უზღუდავს მიტინგების ჩატარებას, გამოსვლებს, თავის ამომრჩეველთან შეხვედრას, კამპანიის ჩატარებას. ასევე ვხედავ, რომ არავითარი სახელისუფლო რესურსის გამოყენება არ ხდება.

***– შეგიძლიათ თქვათ, რომ ეს არჩევნები მკვეთრად განსხვავდება, უფრო ზუსტად კი წინასაარჩევნო ეტაპი, სხვა არჩევნებისგან?***

– რასაკვირველია, მკვეთრად განსხვავდება. ყველა არჩევნებისგან განსხვადება. ვგულისხმობ არა მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ პერიოდში ჩატარებულ არჩევნებს, არამედ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროიდან მოყოლებულ არჩევნებს, ყველა სხვა საარჩევნო კამპანიისგან მკვეთრად განსხვავებულია ეს წინასაარჩევნო კამპანია.



***– ზოგადად კანდიდატებზე რა შეგიძლიათ გვითხრათ, როგორია თქვენი პოზიცია?***

– ჩემი პოზიცია სრულიად ნათელია და შემიძლია გითხრათ. პირველი, მინდა სეკულარული პრეზიდენტი ჰყავდეს საქართველოს, რადგან ჩვენი ქვეყანა მრავალეთნიკური და რელიგიური ჯგუფებისგან, ადამიანებისგან შედგება. მეორე ჩემთვის „ნაციონალური მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატი მიუღებელია. დანარჩენი კანდიდატები მისაღებია. დემოკრატიული პრინციპებიდან გამომდინარე ძალიან მინდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური იყოს.

***– არ გამორიცხავთ, რომ მეორე ტური გაიმართოს?***

– არა, თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ არ იქნება და პირველივე ტურში გაიმარჯვებს „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი, მაგრამ მე ჩემი სურვილი გამოვთქვი. საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური მიანიშნებს იმაზე, რომ დემოკრატია ქვეყანაში მაღალ სტანდარტებს აკმაყოფილებს. სწორედ ამ კუთხით ვთქვი, რომ კარგი იქნება თუ მეორე ტური ჩატარდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ექნება.

***– მარგველაშვილ-ბურჯანაძის შორის?***

– დიახ, ასე მეჩვენება. ეჭვი არ მეპარება, რომ გამარჯვებული იქნება გიორგი მარგველაშვილი, მაგრამ ქალბატონიც რომ იყოს პრეზიდენტი ეს ტრაგედია არ იქნება. ტრაგედია იქნება „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის გამარჯვება.

***– ამ ფონზე რას იტყვით პრემიერის განცხადებაზე, რომ ის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებიდან ორ თვეში წავა, თუმცა მარგველაშვილის საარჩევნო პროგრამის პრეზენტაციაზე განაცხადა, რომ არსად წასვლას არ აპირებს...***

– მე საკონსულტაციო საბჭოს წევრი ვარ, რამდენიმე დღის წინ ვიყავი პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაზე და დიდად ვერ შევატყვე, რომ ხელისუფლებიდან მიდიოდეს. მისი წასვლა არ შეიძლება სანამ სიტუაციას არ დაალაგებს. თუმცა, მივესალმები მის პოზიციას, რომ მას გადასვლა უნდა სამოქალაქო სექტორში. ივანიშვილის სამოქალაქო სექტორში გადასვლა უფრო დიდ სარგებელს მოუტანს ქართველ საზოგადოებას.

***– ხელისუფლებაში ყოფნაზე მეტი სარგებელი სამოქალაქო სექტორიდან შეუძლია გაწიოს?***

– დიახ, თუნდაც ეკონომიკური თვალსაზრისიდან გამომდინარე. უკვე სამოქალაქო სექტორიდან ივანიშვილს შეუძლია, რომ ეკონომიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის სასარგებლოდ. ასევე მას შეუძლია, რომ სამოქალაქო სექტორიდან გააკონტროლოს მთავრობა, როგორც ეს ხდება ნორმალურ ქვეყნებში, ხელისუფლებას არასამთავრობო სექტორი აკონტროლებს. დღეს ხელისუფლებას მაკონტროლებელი არ ჰყავს.




## ხვალ 300 არაგველს გაიხსენებენ

24 სექტემბერი 300 არაგველის ხსენების დღეა. სრულიად საქართველოს საგვარეულო კავშირის ორგანიზებით გაიმართება 300 არაგველის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

როგორც საგვარეულო კავშირიდან გვაცნობეს, 24 სექტემბერს წმინდანად შერაცხული 300 არაგველის ხსენების დღეს, კრწანისში წმინდა ნიკოლოზის ტაძარში დაბრძანებული იქნება 300 არაგველის სახელობის ხატი, სადაც დილის 9 საათზე ჩატარდება წირვა. წირვის შემდეგ კრწნისის ველზე, 300 არაგველის მონუმენტის მიმდებარე ტერიტორიაზე, არაგველების ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართება.

ღონისძიებაზე დამსწრეთ მიეცემა საშულება სიმბოლურად პურით, წითელი ღვინით სავსე ფიალით პატივი მიაგონ სამშობლოსათვის გმირულად დაღუპულთა ხსოვნას. ღონისძიებას საქართველოს პატრიარქი ილია II დაესწრება.

**„ახალი თაობა“**

# ნიკოლოზ მჟავანაძე: „ლენტეხში სიტუაციას მაჟორიტარი დეპუტატი გოგი ლიპარტელიანი ურევს“

გულიკო ბალაძე

**წინასაარჩევნო პერიოდში რიგ რაიონებში არეულობების ორგანიზება შეძლეს. არეულობები ეწყობა ოფიციალური სტრუქტურების, კერძოდ კი ადგილობრივი საკრებულოების მეშვეობით, რომლებიც ძირითადად ნაციონალებითაა დაკომპლექტებული.**

ბოლო დროს ლენტეხშიც აირია ვითარება, რადგან ლენტეხის საკრებულომ მთელი რიგი დარღვევებით რაიონის გამგებელი გადააყენა. მაშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ლენტეხში ნაციონალებმა რესპუბლიკელებთან თანამშრომლობით შეძლეს თავიანთი საქმის გაკეთება.

არასამთავრობოები იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს ლენტეხში ჩასვლასა და ადგილზე სიტუაციის გარკვევას ურჩევენ.

თავის მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაციათა თემატური ჯგუფი, რომელიც ლენტეხის მუნიციპალიტეტში ადგილზე ჩასვლით გაეცნო ლენტეხის გამგებლის თანამდებობიდან გათავისუფლების ფაქტს, აუცილებლად მიიჩნევს, საკითხით საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი დაინტერესდეს. ორგანიზაციათა თემატური ჯგუფი მიიჩნევს, რომ აუცილებელია მინისტრის ლენტეხში ჩასვლა და პრობლემას ადგილობრივებთან დიალოგში გაცნობა, რადგან არსებული ფაქტობრივი და სამართლებრივი მასალები ცხადყოფს, რომ გამგებლის გათავისუფლება, დიდი ალბათობით, კანონდარღვევით განხორციელდა, ხოლო აღნიშნული ფაქტი პირდაპირ ეწინააღმდეგება მთავრობის უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციას, სადაც საპრეზიდენტო არჩევნების წინ იმპიჩმენტისა და მსგავსი პროცესების განხორციელება აკრძალულია.

არასამთავრობოების შეფასებით, ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების 20.1, 20.3, 20.6, 51.2, 51.4, 52.2, 105.1, პუნქტების დარღვევით, ასევე „ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმათა უგულებელყოფით მოხდა კანონიერად დანიშნული გამგებლის ზაზა ლიპარტელიანის თანამდებობიდან გადაყენება. ამიტომაც ორგანიზაციები მოუწოდებენ იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს, როგორც ბოლნისში, ასევე ლენტეხშიც ადგილზე გაეცნოს მდგომარეობას.

გასულ კვირას არასამთავრობო ორგანიზაციები და უწყებათაშორისი კომისიის წევრები ჩასულები იყვნენ ლენტეხში, სადაც ადგილზე იქნა შესწავლილი არსებული მდგომარეობა. დოკუმენტების გაცნობისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მესვეურებთან შეხვედრისას გაირკვა, რომ გამგებლის გადაყენება დარღვევებით მოხდა. ამის თაობაზე არც ერთი სამართლებ-



რივი დოკუმენტი არ შესულა ძალაში და თავად იმპიჩმენტის პროცედურაც კანონის დარღვევით განხორციელდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პროკურატურამ დაიწყო საქმის გამოძიება ლენტეხის საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით და, როგორც ჩანს, შეიძლება გამოიკვეთოს საკრებულოს თავმჯდომარისა და ამჟამინდელი გამგებლის დანაშაულებრივი ქმედებები.

ორგანიზაციები: „უფლებადამცველთა გაერთიანება“, „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია-აფბა“, „ახალგაზრდა ადვოკატები“, „სრულიად საქართველოს სახალხო დარბაზი“, „საერთაშორისო იდეოლოგიური ფორუმი“ და „ეკოტეკი“ მოითხოვენ სიცხადე შევიდეს ლენტეხის საკრებულის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში და რეაგირებისთვის იუსტიციის მინისტრს მიმართავენ.

ახლა კი იკვეთება ლენტეხში განვითარებული მოვლენებთან მაჟორიტარი დეპუტატის გოგი ლიპარტელიანის კავშირი.

— ლენტეხში განვითარებულ მოვლენებში პარლამენტის წევრის გოგი ლიპარტელიანის ხელი იკვეთება, — აცხადებს „უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე, — ზაზა ლიპარტელიანი გახლდათ კანონიერად დანიშნული გამგებელი. ის საკრებულომ უკანონოდ გაათავისუფლა. საკრებულოს თავმჯდომარე ვალერიან ქურასბედიანმა საკრებულოს წევრები დაათრო და რესპუბლიკელების დახმარებით გადააყენა გადააყენა ზაზა ლიპარტელიანი. საკრებულოს თავმჯდომარე ქურასბედიანი არის ნაციონალი, რომელიც, სხვათა შორის, ახლახან რაჭაში მიშას ღვინის ფესტივალში მონაწილეობდა ანუ დღესაც აგრძელებს ნაციონალებთან თანამშრომლობას.

***— ლენტეხის საკრებულოს თავმჯდომარე ქურასბედიანი რანაირად მონაწილეობდა რაჭაში ღვინის ფესტივალში?***

— რაჭაში მიშას ჰქონდა ღვინის ფესტივალი. იქ ჩასული იყო ქურასბედიანი და მიშასთან ერთად ყურძენს წურავდა. ის დღესაც არ მალავს ნაციონალებისადმი თავის სიმპათიებს. ლენტეხში მოხდა უკანონობა, ხელისუფლების გადატრიალება. გამგებელი გადააყენეს პროცედურის დარღვევით. დღეს ლენტეხის მთელი მოსახლეობა მომხდარით აღშფოთებულია. როგორც ადგილობრივები აცხადებენ, ყველაფერ ამის უკან დგას პარლამენტი მაჟორიტარი დეპუტატი გოგი ლიპარტელიანი, რომელიც ყოველთვის ნაციონალებს უჭერდა მხარს, ატარებს ნაციონალების კურსს. ამის თაობაზე ერთ-ერთ შეხვედრაზე მას უთხრეს კიდევაც. არჩევნების წინა პერიოდში ადგილობრივმა მოსახლეობამ გოგი ლიპარტელიანს უთხრა, გახსოვს, რომ გვითხარი, თუ გინდათ დახმარება, ხუთიანი შემოხაზეთო? დღეს პროკურატურის მიერ სისხლის სამართლის საქმის გამოძიება დაწყებულია.

***— გამოძიება რასთან დაკავშირებითაა დაწყებული?***

— თანხების გაფლანგვასთან დაკავშირებით. ზაზა ლიპარტელიანი გადააყენეს, მაგრამ მისი გადაყენების ფაქტი, ფაქტობრივად, არსად არ არის გატარებული. ოქმიც არ არის შედგენილი.

***— ოქმი დღესაც არ არის შედგენილი?***

— დიახ, ოქმი არ არის შედგენილი. ზაზა ლიპარტელიანის გამგებლის თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ 100 ათას ლარზე მეტია გასული გამგეობიდან ანუ ახალმა გამგებელმა საკრებულოს დახმარებით მოახერხა ამდენი ფულის გაფლანგვა

***— ვინ არის ახალი გამგებელი?***

— ახალი გამგებელი გურგენ ფერულიანია. ფული გატანილია.

***— ფული ნაციონალებმა გაატანინეს თუ რა?***

— არა, საკრებულომ გაწერა რაღაცაში. ხელი მოწერილია ერთი და იგივე პირის მიერ, რომ ამ ფულით რაღაც უნდა გააკეთონ. არის საფუძველი იმისა, რომ ეს ყველაფერი უკანონოდ მოხდა. ამას სწავლობს პროკურატურა და საგამოძიებო ორგანოები ცოტა ხანში პარლამენტის წევრ გოგი ლიპარტელიანით დაინტერესდებიან. რამდენადაც ადგილობრივი მოსახლეობისაგან გვაქვს ინფორმაცია, სწორედ გოგი ლიპარტელიანი დგას იმ პროცესების უკან, რაც მოხდა ლენტეხში. ვიღაცას ლენტეხი მიყრუებული ადგილი თუ ჰგონია, ცდება. შეიძლება ცენტრისგან დაშორებული ადგილია, მაგრამ იქ არის ხე-ტყე, რომლითაც დიდი ფული იშოვეს ნაციონალებმა. ლენტეხში არის ძალიან დიდი ბუნებრივი რესურსები და ამის გამო იქ მიდის სერიოზული ბრძოლა, რადგან ნაციონალებს არ უნდათ დათმონ ის ადგილი და რესურსები. ეს ხალხი დიდ ფულს შოულობდა ხე-ტყით, რაიონს კი არაფერი დასტყობია. რაიონში დღეს საავადმყოფოც არ არის. რაღაცები კი გაკეთდა, მაგრამ, რეალურად — დიდი არაფერი. იმის მაგივრად, რომ რაიონისთვის რაღაც გაეკეთებინათ, ყველაფერს ჯიბეში იდებდნენ. პროკურატურისაგან მოვითხოვთ, ეს საქმე უმოკლეს დროში შეისწავლოს. ლენტეხში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ვიმყოფებოდით და მონიტორინგი განვახორციელეთ. რაიონში არსებულ ვითარებას ადგილზე გავეცანით და შევისწავლეთ. მიგვაჩნია, რომ უწყებათაშორისმა კომისიამ ეს საკითხი რეალურად უნდა დასვას და შეისწავლოს. უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაცია არსებობს, რომ არ შეიძლება, არჩევნებამდე გადაადგილებები და იმპიჩმენტები განხორციელდეს. ამიტომ მომხდარი უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციასაც ეწინააღმდეგება და წულუკიანსაც ვთხოვთ, როგორც ჩაბრძანდა ბოლნისში, ისე ჩაბრძანდეს ლენტეხში. ვფიქრობთ, ამ ხალხის პროტესტი, ცოტა ხანში მძლავრ პროტესტში გადაიზრდება თბილისში. ეს ხალხი არაფერს დათმობს. ხელისუფლებას ვთხოვთ, ეს გაითვალისწინოს.

***— ლენტეხის მაჟორიტარ დეპუტატ გოგი ლიპარტელიანს თქვენი ბრალდებები შეიძლება უარყოს.***

— ბრალდებებს მე კი არა მოსახლეობა უყენებს.

***— შეიძლება, ლიპარტელიანმა თქვას, დამიმტკიცეთ, თუ გგონიათ, რომ ლენტეხში განვითარებულ მოვლენებში ჩემი ხელი ურევიაო. რით ამტკიცებს მოსახლეობა მის მონაწილეობას კანონიერად დანიშნული გამგებლის გადაყენებასა და არეულობებში, რომელიც ამას მოჰყვა?***

— რეგიონი იმდენად პატარაა, რომ ყველამ ყველაფერი იცის, რა ხდება. ჩვენ ვერც ვერავის ბრალს ვერ დავდებთ, ჩვენ ბრალმდებლები არ ვართ. ბრალდება შეუძლია წაუყენოს მხოლოდ პროკურატურამ. აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვარაუდები გამოვთქვათ და გარკვეული დასკვნები გავაკეთოთ მომხდართან დაკავშირებით. ამაზე უნდა იმსჯელოს გამოძიებამ. რა თქმა უნდა, არც ერთი დამნაშავე არ აცხადებს, დამნაშავე ვარო. ეს უკვე გამოძიების საკითხია.

***— შეუძლიათ თქვან, რომ მაჟორიტარ დეპუტატს ჩარევის უფლება აქვს, რადგან ხალხმა თავის დროზე მას მხარი დაუჭირა.***

— საკრებულოს საქმიანობაში ჩარევის უფლება არ აქვს. მას შეუძლია, რაიონში არსებულ პრობლემებზე პარლამენტში ისაუბროს. პირიქით, რაიონის გამგებლის უკანონო გადაყენებაზე უნდა აღემაღლებინა ხმა და არა, როგორც მოსახლეობა აცხადებს, უკანონობის დამკვიდრებისთვის შეეწყო ხელი.

***— დეპუტატის ყურადღება ოფიციალურად თუ გამოიხატა, თუ ჩავიდა რაიონში და შექმნილი ვითარების გამო თუ შეხვდა მოსახლეობას?***

— არა. დეპუტატისაგან არავითარი გამოხმაურება არ ყოფილა. ჩვენ გვაქვს ეჭვი, რომ ეს ადამიანი მონაწილეობდა ლენტეხში განხორციელებულ უკანონობაში, რა გამოხმაურებაზე შეიძლება ლაპარაკი.

## საქართველოს უკრაინელი მთავარეპისკოპოსები ეწვივნენ

უკრაინა უძველესი კულტურის ქვეყანაა, რომელსაც საქართველო ძალიან აფასებს. — ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისი მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ გუშინდელი საკვირაო წირვის დასრულებისას ბრძანა, რომელიც უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციასთან ერთად აღავლინა.

უწმინდესმა უკრაინელ მთავარეპისკოპოსებს იონათამსა და აღაპიტს საქართველოში სტუმრობისთვის მადლობა გადაუხადა.

„განსაკუთრებით ვაფასებთ მათ სიმტკიცეს მართლმადიდებელ სარწმუნოებაში“, — ბრძანა უწმინდესმა.

მან სტუმრებს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატები უსახსოვრა და უკრაინელი ერი დალოცა. მთავარეპისკოპოს იონათამის თქმით, უკრაინის მართლმადიდებელი დელეგაციის რამდენიმე წევრი საქართველოში პირველად იმყოფება და მათ დიდი შთაბეჭდილებები მიიღეს.

„საქართველოში ძალიან უყვართ ღვთისმშობელი. ღმერთმა მოგცეთ ღვთისმშობლის მფარველობა. უკრაინა ყოველთვის საქართველოს გვერდით იქნება“,— აღნიშნა მთავარეპისკოპოსმა იონათამმა და ილია მეორეს საჩუქრად სმოლენსკში დაწერილი ღვთისმშობლის ხატი გადასცა. მან უწმინდესს მამობრივი მზრუნველობისათვის მადლობა გადაუხადა.

მედიანიუსი

## თომას ჰამერბერგი: „გაგიმართლათ, რომ აქტიური სამოქალაქო საზოგადოება გყავთ“



ევროკავშირის საგანგებო მრჩევთელი საკონსტიტუციო სამართლებრივ და ადამიანის უფლებათა საკითხებში თომას ჰამერბერგი მიიჩნევს, რომ საქართველოს აქტიური სამოქალაქო საზოგადოება ჰყავს. მან ამის შესახებ თბილისში, სასტუმრო „რედისონში“ ანგარიშის წარდგენისას განაცხა.

„გაგიმართლათ, რომ აქტიური სამოქალაქო საზოგადოება გყავთ. არიან კომპეტენტური არასამთავრობო ორგანიზაციები, რაც დიდი განძია. სამოქალაქო საზოგადოება ძლიერია, ხელისუფლებაში მყოფმა პირებმა სამოქალაქო საზოგადოებასთან აქტიური დიალოგი უნდა გამართონ“, — აღნიშნა თომას ჰამერბერგმა.

მედიანიუსი

## საქართველოს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წინასაარჩევნო დელეგაცია ეწვევა

დღეს საქართველოს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წინასაარჩევნო დელეგაცია ეწვევა. მათი ვიზიტი სამდღიანი იქნება. წინასაარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით ევროსაბჭოდან თბილისში დეპუტატები მერიქსელ მატეუ პი, ანდრეს ჰერკელი, ჯონ ტომლინსონი, კრისტოფერ ჩოპე, ვასილი ლიხაჩევი და ბორის სილევიჩი ჩამოვლენ. ისინი თავდაპირველად საქართველოში ევროსაბჭოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელს კატერინა ბოლონეზეს შეხვდებიან. შემდგომ გაიმართება შეხვედრები სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, მედიასთან, დიპლომატიურ კორპუსთან და ეუთოს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელ მატეო მეკაჩისთან. 24 სექტემბერს ევროსაბჭოს საპარლამენტო დელეგაცია ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თამარ ჟვანიას, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს და პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს შეხვდება.

25 სექტემბერს კი დაგეგმილია შეხვედრები საპრეზიდენტო კანდიდატებთან: დავით ბაქრაძესთან, ნინო ბურჯანაძესთან, გიორგი მარგველაშვილთან, შალვა ნათელაშვილთან და გიორგი თარგამაძესთან. იმავე დღეს დელეგაცია შეხვედრას გამართავს შინაგან საქმეთა სამინისტროში, ასევე, შეხვდებიან უშიშროების საბჭოს მდივან გიგა ბოკერიას და იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს.

მედიანიუსი



## ივანიშვილმა კაკაბეთელებს გიორგი მარგველაშვილის მხარდაჭერისკენ მოუწოდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა საგარეჯოს რაიონის, სოფელ კაკაბეთის მოსახლეობას საპრეზიდენტო არჩევნებში გიორგი მარგველაშვილის მხარდაჭერისკენ მოუწოდა. ამის შესახებ პრემიერმა კაკაბეთში, საჭიდაო მოედნის გახსნაზე განაცხადა. მან ადგილობრივებს მოედნის გახსნა მიულოცა და აღნიშნა, რომ ქართველების ჭიდაობა მსოფლიოში ცნობილია. მოედანს მსოფლიოს ერთგზის და ევროპის ხუთგზის ჩემპიონის, უშანგი კუზანაშვილის სახელი დაერქვა.

მედიანიუსი

## ზღვის დონიდან 4100 მეტრზე სამთო სწავლებები ჩატარდა

საჩხერის სამთო მომზადების ინსტრუქტორებმა შუალედური სამთო მომზადების ზაფხულის კურსის ფარგლებში სპეციალური სწავლებები ყაზბეგში განახორციელეს. სწავლებები ზღვის დონიდან 4100 მეტრამდე სიმაღლეზე ერთი კვირის მანძილზე გაგრძელდა, — აცნობეს „მედიანიუსს“ თავდაცვის სამინისტროდან.

წვრთნებში სამთო მომზადების სკოლის მომავალ ქართველ ინსტრუქტორებთან ერთად ჩეხი, სომეხი და უნგრელი სამხედრო მოსამსახურეებიც მონაწილეობდნენ. ისინი მაღალ მთაში მარშირებას, ნაპრალებზე გადაადგილებასა და თვითდაცვის ტექნიკას დაეუფლნენ. სამხედროებმა მაღალ მთაში და ყინულოვან რელიეფზე სამაშველო სამუშაოების შესრულების პრინციპები დახვეწეს.

„პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ( ) პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ოთკვირიანი სწავლება სულ 4 ფაზისგან შედგება. ამ ეტაპზე კურსში მონაწილე სამხედროებმა მესამე ფაზა დაასრულეს. მეოთხე ფაზის განმავლობაში ისინი სპეციალურ ტესტებს ჩააბარებენ. სწავლების დასასრულს კი, წარმატებულ კურსდამთავრებულებს შესაბამისი სერთიფიკატები გადაეცემათ.

კურსის განმავლობაში საჩხერის სამთო მომზადების სკოლაში მივლინებულმა სამხედრო მოსამსახურეებმა სხვადასხვა ტიპის მომზადება გაიარეს, მათ შორის, მაღალ მთაში სროლის კურსი.

ოთხკვირიანი შუალედური სამთო მომზადების ზაფხულის კურსი 27 სექტემბერს საჩხერის სამთო მომზადების სკოლაში დასრულდება.

მედიანიუსი

# ნორა კვიციანი: „ოქრუაშვილმა უნდა აღიაროს, ვისი ბრძანებით მოგვიწყო პროვოკაცია!“

## კოდორის მოსახლეობა თავდაცვის ყოფილ მინისტრს პასუხს სთხოვს

შორენა მარსაგიშვილი

**კოდორის ხეობის დაცვას მან 14 წელი შეალია. ამ წლების მანძილზე ნორა კვიციანი ხეობის სხვა მკვიდრებთან ერთად იარაღით ხელში იბრძოდა. სააკაშვილის ხელისუფლებამ მას ეს დამსახურება „დაუფასა" და ციხეში ჩასვა. 6 წელი და 6 თვე მიუსაჯეს. პროკურორი მისთვის 18-წლიან სასჯელს ითხოვდა. მანამდე კი გარიგება შესთავაზეს, უთხრეს, თუ შენი ძმა და შვილი ჩაგვბარდებიან, გაგათავისუფლებთო. ამ შეთავაზებას ცოცხალი თავით არ დათანხმდა და არც შეწყალება უთხოვია. არადა, რამდენჯერმე შესთავაზეს ამის გაკეთება. ციხიდან ხელისუფლების შეცვლის შემდეგ გამოვიდა. სასჯელის მოხდამდე მხოლოდ 2 თვე ჰქონდა დარჩენილი. დღეს მისი საქმე ისევ პროკურატურაშია, ნორა კვიციანი საქმის ხელახალ გამოძიებასა და პოლიტპატიმრის სტატუსს ითხოვს.**

პოლიტპატიმრის სტატუსი მართალია ვერ მიიღო, მაგრამ ყველაზე სანუკვარი ოცნება აისრულა. 6-წლიანი განშორების შემდეგ კოდორის ხეობაში ჩავიდა. იმ ხეობაში, რომლის დაცვასაც ამდენი წელი და ენერგია შეალია. რა მდგომარეობაა ხეობაში, როგორ ცხოვრობენ იქ ქართველები, ვინ აგზავნიდა მსტოვრებს მისი შვილის მოსაკლავად, რას აპირებს ემზარ კვიციანი და რა კითხვები აქვს ხალხს კოდორის ჩაბარებაზე, ამ თემებზე ნორა კვიციანი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

***— თქვენ ახლახან დაბრუნდით კოდორის ხეობიდან. როგორ მოახერხეთ იქ შესვლა?***

— კოდორის ხეობაში, ჩემს მშობლიურ სოფელ ჩხალთაში 2 თვე გავატარე. ხეობაში სოხუმიდან ავედი. ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ მენატრებოდა ჩემი ხეობა. 2006 წლის ზაფხულში ჩემი სახლი მთლიანად გაანადგურა ჩვენმა ჯარმა. ირაკლი ოქრუაშვილმა ზედ დროშაც კი აღმართა, თითქოს რაღაც სტრატეგიული ობიექტი ყოფილიყო.

***— იქაურობა ალბათ მოსახლეობისაგან დაცლილია.***

— ხალხი აღარ არის. მაგრამ ისეთი მონატრებული მქონდა იქაურობა, რომ ეს სიცარიელე ვერც კი ვიგრძენი. ჩვენს სოფელში 4 ოჯახია, სხვა სოფლებშიც ასეა. მართალია ხეობა ჩვენ აღარ გვეკუთვნის, მაგრამ იქ ისევ ჩვენები ცხოვრობენ. სხვა იქ არავინ არ შესულა.

***— ხეობაში შესვლა ყველა მსურველს შეუძლია?***

— ყველას არ უშვებენ. იქ მოსახვედრად სპეციალური საშვებია საჭირო, რომელსაც აფხაზები გაძლევენ. ჩვენი ხეობა კარგად არის დაცული.

***— რას გულისხმობთ?***

— არავის არა აქვს უფლება, იქ შევიდეს, ინადიროს ან ხეტყე მოჭრას. ამ მხრივ მართლა კარგად არის იქაურობა დაცული. იქ მცხოვრები ქართველები თავს კარგად გრძნობენ. მათ არავინ არ ავიწროვებს. ერთადერთი პრობლემა ისაა, რომ დანარჩენ საქართველოსთან მიმოსვლა უჭირთ.

***— რატომ უჭირთ, აფხაზები არ უშვებენ?***

— ამის მიზეზი ისაა, რომ საბუთები არ გააჩნიათ. არაერთხელ მომისმენია, რომ ამ ხალხს თითქოს აფხაზური პასპორტების აღებას აიძულებენ. გარწმუნებთ, რომ ეს არის ტყუილი, იქ არავის არ აძალებენ აფხაზური პასპორტის აღებას. ამ ხალხს რაღაც ცნობები აქვთ დარიგებული, რომლითაც აფხაზეთიდან ვერ გამოვლენ. სტუმრის შესვლა არანაირი პრობლემა არ არის. ოღონდ ერთ თვეზე მეტი არ უნდა დარჩე. მე როგორც მითხრეს, ეს რეჟიმი სოჭის ოლიმპიადის გამო გაამკაცრეს. ჩატარდება ეს ოლიმპიადაც და ვნახავთ, რა იქნება. აქ აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ ჩვენ ხალხს აფხაზები ძალიან თბილად და პატივისცემით ეპყრობიან. ხეობაში, როგორც უკვე გითხარით, 2 თვე ვიყავი და იქიდან წამოსვლა აღარ მინდოდა. რამდენი წელი ვიყავი ამ სილამაზეს მოწყვეტილი. ციხეში რომ ვიყავი, სულ მეგონა, რომ ჩემს ხეობას ველარ ვნახავდი. ხეობაში რომ ვიყავი და ჩემს მთებს ვუყურებდი, საკუთარ თავს ვეკითხებოდი: „ნუთუ ეს მე ვარ. შარშან ამ დროს ციხეში ვიყავი და ვლოცულობდი, ახლა კი ჩემს სახლში ვარ“. მიმაჩნია, რომ ეს იყო უფლის საჩუქარი ჩემ მიმართ. მე უდანაშაულოდ ჩამსვეს ციხეში. არავისზე გაბოროტებული არა ვარ და ყველაფერი უფალს მივანდე. ახლა ვზივარ და სამართლის დადგომას ველოდები.

***— სამართლის დადგომაში რას გულისხმობთ პოლიტპატიმრის სტატუსს?***

— მარტო მაგას არა. პოლიტპატიმრად მე საერთაშორისო ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ მაშინ მაღიარეს როცა ციხეში ვიჯექი. მაგრამ მარტო სტატუსის მიცემა ხომ არ არის საკმარისი. უამრავი საშინელება გამოიარა ჩემმა ოჯახმა. 2006 წელს ჩვენმა ხელისუფლებამ დაგვბომბა. სიკვდილს ვართ გადარჩენილები. ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ ასე გამწირავდა სახელმწიფო. ახლა პარლამენტს ჩემთვის პოლიტპატიმრის სტატუსის მინიჭებაც კი ენანება.

***— თქვენ გარდა ამ სტატუსს კიდევ რამდენიმე ათეული ადამიანი ითხოვს. თქვენი აზრით, რატომ არ გაძლევენთ პოლიტპატიმრობას?***

— ალბათ ვერ ახერხებენ. არ მინდა ვიფიქრო, რომ ამას სპეციალურად აკეთებენ. ჩვენ ყველანი უკანონოდ ვიყავით დაპატიმრებული და ეს სტატუსი გვეკუთვნის. კარგად იცით, რომ ციხიდან ძალით გამომიყვანეს. 6 წელი და 4 თვე მქონდა მოხდილი, დარჩენილი იყო მხოლოდ 2 თვე. სოზარ სუბარმა და ხელისუფლების სხვა წევრებმა დამარწმუნეს, რომ ციხიდან უნდა გამოვსულიყავი. არ უნდა დამეჯერებინა და ასეთ შემთხვევაში ამნისტია შემეხებოდა, პარლამენტიც პოლიტპატიმრის სტატუსს მომცემდა. ახლა მინდა, რომ ჩემი საქმე პროკურატურამ შეისწავლოს. ყველაფერს გავაკეთებ, რომ დავამტკიცო ჩემი სიმართლე.

***— პარლამენტის მიერ მონიჭებული პოლიტპატიმრის სტატუსი რაში გჭირდებათ? ისედაც ყველამ იცის, რომ უკანონოდ იყავით დაჭერილი.***

— უსამართლოდ ვიჯექი და რატომ არ უნდა მოვითხოვო ეს სტატუსი? ხალხმა ხომ უნდა გაიგოს რისთვის დაიჭირეს სინამდვილეში ნორა კვიციანი. დამიჭირეს იმიტომ, რომ კოდორის ჩაბარების ნებას არ მივცემდი. როცა ჩვენი ჯარი იქ შემოვიდა მე ვუთხარი, რომ ისინი იქ ხეობის ჩასაბარებლად იყვნენ შემოსულები.

***— რის საფუძველზე გქონდათ ამისი ეჭვი?***

— ისინი იქ რუსების ნებართვით შემოვიდნენ. რუსებთან რომ არ ყოფილიყვნენ შეთანხმებული ხეობაში ფეხს ვერ შემოადგამდნენ. მაშინ იქ სამშვიდობო ჯარი იდგა და ისინი არ გამოატარებდნენ. რაკი გამოატარეს რაღაცაში იყო საქმე. დღემდე ისიც



ვერ ამიხსნია, რატომ გაგვწირეს ასე. გაუფრთხილებლად დაიწყო ჩვენი დაბომბვა. თავიდან მეგონა, რომ რუსები გვბომბავდნენ. რას წარმოვიდგენდი, რომ ამას ქართველები გააკეთებდნენ. აფხაზები 2008 წელს ისე შემოვიდნენ ხეობაში, რომ არავინ არ დაჭრილა. ჩვენებმა კი ადამიანი იმსხვერპლეს. 2 შვილის დედა რუსიკო გუგუსიანი შეეწირა ამ დაბომბვას. მისი მეუღლე ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაიღუპა. მტერი აფხაზი მეგონა, მაგრამ მტერი თურმე საქართველოს ხელისუფლება ყოფილა. მტრად მიჩნეულმა აფხაზებმა გადამირჩინეს ოჯახი. მით უმეტეს, აფხაზებმა იცოდნენ, რომ მათ წინააღმდეგ ჩემი ოჯახი იბრძოდა ყველაზე აქტიურად. ამის მიუხედავად გადაგვარჩინეს.

***— რას გულისხმობთ?***

— ჩემი შვილი და რძალი აფხაზებმა გადაარჩინეს. აფხაზებმა მერე გვითხრეს, ჩვენ ასი წელი ხეობაში შემომსვლელები აღარ ვიყავით, საქართველოს ხელისუფლებას რომ არ დაეწყო ეს პროვოკაციაო. აფხაზებმა და რუსებმა რამდენჯერმე სცადეს ხეობის შტურმი, როცა არაფერი არ გამოუვიდათ, თავი დაგვანებეს. სააკაშვილის ხელისუფლებამ და მათმა პატრონებმა კარგად იცოდნენ, რომ სანამ კოდორი მათი არ იქნებოდა, აფხაზეთის აღიარება არ მოხდებოდა. ამიტომ ყველაფერი გააკეთეს ხეობის გადასაცემად. ამ მიზნის მისაღწევად ჩემი ოჯახიც გაწირეს. ღმერთმა არ გაგვწირა, თორემ სახელმწიფოსგან უკვე გაწირულები ვიყავით. საქართველოს დაცვაში შეტანილი წვლილისთვის მე დაჯილდოვებული ვარ და კაპიტნის წოდებაც მომცეს. ნაციონალებმა კი 6 წელი და 6 თვით ციხეში ჩამსვეს. თავიდან 18 წელს ითხოვდნენ, მაგრამ დანაშაული ვერ დამიმტკიცეს. ახლა თავისუფალი ვარ და ბედნიერი ვარ იმით, რომ ხეობაში ახლაც ჩემები არიან.

***— თქვენი შვილი დღეს იქ ცხოვრობს?***

— იქ ცხოვრობს. ჩემი ბაჩო პატრონობს დღეს ხეობას. და ვინ იცის, რამდენ ფათერაკს არის გადარჩენილი. იცით, რამდენი კაცი შეაგზავნა ჩვენმა ხელისუფლებამ ბაჩოს მოსაკლავად? რამდენიმე კაცი სოხუმის ციხეში ზის. ისინი აფხაზებმა დააკავეს.

***— ჩვენს ხელისუფლებას როცა ამბობთ, რომელს გულისხმობთ, ახალს თუ ძველს?***

— რა თქმა უნდა, ძველს. ამჟამად მსგავსი არაფერი ხდება. სააკაშვილი და მისი ხელისუფლება კი ამ მიზნის მისაღწევად ყველაფერს აკეთებენ. ბაჩოს მოსაკლავად ჩემი მკვიდრი ნათესავიც კი დაიქირავეს.

***— ეს ნათესავმა გითხრათ?***

— ის ახლა სოხუმის ციხეშია. მან აღიარა, რომ ამ საქმის შესასრულებლად დიდი ფული მისცეს. სააკაშვილმა აფხაზებიც კი მოისყიდა, მაგრამ ღმერთმა დაიფარა ჩემი ბაჩო. ისედაც რამდენი უბედურება აქვს გადატანილი ამ ბიჭს. სამჯერ არის დაჭრილი, სამჯერ აქვს მიღებული კანტუზია. სააკაშვილის ხელისუფლებამ ჩემი მოკვლაც სცადა. ეს ციხეში მოხდა.

***— რაიმე პროვოკაცია მოგიწყვეს?***

— ამის მცდელობები იყო. ყველაზე დიდი ხიფათი კი ქალთა ციხეში მომხდარი ე.წ. ბუნტის დროს მელოდა. ბრძანება იყო გაცემული, რომ მაშინ ჩემთვის და მაია თოფურიასთვის ესროლათ. მაგრამ ამის საბაბი არ მივეცით და გადავრჩით.

***— გაურკვეველი ვითარებაა შექმნილი თქვენი ძმის, ემზარ კვიციანის გარშემოც. ყველას გვეგონა, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ის მარტივად ჩამოვიდოდა საქართველოში. ასე არ მოხდა. რჩება შთაბეჭდილება, რომ არც ახალ ხელისუფლებას უნდა, რომ ის სამშობლოში დაბრუნდეს.***

— ემზარის საქმე მართლა გაუგებარია. მე ძალიან მიკვირს რატომ არავინ არ ინტერესდება ამ საქმით. არ მინდა ვიფიქრო, რომ ახალი ხელისუფლებაც ძველების გზას ადგას. ეტყობა, ვიღაცას ეშინია, ემზარმა რამე ისეთი არ თქვას. ამიტომაც არ აძლევენ მას პოლიტდევნილის სტატუსს.

***— ამ სტატუსის გარეშე რომ ჩამოვიდეს, რა მოხდება?***

— როგორ უნდა ჩამოვიდეს, როცა მას რუსეთის დატოვების უფლება არა აქვს. რატომღაც ასეთი საბუთი მისცეს. ესეც იმის დასტურია, რომ 2006 წლის პროვოკაცია რუსებმა და სააკაშვილმა ერთად დაგეგმეს. მის ცოლ-შვილსაც პრობლემა შეუქმნეს. ისინი რამდენიმე თვის წინ საქართველოში დაბრუნდნენ, მაგრამ საკუთარ სახლში შესვლას ვერ ახერხებდნენ. სახლი დალუქული იყო. ჟურნალისტმა ნინო ჯღარკავამ ამაზე კარგი გადაცემა გააკეთა და შსს-მ ჩემი რძალი და სამი ბავშვი სახლში შეუშვა. ამისთვის ირაკლი ღარიბაშვილსაც მინდა მადლობა ვუთხრა. მართლა ძალიან მიკვირს, რატომ არ აინტერესებს ამ ხალხს კოდორის ამბების გამოძიება. ხომ უნდა გაარკვიონ, რატომ გააკეთა ემზარმა ის, რაც გააკეთა.

***— მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და დღემდე ბოლომდე არ ვიცით, რატომ მოაწყო თქვენმა ძმამ 2006 წლის ივლისში ე.წ. ამბოხება. თქვენ რას იტყვით ამაზე?***

— იმ პერიოდში ჩვენ დედა გარდაგვეცვალა. მისი ორმოცისთვის ვემზადებოდით. ემზარი მოულოდნელად ამოვიდა ხეობაში. ცუდ ხასიათზე იყო და აგრესიულად იქცეოდა. დავურეკე და ვკითხე, რას შვრები-მეთქი. მე ვიცი, რასაც ვშვრები, ესენი ხეობის ჩაბარებას აპირებენ და ცოცხალი თავით არ დავთმობო. მერე გაუწია წინააღმდეგობაც და მოხდა ის უბედურება, რაც ყველამ ვნახეთ. ემზარს ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჩააწვეთეს ინფორმაცია, რომ ვიღაცები ხეობის ჩაბარებას აპირებდნენ. უთხრეს, შედი, წინააღმდეგობა გაუწიე და ჩვენც დაგეხმარებითო. ემზარისთვის ხეობა სიცოცხლეზე მეტია და სასწრაფოდ ამოვიდა კოდორში და დაიწყო ის გაუგებრობა.

***— ვინ მიაწოდა ეს ინფორმაცია თქვენს ძმას?***

— ამაზე, ალბათ, თავად ემზარი ისაუბრებს. მას ხეობის ჩაბარებაზე ბევრი რამის თქმა შეუძლია. საკვირველია, რატომ არ ინტერესდება ამით ახალი ხელისუფლება. 2006 წელს მოაწყვეს პროვოკაცია, რომელშიც ჩემი ძმა სპეციალურად გარიეს, რათა ის კრიმინალად გამოეცხადებინათ და ქვეყნიდან გაექციათ. კოდორის ხეობა 2008 წელს კი არა 2005 წელს ჩააბარეს რუსებს.

***— რანაირად?***

— 2005 წელს ირაკლი ოქრუაშვილმა გააუქმა ბატალიონი „მონადირე“. ეს ფორმირება ადგილობრივი მოსახლეობისგან იყო დაკომპლექტებული. ისინი თავდაცვის სამინისტროს დავით თევზაძემ დაუქვემდებარა. მათ სათანადო მომზადებაც გაატარეს. ირაკლი ოქრუაშვილმა „მონადირე“ გააუქმა და ხეობა დაუცველი დატოვა. 2006 წელს ხეობიდან ჩვენც გაგვყარეს. მოიშორეს ის ხალხი, ვინც ხეობას მოწინააღმდეგეს არ დაანებებდა. დღეს ოქრუაშვილი თავს იწონებს რაღაცებით და ამაყად ლაპარაკობს. ძალიან მიკვირს, კოდორთან დაკავშირებით რატომ არ უსვამთ ჟურნალისტები კითხვებს. თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა პირადად მივმართო მას. კოდორის ხეობაში რომ შემოხვედით, ჩემს სახლზე დროშა აღმართეთ, თითქოს მტრის დედაქალაქი აგეღოთ.

ახლა გეკითხებით, რას ზეიმობდით, ბატონო ოქრუაშვილო, იმას, რომ ხეობის დამცველები გაგვყარეთ იქიდან? და დაბომბვის დროს საწყალი ქალი, ობოლი ბავშვების დედა, რუსუდან გუგუსიანი მოკალით? მე მიხარია, რომ ეს ადამიანი დღეს პატიმარი არ არის, მაგრამ ახლა უნდა გამოვიდეს და გასცეს კითხვებს პასუხი. ხეობის მოსახლეობას აუხსნას რატომ გააუქმა ბატალიონი „მონადირე“, რატომ შემოიყვანა ჯარი ხეობაში, რატომ დაბომბა ხეობა? თუ სააკაშვილის ბრძანებით გააკეთა, გამოვიდეს, თქვას, რომ პრეზიდენტმა უბრძანა და სხვანაირად არ შეეძლო, ხმები მომივიდა, რომ თითქოს ნანობს, რაც კოდორში გააკეთა.

***— დარწმუნებული ხართ, რომ ნანობს?***

— არ ვიცი. თუ ნანობს, გამოვიდეს და ხალხის წინაშე ბოდიში მოიხადოს.

***— ბოდიში საკმარისია?***

— საკმარისი არ არის. ამით ხეობას ვერ დავიბრუნებთ. მას მართლა თუ უნდა მონანიება, მაშინ უნდა გამოვიდეს და სიმართლე თქვას. უნდა აღიაროს, ვინ იდგა იმ შეთქმულების უკან, რომელიც ხეობის ჩაბარებით დასრულდა. მე გითხარით, რომ ხეობა 2005 წელს ჩააბარეს. ამის სამზადისი კი 2004 წელს დაიწყეს. 2004 წლის შემოდგომაზე თავდაცვის მაშინდელი მინისტრი გია ბარამიძე ჩამოვიდა ხეობაში. ჩაატარა მცირე თათბირი. სადაც დაგვპირდა, რომ ყველანაირად გვერდით დაგვიდგებოდა. უშგულის ულელტეხილიდან იარაღი შემოზიდეს. ბატალიონი მართლაც კარგად აღიჭურვა. მერე დაინიშნა ოქრუაშვილი და მან გააუქმა დაჯგუფება. ხალხს იარაღი შერჩა. საწყობები სავსე იყო სამხედრო ტექნიკით. ამასთან დაკავშირებით ჩემგან წამოვიდა არაერთი სატელეფონო ზარი, პარლამენტსაც მივმართე — რას შვრებით, რას აკეთებთ-მეთქი, მაგრამ არსაიდან ხმა, არსით ძახილი; უკანონო ფორმირებად ვიქეცით, ამ დროს ხეობა დასაცავი იყო. ჩვენ ვითხოვდით, ან დაებრუნებინათ ჩვენთვის იურიდიული სტატუსი, ან რამენაირად დაეცვათ ჩვენი უსაფრთხოება. ამისთვის ხელისუფლებამ 2006 წელს ჯარი შემოიყვანა და დაარღვია ხელშეკრულება აფხაზებთან და რუსებთან, რომელიც 1994 წელს გაფორმდა. ამ ხელშეკრულების თანახმად, ხეობაში არც ერთი ქართული დანაყოფი არ უნდა ყოფილიყო, ადგილობრივებისგან დაკომპლექტებულის გარდა. პირველი ეჭვიც და უნდობლობაც მაშინ გაჩნდა. როგორც უკვე გითხარით, რუსებთან რომ არ ყოფილიყვნენ შეთანხმებულები მათ იქ არავინ არ გამოატარებდა. ამიტომ უნდა თქვას ირაკლი ოქრუაშვილმა სიმართლე და ახალმა ხელისუფლებამ კი ყველაფერი გაარკვიოს. მე ჩემი სიმართლის დასამტკიცებლად ყველაფერს გავაკეთებ.

2013, 23 სექტემბერი, №225

# „პოლიგრაფისტის ბედით მხოლოდ ბიზნესომბუდსმენი დაინტერესდა?

როლანდ ხოჯანაშვილი

კომუნისტური ეპოქის დასრულების შემდეგ სახელმწიფო ქონების ნაწილი უგვზო-უკლოდ გაქრა, ნაწილი კი, რომელსაც პერსპექტივა ჰქონდა, სააქციო საზოგადოებად გადაკეთდა და სწორი მენეჯმენტის შემთხვევაში კიდეც გახდა წარმატებული. საქართველოში სასტამბო და საგამომცემლო საქმიანობა საკმაოდ მომგებიანი იყო, ამიტომ ძალიან ბევრმა მოჰკიდა ხელი ამ საქმიანობას. აჭარაში მოქმედი გამომცემლობა ,,პოლიგრაფისტი" ჩვენს რეალობაში ერთ-ერთი ყველაზე ,,სტაჟიანი" იყო და მისი აქციების 35%-ის მფლობელები შოთა და ჯემალ ფუტკარაძეები არიან. დანარჩენი 65% მფლობელი 80-ამდე ადამიანია, აქიდან 56% ,,პოლიგრაფისტის" დირექტორის ილია ქამადაძის არის. საუკუნის ისტორიის მქონე ,,პოლიგრაფისტს" პრობლემები შეექმნა, რომელზეც გვესაუბრა გამომცემლობის მესვეურები: ,,გამომცემლობა "პოლიგრაფისტი" ჩამოყალიბდა 1901 წელს. ეს იყო ერთ-ერთი პირველი სტამბა, რომელიც აჭარის რეგიონში ჩამოყალიბდა. გამომცემლობა სხვადსხვა დროს თანამშრომლობდა აჭარის რეგიონის ძირითად ჟურნალ-გაზეთებთან (მათ შორის გაზეთი ,,აჭარა",მისი რუსული ანალოგი ,,ადჟარია", ჟურნალი ,,ჭოროხი", გაზეთი "ბათუმელები"). სტამბის დახურვამდე გამომცემლობაში გამოდიოდა გაზეთი ,,აჭარა".1996 წლამდე გამომცემლობა „პოლიგრაფისტი" იყო აჭარის პოლიგრაფიული წარმოების საბაზო საწარმო. 1996 წელს სახელმწიფოს მიერ დაარსებული იქნა სააქციო საზოგადოება „პოლიგრაფისტი", ნაწილი აქციების გაუნაწილდა თანამშრომლებს, ნაწილი დარჩა სახელმწიფო საკუთრებაში, ნაწილი გასხვისდა პრივატიზაციის გზით. 2006 წელს სახელმწიფომ გაყიდა თავისი კუთვნილი წილი და მთლიანად გამომცემლობა აღმოჩნდა კერძო აქციონერების ხელში. 2009 წელს აქციონერების მხრიდა მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საწარმოს გაყოფის შესახებ, 65% და 35%-ზე. "

2010 წელს 35%-ის მფლობელმა, ორმა აქციონერმა, მიმართა სასამართლოს გამომცემლობის გაყოფის თაობაზე. გამომცემლობას გაყოფაზე უარი არ უთქვამს, ისინი ცდილობდნენ გამომცემლობის კანონიერი გზით გაყოფას. 2011 წლის 31 მარტის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დავალდებულდა სს ,,პოლიგრაფისტი" შეასრულოს 2009 წლის 10 ოქტომბრის სს ,,პოლიგრაფისტის" აქციონერთა კრების გადაწყვეტილება. კერძოდ, გაყოს საწარმო ნატურით. ამ გადაწყვეყილების საფუძველზე კომპანიის გაყოფის მიზნით დაიწყო სააღსრულებო წარმოება. იმის მაგივრად, რომ აღსრულების ეროვნულ ბიუროს თავდაპირველად დაეკმაყოფილება კრედიტორთა მოთხოვნები, რაც კანონით არის გათვალისწინებული, აღსრულების ბიურომ უკანონოდ ჩამოართვა გამომცემლობას 1579 კვ.მ ფართობი, (სასამართლო განაჩენში ფართის გაყოფის შესახებ არაფერია ნათქვამი, შესაბამისად, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ თვითნებურად ჩამოაჭრა გამომცემლობას აღნიშნული ფართობი, რაც უკანონობაა. ყადაღა დაედო გამომცემლობა „პოლიგრაფისტის" ქონებას. 1579 კვ.მ ფართობის მესამე კომპანიაზე გაფორმების შემდეგ, გამომცემლობამ შეწყვიტა მუშაობა, რადგან სტამბა სწორედ ამ ფართობზე იყო განთავსებული. დღეს დაზგები ერთ ოთახშია მოთავსებული, ამიტომაც სტამბა დროებით გაჩერებულია. გამომცემლობა „პოლიგრაფისტი" აპირებდა გაფართოებას, ბათუმის მერიის არქიტექტურული სამსახურის მიერ პროექტი უკვე დამტკიცებულია. იმის მაგივრად, რომ მომხდარიყო ადგილობრივების დასაქმება, დღეს სტამაბაში მომუშავე ადამიანები უმუშევრები დარჩნენ.

,,პოლიგრაფისტის" მოწინააღმდეგე აღმოჩნდა ,,მირათი". კომპანია „მირათი" ჩამოაყალიბეს საწარმოს ყოფილმა აქციონერებმა. როგორც ,,პოლიგრაფისტელები" აცხადებენ ,იმის მაგივრად, რომ საწარმო გაყოფილიყო აქციონერების 35% და 65%-ის მიხედვით, აღსრულების ეროვნულმა ბიორომ 35% მფლობელ აქციონერებს პირდაპირ მისცა საწარმოს ქონება. სააღსრულებო ბიურომ, სააღსრულებო ფურცლის თითქოსდა აღსრულების უზრუნველსაყოფად, ყადაღა დაადო სს ,,პოლიგრაფისტის" ქონებას. ამ დროს კი საწარმოს გაყოფა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა კრედიტორთა მოთხოვნები იქნება დაკმაყოფილებული. კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების ერთადერთი გზა კი საწარმოს ქონების დიდი ნაწილის რეალიზაციაა. სააღსრულებო ბიურომ ვერ შეაფასა სს ,,პოლიგრაფისტის" ქონება (რომლის ნაწილიც მის მიერვე იყო გადაცემული შპს ,,მირათზე"). იმის გამო, რომ ქონება არ იყო გამიჯნული და ცალკე დარეგისტრირებული, პოლიციამ კანონსაწინააღმდეგოდ (და მიუხედავად სააღსრულებო ბიუროს წერილისა) მოახდინა გაუმიჯნავი ქონებიდან სს ,,პოლიგრაფისტის" გამოსახლება . სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის მე -17 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად აღმასრულებელი ვალდებულია მიიღოს ყველა კანონიერი ზომა გადაწყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისათვის, განუმარტოს მხარეებს მათი უფლებები და მოვალეობები, აღსრულების ცალკეული სახეების შინაარსი და შესაძლებლობები, დაეხმაროს მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში.

,,მიუხედავად ამისა, სააღსრულებო ბიურო (ჩვენი არაერთი მიმართვის მიუხედავად) არ განგვიმარტავს თუ რა უნდა გააკეთოს სს ,,პოლიგრაფისტმა" აღნიშნული სააღსრულებო ფურცლის აღსრულების მიზნით",– აცხადებს ,,პოლიგრაფისტის" პრეს-სამსახური.

გამომცემლობა „პოლიგრაფისტი" აპირებს აღსრულების ეროვნული ბიუროს უკანონობის გასაჯაროებას. გამომცემლობა დახმარების მიზნით მიმართვას არასამთავრობო ორგანიზაციებს, სახელმწიფო უწყებებს, რათა მოხდეს დროული რეაგირება აღსრულების ბიუროს უკანონო ქმედებაზე. დღეისთვის გამომცემლობამ უკვე მიმართა წერილით ბიზნეს ომბუდსმენს, სახალხო დამცველს, საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, ფინანსთა მინისტრს, იუსტიციის სამინისტროს, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. გამომცემლობა ელოდება მათაგან რეაგირებას, რათა შეძლოს კანონიერების აღდგენა და ფუნქციონირების გაგრძელება. თუ გამომცემლობამ საქართველოში ვერ მიაღწია კანონის უზენაესობას, „პოლიგრაფისტი" აპირებს მიმართოს ევრო სასამართლოს (ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო), რადგანაც კერძო საკუთრება დაცულია ევროკონვენციით, თუმცა აქამდე ამ საკითხით მხოლოდდ ბიზნესომბუნდსმენი დაინტერესდა.

# გია ვოლსკი: „ის, რაც ახლა საოკუპაციო ხაზთან ხდება, წინა ხელისუფლების მძიმე შეცდომების შედეგია"



პარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ გია ვოლსკიმ შიდა ქართლის გუბერნატორის ზურაბ ჩხეიძის განცხადების კომენტირებისას აღნიშნა, რომელიც დვანში ოკუპანტების მიერ მავთულხლართების გავლებას ხელისუფლების „მაამებლურ პოლიტიკას" უკავშირებს.

„განცხადებები, რომელიც ჩვენი ოპონენტების მხრიდან გაისმის, ცინიკურია, რამდენადაც იმის მიზეზი, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცნება და ადმინისტრაციული საზღვარი გაჩნდა, რომელიც ახლა ოკუპირებულია, ის არასწორი პოლიტიკა და მძიმე შეცდომებია, რომელიც იმ ხელისუფლებამ დაუშვა, რომლის წარმომადგენლები ახლა რატომაღაც, ბედავენ და ხმამაღლა ლაპარაკობენ", – განაცხადა ვოლსკიმ.

ამის შესახებ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი სა-

დვანში ოკუპანტენბმა მავთულხლართების გაბმის პროცესი გუშინ განაახლეს. შედეგად, საოკუპაციო ხაზს მიღმა დამატებით, 500-მდე მეტრი ფართობი მოექცა.

**პირველი**

## რუსმა ოკუპანტებმა სოფელ დვანის მიმდებარე ტერიტორია დატოვეს

როგორც „პირველის" ადგილობრივ კორესპონდენტს დვანის გამგებელმა ზაზა კოპაძემ განუცხადა, „მესაზღვრეებმა" ბოძები ჩაყარეს, თუმცა მავთუხლართების გაბმა ჯერ არ დაუწყიათ. ტერიტორია დატოვა ადგილობრივმა მოსახლეობამაც.

„22 სექტემბრის დილიდან, რაც „მესაზღვრეებმა" სადერმაკაციო სამუშაოები განაახლეს, მათ მუშაობას ადგილობრივებიც აკვირდებოდნენ, თუმცა ამჟამად მოსახლეობაც დაიშალა და ადგილზე პატრულირებას მხოლოდ პოლიცია აგრძელებს", – განაცხადა ზაზა კოპაძემ.

**პირველი**

# საქართველოს შეიარაღებულ ძალებს 796 სამხედრო მოსამსახურე შეემატა

ახალწვეულებმა ფიცი საზეიმო ვითარებაში, ვაზიანში, IV ქვეითი ბრიგადის სამწყობრო მოედანზე დადეს.

სამხედრო ფიცის მიღების საზეიმო ცერემონიალს საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, გაერთიანებული შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ირაკლი ძნელაძე, მისი მოადგილეები და შეიარაღებული ძალების სხვა მაღალი რანგის სამხედრო მოსამსახურეები დაესწრნენ.

ღონისძიებაზე ასევე, სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ალექსანდრე პეტრიაშვილი, განათლების მინისტრი თამარ სანიკიძე, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ზალკანიანი იმყოფებოდნენ. თავდაცვის მინისტრმა წვევამდელებს ფიცის მიღება მიულოცა.

„796 ახალგაზრდა ვაჟკაცი დღეს ჩვენ საერთო ოჯახს, ჩვენ შეიარაღებულ ძალებს შემოუერთდა. ძალიან კმაყოფილები ვართ მომზადების დონით. ეხლა ეს ბიჭები საკუთარ ცოდნას უკვე პრაქტიკული გამოცდილებით კიდევ უფრო გაამდიდრებენ. დღეიდან მათი საქმე საქართველოს, სამშობლოს დაცვაა და მე დარწმუნებული ვარ, რომ ესენი ამ ამოცანის შესრულებას ღირსეულად შეძლებენ. ჩვენ გვაქვს ძალიან სერიოზული ჩანაფიქრი, რომ მათი პროფესიული დონე, პრაქტიკულიც და თეორიულიც, კიდევ უფრო გავზარდოთ უცხოელი, გამოცდილი ექსპერტების მონაწილეობით. მე შემიძლია, ამაყად ვთქვა, რომ დღეს საქართველოს შეიარაღებულ ძალებს შეუძლიათ ყველა ამოცანის გადაჭრა, რაც დღეს ჩვენს ქვეყანას და რეგიონის უსაფრთხოებას ემუქრება. რა თქმა უნდა, აქ საუბარია სწორედ მშვიდობიანი ამოცანების გადაწყვეტაზე იმიტომ, რომ მშვიდობას დაცვა სჭირდება და ჩვენ საქართველოს და ჩვენ მშვიდობას მხოლოდ ესეთი ვაჟკაცები დაიცავენ", – განაცხადა ალასანიამ.

ფიცის მიღების ცერემონიალი სამხედრო ორკესტრმა გააფორმა. დღესვე, მოეწყო სარიტუალო ასეულის საჩვენებელი გამოსვლაც.

წვევამდელებმა ჯარისკაცის პირველადი მომზადების ერთთვიანი კურსი გაიარეს. დღეიდან ისინი სპეციალური მომზადების პროგრამას საქართველოს შეიარაღებული ძალების საინჟინრო და პირველ ქვეით ბრიგადაში გააგრძელებენ.

ფიცის მიღების ცერემონიალზე წვევამდელთა ოჯახის წევრებისთვის ღია კარის დღე გამოცხადდა. ოჯახის წევრებს შესაძლებლობა მიეცათ სამწყობრო მოედანზე გამოფენილი სამხედრო შეიარაღება და ტექნიკა დაეთვალიერებინათ.

**პირველი**

# ლიბერთი ბანკის განახლებული სერვის ცენტრი თბილისში

ლიბერთი ბანკი ფილიალებისა და სერვის ცენტრების ქსელის მოდერნიზებასა და გაფართოებას განაგრძობს. 20 სექტემბერს, ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილემ, სანდრო



რთველაძემ თბილისში, ფალიაშვილის ქ. №38-ში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სერვის ცენტრი გახსნა, რომელიც სრულ საბანკო მომსახურებას გაუწევს როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს. სერვის ცენტრში შესაძლებელი იქნება ყველა სახის სესხის აღება, საერთაშორისო და ადგილობრივი ფულადი გზავნილების სისტემებით სარგებლობა, სხვადასხვა ტიპის დეპოზიტების გახსნა, კომუნალური გადასახადების დაფარვა.

2012-2013 წლებში ლიბერთი ბანკმა მთელი საქართველოს მასშტაბით 30-ზე მეტი ახალი ფილიალისა და სერვის ცენტრის გახსნა და მოდერნიზება მოახდინა. ლიბერთი ბანკს საქართველოში ყველაზე ვრცელი საბანკო ქსელით არის წარმოდგენილი, რომლის მეშვეობითაც 1.4 მლნ ფიზიკურ და 60 000-ზე მეტ იურიდიულ პირს ემსახურება.

ლიბერთი ბანკის საბაზრო წილი 2013 წლის ივნისის მდგომარეობით, მთლიანი აქტივების მიხედვით 7.7%-ს შეადგენს.

## ალავერდის სამონასტრო კომპლექსი დაიტბორა

ძლიერი წვიმის შედეგად კახეთში მდინარე ლოპოტა ადიდდა. კალაპოტიდან გამოსულმა მდინარემ საცხოვრებელი სახლები დატბორა. პრობლემები შეექმნა თელავის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელს. ადგილზე მობილიზებულია სამაშველო ჯგუფები.

ძლიერი წვიმის შედეგად ადიდდა და ნაპირებიდან გადავიდა მდინარე ალაზანი. დატბორილია სოფელი ალავერდი, დახოცილია შინაური ფრინველი და ცხოველები. დატბორილია ალავერდის სამონასტრო კომპლექსი.

,,გუშინწინდელმა წვიმამ თელავის რაიონში გამოიწვია პრობლემები. მობილიზეებულია სამაშველო სამსახური რომელიც მთელი დღის განმავლობაში იმუშავებს ,,, – განაცხადა თელავის გამგებელმა გივი მეტრეველმა.

**მედიანიუსი**

## წეროვანთან მომხდარ ავარიას ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

წეროვანთან მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ავტობანზე ერთმანეთს ორი მიკროავტობუსი შეეჯახა. ავარიის შედეგად 11 ადამიანი დაშავდა, ერთი კი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

უმძიმეს მდგომარეობაშია 1,4 წლის გოგონა, რომელიც იაშვილის სახელობის კლინიკაში, რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული. სხვა დაშავებულები მცხეთის ,,ჯეო ჰოსპიტალში" მკურნალობენ. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

**მედიანიუსი**

## უამინდობის გამო რთველი შეჩერდა



21 სექტემბერს მოსული ძლიერი წვიმის მიუხედავად, კახეთის რეგიონში ვენახებს ზიანი არ მიყენებია. ამის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე დავით შერვაშიძემ განაცხადა.

მისი თქმით, უამინდობის გამო რთველი დროებით შეჩერებულია და სანამ ყურძენი არ გაშრება, ჩაბარების პროცესიც შეჩერდება.

მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, კახეთში, თელავის რაიონში სტიქიას მოსახლეობა მნიშვნელოვნად არ დაუზარალებია. დაიტბორა სამი საცხოვრებელი სახლი. მცირე ზიანი მიადგია ინფრასტრუქტურას. მდინარე ალაზნის ადიდებამ გამოიწვია სანიაღვრე არხების ადიდება და გადმოდინება საავტომობილო გზაზე. თუმცა ამის გამო საავტომობილო მოძრაობა არ შეფერხებულა. სოფლის მეურნეობის სამინისტრო ადგილობრივ თვითმმართთველობასთან ერთად მობილიზებულია მოსახლეობის დასახმარებლად წვიმის შედეგად მიყენებულია პრობლემის აღმოსაფხვრელად.

**მედიანიუსი**

## ორი ძებნილი დააკავეს

სამართალდამცველებმა 1987 წელს დაბადებული გიორგი ბ. და 1987 წელს დაბადებული პეტრე ს. თბილისში, ორთაჭალის ავტოსადგურთან დააკავეს. შსს-ს ინფორმაციით, აღნიშნული პირები თეთრიწყაროს რაიონული სამმართველოს მიერ 2012 წლის 20 ივლისიდან ორი მოქალაქის დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის სსსკ-ს 19-109 მუხლით იძებნებოდნენ.

2012 წელს სასამართლომ გიორგი ბ-ს დაუსწრებლად 12 წელი, პეტრე ს-ს კი 13 წელი მიუსაჯა. ამჟამად დაკავებულები სასჯელაღსრულების მე-8 დაწესებულებაში არიან შესახლებულები.

**პირველი**

# ქართული სინამდვილის პოლიტიკური ავიადუელი

ქართული პოლიტიკური რეალობა, 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ სულ უფრო და უფრო ემსგავსება 2002 წელს, მაშინ როცა ოპოზიციაში მყოფი მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი ნებისმიერი საშუალებით ცდილობდნენ არსებული ხელისუფლების დისკრედიტაცია მოეხდინათ და ამისთვის არაფერს, მათ შორის არც ავანტიურას და არც სითავხედემდე მისულ ცილისწამებას არ ერიდებოდნენ.

როგორც ჩანს მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური ბრძოლის არსენალი არც ისე მრავალფეროვანია, რადგან ის დღესაც სწორედ იმავე მეთოდებით ცდილობს საზოგადოებრივი აზრის შემობრუნებას, როგორც მან ეს 2002-2003 წლებში მოახერხა.

თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ქართველ ხალხს ეს „სერია უკვე ნანახი აქვს.“



მიუხედავად ამისა, მიხეილ სააკაშვილი და მისი პოლიტიკური გუნდი რეალობასთან შეგუების სანაცვლოდ, კვლავ ძველი, დემაგოგიური მეთოდებით ცდილობს საზოგადოებრივი აზრის შემობრუნებას, რისი ერთ-ერთი ნათელი გამოხატულებაც, ბოლო დროს აგორებული ე.წ. „ვერტმფრენების სკანდალი“ იყო, რომელიც აშკარად პოლიტიკურ ხასიათს ატარებს და რომელიც შეიძლება „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ „პოლიტიკურ ავიადუელად“ მოვიხსენიოთ.

მართლაც სასიცოცხლოდ ესაჭიროება თუ არა საქართველოს თავდაცვის სისტემას ის ძვირადღირებული ვერტმფრენები, რომლებიც მიხეილ სააკაშვილმა თავის დროზე საფრანგეთს შეუკვეთა ან არის თუ არა ამ მიმართულებით ქართულ რეალობაში ისეთი კატასტროფული მდგომარეობა, როგორიც მიხეილ სააკაშვილმა დახატა, როცა განაცხადა, რომ თურმე პრაქტიკულად საქართველოს ვერტმფრენი არც კი ჰყოლია.

დავიწყოთ იქედან, რომ ვერტმფრენები, რომლებშიც ქართულმა მხარემ ათეულობით მილიონი დოლარი გადაიხადა, საქართველოს თავდაცვის სისტემას ისეთ დონეზე ნამდვილად ვერ გააძლიერებდა, რომ ამხელა თანხის გაღება გამართლებული ყოფილიყო.

ამასთან, საკმაოდ საეჭვოა ის ფაქტი, რომ ეს მფრინავი საშუალებები ისეა მოდერნიზებული, რომ პრაქტიკულად სამოქალაქო დანიშნულების უფროა, ვიდრე სამხედრო.

მართალია პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ვერტმფრენების სამოქალაქო ყაიდაზე მოდერნიზაცია ტაქტიკური სვლა იყო და ამით რუსეთს, რომელიც ქართული შეიარაღებული ძალებისთვის ამ ვერტმფრენების მიყიდვის კატეგორიული წინააღმდეგი იყო, – თვალები ავუხვიეთო, მაგრამ ეს განცხადება საზოგადოებამ მისი მხრიდან დაახლოებით იმავე დონეზე დაიჯერა, როგორც განცხადება 2008 წლის ომის მოგების შესახებ.

ფაქტია, რომ მიხეილ სააკაშვილი ფუფუნების მოყვარული ადამიანია, რაც მის მიერ ხელისუფლების ხელში აღების შემდეგ არაერთი ფაქტით დადასტურდა და თუ ჯერ კიდევ შევარდნაძის ოპოზიციაში მყოფი მიშა აცხადებდა, რომ ევროპაში მინისტრები სამსახურებში ველოსიპედებით დადიან და ჩვენთან იგივე თანამდებობის პირები ჯიპებით დადიანო, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, მან თავისი გუნდის წევრებს ისეთი მანქანების შეძენის შესაძლებლობა მისცა, რომ შევარდნაძის დროინდელ მინისტრებს არც კი დაესიზმრებოდათ. აღარაფერს ვამბობ იმ სახლების ფოტოებზე, რომლებსაც სააკაშვილი შევარდნაძეს უფრიალებდა და ეუბნებოდა, რომ მისი ჩინოვნიკები სასახლეებს იშენებდნენ.

შევარდნაძის დროინდელი ჩინოვნიკების სასახლეები მიხეილ სააკაშვილის ჩინოვნიკების სასახლეებთან უბრალო ხუხულად შეიძლება მოგეჩვენოთ და რა გასაკვირია, რომ მიხეილ სააკაშვილი არ დასჯერდებოდა ასევე შევარდნაძის დანატოვარ და აკაკი ჩხაიძის მიერ ნაყიდ ძალიან ძვირადღირებულ და კომფორტულ ვერტმფრენს, რომლითაც ის რამდენიმე წლის განმავლობაში სარგებლობდა.

ხოლო რაც შეეხება განცხადებას იმის შესახებ, რომ თუ ამ ვერტმფრენებს მოგვყიდდა, რუსეთი საფრანგეთს სანქციებით დაემუქრა და ნიკოლა სარკოზის უშუალო ჩარევით მოხერხდა, რომ სამოქალაქოდ ტრანსფორმირებული ვერტმფრენების შეძენა მაინც მოვახერხეთ და რუსეთის დაზვერვას თვალები ავუბითო, – ეს ფრაზა შეიძლება ყველა იმ სულელურ ფრაზებს შორის ერთ-ერთ მოწინავე ადგილზე დავაყენოთ, რაც ოდესმე მიხეილ სააკაშვილს უთქვამს.

მიხეილ სააკაშვილის მიერ 2008 წლის სამხედრო ავანტიურის გამო დემორალიზებულ ქართულ თავდაცვის სისტემას რომ 2 თუ 3 ფრანგული, თუნდაც უმაღლეს დონეზე შეიარაღებული და უმაღლესი დონის სანავიგაციო სისტემით აღჭურვილი ვერტმფრენი ვერაფერს უშველიდა, ეს ყველაზე კარგად რუსეთმა იცოდა და ის ნამდვილად არ წავიდოდა ამის გამო დიპლომატიურ სკანდალზე ისეთ ქვეყანასთან, როგორიც საფრანგეთია, რომლის უკანაც მთლიანად ევროპა, ნატო და ევროკავშირი დგას.

ასე, რომ მიხეილ სააკაშვილის ეს განცხადება, მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის იყო განკუთვნილი, პროფესიონალური თვალსაზრისით კი, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს დემაგოგიური განცხადებები, აღარც შიდა მოხმარების დროს ჭრის და ის უფრო, იმ ერთი მუჭა ფანატების ფსიქიკაზე თუ მოქმედებს, რომლებსაც მის მიმართ სასწაულებრივი რწმენა ჯერ კიდევ შემორჩათ.

საზოგადოებას კი ეჭვი არ ეპარება, რომ მიხეილ სააკაშვილი აღნიშნულ ვერტმფრენებს სწორედ პირადი ფუფუნების და პირადი ხუშტურების დაკმაყოფილების გამო ყიდულობდა, რასაც თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას განცხადებაც ამყარებს, რომლის თანახმადაც, აღნიშნულ ვერტმფრენებს არანაირი სამხედრო დანიშნულება არ გააჩნდათ და უფრო მეტიც, ერთი მათგანი ისე იყო მოდერნიზებული, რომ პილოტის გარდა მხოლოდ ერთი პერსონის ტრანსპორტირებას შეძლებდა.

სასაცილოზე უფრო მეტია პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანდრო ბარნოვის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ ვერტმფრენები საქართველოში მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო ვადის დასასრულს უნდა ჩამოგვეტანა და შესაბამისად, აზრი იმის შესახებ, რომ მიხეილ სააკაშვილმა ეს ვერტმფრენები პირადი სიამოვნებისთვის იყიდა ლოგიკას მოკლებულიაო.

არ ვიცი რას ფიქრობს ბატონი ანდრო მიხეილ სააკაშვილის დროს განხორციელებულ საკონსტიტუციო ცვლილებებზე, მითუმეტეს, რომ იმ პერიოდში ის „დამოუკიდებელი ექსპერტი“ და ნაციონალების მიერ კონტროლირებადი ტელევიზიების თითქმის უცვლელი სახე იყო, მაგრამ სჯობს გულუბრყვილობანას თამაშს ყველამ თავი დავანებოთ და ვაღიაროთ, რომ მიხეილ სააკაშვილი არსად წასვლას არ აპირებდა და ის ხელისუფლებას მხოლოდ ფორმალურად თუ გადააბარებდა მომავალ პრეზიდენტს.

მომავალი პრეზიდენტი კი, სააკაშვილის სცენარით, სავარაუდოდ გიგი უგულავა ან დავით ბაქრაძე უნდა ყოფილიყო, თუმცა, ამ ორი კანდიდატურიდან, უფრო სავარაუდოა, რომ სააკაშვილი არჩევანს დავით ბაქრაძეზე შეაჩერებდა, რადგან ის ძალიან ადვილი სამართავი და სათანადო ფორმის მისაცემად, პლასტელინზე უფრო მეტად რბილია.

ასე, რომ ბატონო ანდრო, რომ არა ერთი კაცის განცხადება პოლიტიკაში მოსვლის შესახებ, საქართველოს ოქტომბრიდან სავარაუდოდ ეყოლებოდა პრეზიდენტი დავით ბაქრაძე და პრემიერ-მინისტრი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც ძალაუფლების კვლავ სრული მფლობელი იქნებოდა და რა თქმა უნდა არც იმ ათეულობით მილიონად ღირებული ვერტმფრენებით თავის ფავორიტ გოგონებთან ერთად სეირნობაზე იტყოდა უარს, რომელიც მას თურმე ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად უყიდია.

უფრო მეტიც, როგორც სჩვევია, ამ ვერტმფრენებზე მორიგი პიარ-გოდებისას, მიხეილ სააკაშვილი დაშვებული ნორმის ჩარჩოებს კვლავ გასცდა და განაცხადა, რომ, რომ აღარაფერი ვთქვათ თავდაცვაზე, თურმე საქართველოს იმ შემთხვევისთვისაც კი არ ჰყავს ვერტმფრენები, რომ ხალხს სტიქიური უბედურების დროს მიაშველოს ან მთაში დაკარგულ ტურისტთა ძებნა-გადარჩენის ოპერაცია განახორციელოსო.

თავი რომ დავანებოთ იმ დემაგოგიას, რაც ამ განცხადებაში დევს და ერთი წუთითაც რომ დავუშვათ, რომ ეს მართალია, მაშინ ისმის კითხვა, რას აკეთებდა აქამდე საქართველოს მთავრობა და პირადად პრეზიდენტი, თუ ამ მხრივ მართლაც ისეთი კატასროფული მდგომარეობა იყო, როგორიც სააკაშვილმა დახატა? რატომ არ იყიდა მან მმართველობის თითქმის ათწლიანი პერიოდის განმავლობაში თუნდაც ერთი ვერტმფრენი, რომელიც სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას ან მთაში დაკარგულ ტურისტს მაინც დაეხმარებოდა?

ძნელი დასაჯერებელია, რომ აღნიშნული ფრანგული ძვირადღირებული ვერტმფრენები მიხეილ სააკაშვილმა თავის შემცვლელს სასიამოვნო სიურპრიზად დაუტოვა.

განვლილი პრაქტიკიდან და სააკაშვილის ეგოისტური ბუნებიდან გამომდინარე, უფრო სავარაუდოა, რომ ხალხის ჯიბიდან ამოღებული ათეულობით მილიონ დოლარად ნაყიდი საფრენი აპარატები, თავად მიხეილ სააკაშვილის გაფრენების უზრუნველსაყოფად უფრო იყო განკუთვნილი.

რაც შეეხება ამ საკითხის პროფესიონალური თვალით შეფასებას:

რა თქმა უნდა მიხეილ სააკაშვილის სიტყვები, რომ საქართველოს ვერტმფრენები არ ჰყავსო წმინდა წყლის დემაგოგიაა და ზუსტად ისევე შეეფერება სინამდვილეს, როგორც წინასაარჩევნოდ მის მიერ გაკეთებული განცხადება, 2008 წელს ყველა დევნილი საკუთარ სახლში შეხვდებაო.

თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ მიხეილ სააკაშვილის მმართველობა კიდევ რამდენიმე წელიწადს გასტანდა, მაშინ საქართველო მართლაც შეიძლებოდა აღმოჩენილიყო იმ მდგომარეობაში, როდესაც ის, საფრენი აპარატების არქონის გამო, ელემენტარული ძებნა-გადარჩენის ოპერაციის წარმოებასაც კი ვერ შეძლებდა. ნაკლებადსავარაუდოა, რომ ხევსურეთის სოფლიდან ავადმყოფების გადმოსაყვანად, ან დაკარგული ტურისტების მოსაძებნად მიხეილ სააკაშვილს თავისი ძვირადღირებული ფრანგული ვერტმფრენები გაემეტებინა.

სინამდვილეში კი, საქართველოს შეიარაღებულ ძალებს და ზოგადად ძალოვან უწყებებს, ჰყავს საკმაო რაოდენობის ვერტმფრენები, რომელსაც ემატება ის ზემოთნახსენები ძვირადღირებული ვერტმფრენი, რომელიც თავის დროზე შევარდნაძეს რკინიგზის მაშინდელმა შეფმა აკაკი ჩხაიძემ აჩუქა და რომლითაც მიხეილ სააკაშვილი რამდენიმე წლის განმავლობაში სარგებლობდა.

ასევე დემაგოგიაა პრეზიდენტის განცხადება იმის შესახებ, რომ თითქოსდა საქართველოს ხელისუფლებას და პირადად პრემიერ-მინისტრს, უნდათ რომ არსებული რუსული ვერტმფრენები გაარემონტონ და ამით თანამედროვე სტანდარტების დასავლურ საფრენ აპარატებზე უარი თქვან.

ჯერ ერთი, საქართველოს შეიარაღებული ძალების ვერტმფრენების პარკის შემადგენლობაში, სულ რამოდენიმე რუსული წარმოების ვერტმფრენია, დანარჩენები კი ამერიკული წარმოების „იროკეზის“ ტიპის საფრენი აპარატებია, რომლებიც საქართველოს ამერიკულმა მხარემ საჩუქრად გადმოსცა.

ეს საფრენი აპარატები მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის დროს საკმაოდ კარგ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და შეეძლოთ სრულფასოვნად ეწარმოებინათ ნებისმიერი სამხედრო დავალების შესრულება.

ძნელი სათქმელია რა მდგომარეობაშია ამჟამად „იროკეზის“ ტიპის ამერიკული ვერტმფრენები ან არსებობენ თუ არა ისინი კიდევ და ხომ არ მოხდა მათი ჯართად, ან უკეთეს შემთხვევაში, როგორც საფრენ საშუალებად გასხვისება?

რაც შეეხება რუსული წარმოების ვერტმფრენებს, უნდა ითქვას, რომ მსგავსი ტიპის საფრენი აპარატები, ძირითადად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, უფრო კონკრეტულად კი სასაზღვრო პოლიციას ჰყავდა. ამერიკული „იროკეზების“ მსგავსად, მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის პერიოდისთვის მათი უმრავლესობაც ასევე საუკეთესო მდგომარეობაში იყო და წარმატებით ახორციელებდა როგორც სასაზღვრო საპატრულო დავალებებს, ასევე ძებნა-გადარჩენის ოპერაციებს.

თავად ვარ მომსწრე იმ უგუნური ნაბიჯისა, რაც მიხეილ სააკაშვილის მთავრობამ შინაგან საქმეთა სამინისტროს საკუთრებაში არსებულ ვერტმფრენებს და საავიაციო დანაყოფს დამართა.

მიხეილ სააკაშვილმა, თანამშრომელთა მასობრივი დაჭერებით და სხვა ხერხებით, აიძულა რა სასაზღვრო პოლიციის უფროსი ბადრი ბიწაძე თანამდებობიდან წასულიყო, უმკაცრესად გაუსწორდა სასაზღვრო უწყების იმ დანაყოფებს, რომლებიც მისი ფანტაზიის მიხედვით, შეიძლება ბიწაძის დასაყრდენი ყოფილიყო.

მიხეილ სააკაშვილის მაშინდელ ავადმყოფურ ეჭვიანობას შეეწირა სასაზღვრო პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმი, რომელიც სპეციალურად იყო გაწვრთნილი სამთო საზღვრების დაცვისთვის და რომლებიც, ქვეყნის ჩრდილოეთ საზღვარზე, უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა.

მიხეილ სააკაშვილის ეჭვიანობას და კაპრიზებს შეეწირა აგრეთვე სასაზღვრო პოლიციის ავიაციის სამმართველო, რომელიც თავდაცვის სამინისტროს საავიაციო დანაყოფს შეუერთეს.



როგორც სამხედრო, ასევე საზოგადოებრივი თვალსაზრისით, მსგავსი უგუნურების გაკეთება წარმოუდგენელიც კი იყო, ვინაიდან, როდესაც ჩრდილოეთი საზღვრის პერიმეტრის პატრულირებას საფრენი აპარატის საშუალებით ახორციელებ, კავკასიონის ურთულესი რელიეფის გამო, წარმოუდგენელია, რომ სრულად შენი ქვეყნის ტერიტორიაზე იმოქმედო და გარკვეულ მონაკვეთებზე რუსეთის ფედერაციის საჰაერო საზღვარი არ დაარღვიო.

ასეთ დროს კი, რუსეთის საჰაერო თავდაცვის რადარები, აფიქსირებდნენ რა, რომ მათ ტერიტორიაზე საქართველოს სასაზღვრო ძალების კუთვნილი ვერტმფრენი შევიდა, რეაგირებას არ ახდენდნენ, ვინაიდან ზემოთნახსენებ რთულ რელიეფს ისინიც ითვალისწინებდნენ, მაგრამ ადვილი წარმოსადგენია, რა მოხდებოდა, თუ მათ ტერიტორიაზე უკვე თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი ვერტმფრენი შეფრინდებოდა. რა თქმა უნდა რუსული მხარე ამას საკუთარი საჰაერო სივრცის უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების მიერ დარღვევად აღიქვამდა და ჩვენს ვერტმფრენს დაუყოვნებლივ ჩამოაგდებდა.

კიდევ კარგი, რომ სასაზღვრო პოლიციისთვის საავიაციო სამმართველოს ჩამორთმევისა და თავდაცვის სამინისტროსთვის გადაცემის შემდეგ, აღნიშნული რუსული წარმოების ვერტმფრენები არ გადაღებეს და საზღვრის კონტროლს (თუ ასეთი რამ საერთოდ ხორციელდებოდა) თავდაცვის სამინისტროს ემბლემიანი ვერტმფრენებით არ ახდენდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში მსხვერპლი და უკეთეს შეთხვევაში დიპლომატიური სკანდალი არ აგვცდებოდა.

ასე მიზანმიმართულად ხორციელდებოდა მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დროს ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში არსებული საფრენი აპარატების განადგურება და შესაბამისი დანაყოფების დეგრადაცია, თუმცა საბედნიეროდ, „ნაციონალურმა ხელისუფლებამ“ ეს მთლიანად ვერ მოასწრო.

რაც შეეხება ზემოთნახსენები „პოლიტიკური ავიადუელის“ ეკონომიკურ მხარეს, უნდა ითქვას, რომ არგუმენტები ამ კუთხითაც აშკარად ახალი ხელსისუფლების სასარგებლოდ მეტყველებს.

გარდა იმისა, რომ საფრანგეთში შეკვეთილი ვერტმფრენები ძალიან ძვირი ჯდება, დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული აგრეთვე მათი ეკიპაჟების სწავლება და საფრენი აპარატის სათადარიგო ნაწილები. ამასთანავე, საფრენი აპარატის მოხმარების საყოველთაო წესების თანახმად, ის, გარკვეული საათების ფრენის შემდეგ, აუცილებლად უნდა შემოწმდეს და რეკონსტრუქცია ჩაუტარდეს. ნურავინ იფიქრებს, რომ ამის ხარჯები მცირე თანხას შეადგენს, თუნდაც მხოლოდ იმის გამო, რომ პროფილაქტიკისთვისაც კი, აღნიშნული ვერტმფრენები საფრანგეთში უნდა გაიგზავნოს. რომ აღარაფერი ვთქვათ სათადარიგო ნაწილების და რემონტის ხარჯებზე, მხოლოდ ტრანსპორტირების ხარჯებია კოლოსალური.

ამ ფონზე კი, მთავრობის ინიციატივა, რომ საფრანგეთში შეკვეთილი ვერტმფრენების ფასის სანაცვლოდ ადგილზე არსებული ვერტმფრენები გარემონტდეს, ეკონომიკური კუთხით ძალიან მომგებიანია, ვინაიდან ქართული მხარის ძალოვან უწყებებში არსებული რუსული წარმოების საფრენი აპარატების გასარემონტებლად და სადიაგნოსტიკოდ სადმე წაღება სულაც არაა აუცილებელი და ეს აქვე, 31-ე ქარხანაშია შესაძლებელი.

მითუმეტეს, რომ აღნიშნული ქარხანა, სწორედ მსგავს შეკვეთებს იღებს პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან, ძირითადად კი შუა აზიის რესპუბლიკებიდან.

ანუ, გარდა იმისა, რომ არსებული ვერტმფრენების გარემონტება გაცილებით უფრო იაფი დაგვიჯდება ვიდრე ფრანგული ვერტმფრენების შესყიდვა-შენახვა, გასათვალისწინებელია, რომ სარემონტო თანხებიც აქვე, ქართულ საწარმოში დარჩება და მისი საზღვარგარეთ გადინება არ მოხდება.

ასე, რომ არავითარი საჭიროება საქართველოს და მითუმეტეს ქართულ არმიას ასეთი ძვირადღირებული ვერტმფრენების შეძენისა არ გააჩნია და იქედან გამომდინარე, რომ საქართველოს მომავალი პირველი პირი სავარაუდოდ, ისეთი ფუფუნების მოყვარული ნამდვილად არ იქნება, როგორც მიხეილ სააკაშვილია, ალბათ ყველაზე უკეთესი გამოსავალია, რომ ეს ვერტმფრენები თუნდაც წაგებით, მაგრამ მაინც გაიყიდოს, ვინაიდან ეს ის შემთხვევაა, როდესაც გაფუჭებულ საქმეს უკვე ვეღარაფერს უშველი, ხოლო შანსი იმისა, რომ ეს საქმე უფრო მეტად არ გააფუჭო, ჯერ კიდევ არსებობს.

რაც შეეხება აღნიშნული თემის პოლიტიკურ ჭრილში გადატანას, ეს რა თქმა უნდა მიხეილ სააკაშვილის პიარის ნაწილი იყო, თუმცა მაინც უპრიანია, რომ შესაბამისი უწყებების მხრიდან, საზოგადოებას ამ საკითხზე უფრო მეტი ინფორმაცია მიეწოდოს, ანუ გაკეთდეს დასკვნა და გასაჯაროვდეს ინფორმაცია იმის, შესახებ, თუ როგორ იყო გადაკეთებული ერთი პიროვნებისთვის კომფორტის შექმნის მიზნით აღნიშნული საფრენი აპარატები და რა დაჯდა თუნდაც ეს გადაკეთება, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი დღეს ტაქტიკური მოსაზრებით ხსნის და აცხადებს, რომ ამ ნაბიჯით მან რუსეთის დაზვერვა გააცურა.

როცა ამა თუ იმ ძალის წინააღმდეგ დემაგოგია იბრძვის, ამ ძალას სრული უფლება აქვს, დემაგოგიას სიმართლე მაინც დაუპირისპიროს, თუმცა უფლებიდან შესაძლებლობამდე, დღევანდელ რეალობაში როგორც ჩანს საკმაოდ დიდი მანძილია.

**ალეკო ჩუბინიძე**
*სააგენტო ნიუსპრესი*

# ბათუმის თეატრის მსახიობები სასამართლოში ჩივიან

ეკა ირემაშვილი

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობებს სასამართლოში სარჩელი შეაქვთ. ამის მიზეზი თეატრში ახლად დანიშნულ სამხატვრო ხელმძღვანელი თეიმურაზ კეჟერაძეა. მსახიობები მას უნდობლობას უცხადებენ და ადმინისტრაციული აქტის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას გეგმავენ.

როგორც მსახიობებმა განაცხადეს, ბათუმის დრამატულ თეატრში კანონდარღვევებია, რადგან ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი არასწორი წესით არის არჩეული.

მსახიობები თეატრში განვითარებულ მოვლენებს სარეკომენდაციო საბჭოს აბრალებენ და ამბობენ, რომ საბჭოს სამხატვრო ხელმძღვანელის დანიშვნაში არანაირი გამოცდილება არ აქვს. მათი განცხადებით, აჭარის კულტურის მინისტრი გავლენის ქვეშ არის მოქცეული, ასე მიაჩნიათ ბათუმის თეატრის მსახიობებს. გოგა თავაძის მომხრეები სასამართლოში ჩივილს აპირებენ.



**გოგა თავაძე, რეჟისორი:**

– ამ ადმინისტრაციული აქტის, ბრძანების გაუქმება შეიძლება მოხდეს მხოლოდ ერთი შემთხვევით, ეს არის გაპროტესტება სასამართლოში და მხოლოდ ამ ძალით შეიძლება მოხდეს რეაგირება ამ ბრძანებაზე, სხვა ბერკეტები არ გაგვაჩნია. პარლამენტში კულტურის კომიტეტში ამბობენ, რომ ეს არის კანონდარღვევა, მაგრამ ამ ორგანოს არ აქვს უფლება, ჩაერიოს, მოხსნას მინისტრი. გაჟღერდა ფრაზა, რომ ცოტათი მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხიც დგება, როცა კანდიდატი შედის, დიპლომი კომისიის წევრებს არ უჩვენეს და რაღაცნაირი ფორმით მოხდა მისი წარდგენა. სარჩელი არ მაქვს შეტანილი, ჯერ ვფიქრობ, შევიტანო თუ არა, დაველოდები მოვლენებს, როგორ განვითარდება. გამოსავალი ერთია, სასამართლოს გზით მოხდეს ამ საკითხის გარკვევა.

**ირაკლი სამსონაძე, დრამატურგი:**

– ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ, ჩვენი აზრით, კანონდარღვევასთან გვაქვს საქმე. პირველი – ეს არის იმ ადამიანის დანიშვნა, რომელიც, რეალურად რომ ვთქვათ, არაკომპეტენტურია ამ ხსენებული თანამდებობისთვის ანუ სამხატვრო ხელმძღვანელად, ჩემი აზრით, ბატონი თემურ კეჟერაძე არაკომპეტენტურია. მეორე ის გახლავთ, სამხატვრო საბჭოს პოზიცია რომ არ იქნა გათვალისწინებული. ეს გვაძლევს საფუძველს, რომ ვიბრძოლოთ და ვიმოქმედოთ. როცა გიორგი თავაძე ჩამოვიდა ბათუმის თეატრში, პრაქტიკულად, თეატრი იყო სტაგნაციაში, ამ 8 წლის მანძილზე თეატრი იქცა ერთ-ერთ საინტერესო თეატრად საქართველოში. როცა ამას ვამბობ, ვამბობ ქართველი დრამატურგების სახელით და მათ შორის ისეთი მხცოვანი დრამატურგის სახელით, როგორიც გახლავთ თამაზ ჭილაძე. ის ძველი ბათუმელია და მას ახსოვს ბათუმის თეატრი ყველაზე კარგად. გიორგი თავაძის დროს ბათუმის თეატრი დინამიკური გახდა. მისი მოღვაწეობა ჩემი ცხოვრების ყველაზე ნაყოფიერი და კარგი წლებია, იმიტომ რომ ამ პერიოდში გიორგი თავაძემ ჩემი რამდენიმე პიესა განახორციელა. ტრადიციაში ვიცქირებით, ჩვენ ძალიან დიდ რამეზე ვამბობთ უარს და გვაქვს კი უფლება, რომ ერთი ბეწო ქვეყანას, რომელსაც საქართველო ჰქვია, ასეთი ნიჭიერი ადამიანები და თავის ადგილზე მყოფი ადამიანები ჩამოვიშოროთ?! ბატონი კეჟერაძე მოხვდა იმ ადგილას, სადაც არ უნდა მოხვედრილიყო. ადამიანი, რომელიც არც კანონით, არც მორალურად და არც პროფესიულად არ უნდა ყოფილიყო სამხატვრო ხელმძღვანელი, აღმოჩნდა ამ თანამდებობაზე. ეს არ არის რიგითი შემთხვევა, რამდენიმე თეატრში იჩინა თავი ამ პრობლემამ, ე.ი. რაღაც მოვლენასთან გვაქვს საქმე. ამ შემთხვევაში მაინტერესებს საქართველოს კულტურის მინისტრის პოზიციაც და იმ ადამიანების პოზიციას, რომლებიც თეატრებს კურირებენ. ამაზე ხმამაღალი მსჯელობა და ადამიანთა რეაქციები არ გამიგია. ჩამოჭრილი ტერიტორიები ხომ გვაქვს და ახლა გვინდა სულიერებაც ჩამოვიჭრათ? იმედი მაქვს, რომ სამართლიანობა აღდგება, სხვანაირად ჩვენს შვილებს კარგი სამშობლო არ ექნებათ. თუ ჩვენ ახლა ამას შევეგუეთ და თვალი მოვუხუჭეთ, შედეგი იქნება ძალიან ცუდი.

**გალაკტიონ გოგიბერიძე, ბათუმის თეატრის მთავარი მხატვარი:**

– ჩვენი პროტესტის მიზეზი გახდა ის მოვლენა, რაც არა მარტო ბათუმის თეატრის პრობლემაა, არამედ ის, რაც იქცა ზოგადად ქართული თეატრების პრობლემად. ჩვენი სათქმელი ის არის, რომ საქმე გვაქვს კანონდარღვევასთან. თუ სწორად მახსოვს მეათე მუხლის მესამე პუნქტის დარღვევაა ეს, როცა კანონი გვეუბნება, რომ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი უნდა იყოს პროფესიით უმაღლესი სახელოვნებო განათლებით ან რეჟისორი, ან მსახიობი, ან განსაკუთრებულ შემთხვევაში სახელოვნებო გამოცდილების მქონე თვალსაჩინო აღიარებისა და დამსახურებების მქონე პიროვნება, რაც მოგვიტანა ამ სარეკომენდაციო საბჭოების არსებობამ, რომელსაც არანაირი გამოცდილება არ აქვს ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში სამხატვრო ხელმძღვანელების დანიშვნაში და, ვფიქრობ, ამას არც მომავალი უნდა ჰქონდეს. ეს არის ან არაკვალიფიციური ან არაკომპეტენტური ხალხის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ან საქმე გვაქვს კლანურ გადაწყვეტილებასთან, როცა თეატრმცოდნეებმა თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელად დანიშნეს თეატრმცოდნე. მის არც თეატრმცოდნეობის კვალიფიკაციაზე არაფერი ვიცით, მის ნაშრომებს არ ვიცნობთ, დანიშნულია არაპროფესიონალი ბათუმის თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელად და ეს არის თეიმურაზ კეჟერაძე. გარდა ამისა, თეატრში შეიქმნა სამხატვრო საბჭო, რომელმაც მიმართა კულტურის მინისტრს ბატონი გიორგი თავაძის კანდიდატურით. როცა კანონი ხმამაღლა ლაპარაკობს თეატრის სამხატვრო საბჭოს არსებობის შემთხვევაში პრიორიტეტულობაზე შემოქმედებით თავისუფლებაზე თეატრებში, ჩვენს მიმართ ეს იქნა პირიქით გამოყენებული, დაგვინიშნეს არაპროფესიონალი. დასში 48 კაცია, არსებობენ ადამიანები, რომლებმაც გოგა თავაძესაც მოუწერეს ხელი და თეიმურაზ კეჟერაძესაც. სამწუხაროდ, აქ გაორებასთან გვაქვს საქმე. 48 ადამიანიდან 28 მხარს უჭერს გიორგი თავაძის კანდიდატურას, ნაწილი გაორებაშია და არის, ალბათ, 18-კაციანი ჯგუფი, რომელიც შეიძლება მოვიაზროთ ბატონი თეიმურაზის მხარდამჭერად. ჩვენს თეატრთან მას ჰქონდა შეხება ერთჯერადი გამოსვლებით. 1977 წლიდან 1984 წლამდე ნათამაშები აქვს 5 ეპიზოდური როლი, მეორეხარისხოვანსაც ვერ დავარქმევთ. ეს აბსოლუტურად კვალიფიკაციის გარეშე, მას არ აქვს სამსახიობო განათლება, აქაც წინააღმდეგობაში მოვდივართ კანონთან. ეს კაცი რეჟისორი არასდროს ყოფილა, მით უმეტეს, არც კანონის პირველი მოთხოვნაა, რომ სამხატვრო ხელმძღვანელი იყოს რეჟისორი. რაც არ უნდა უხერხული იყოს, ეჭვს ბადებს ამ კაცის თვალსაჩინო და ღირსეული დამსახურებები ქართულ თეატრთან მიმართებით.

***– რატომ მიანიჭეთ უპირატესობა გიორგი თავაძეს?***

– აქაც კანონს მოვიშველიებ. კანონი ამბობს, რომ სამხატვრო ხელმძღვანელობის კანდიდატი ვალდებულია, სამხატვრო საბჭოს წარუდგინოს თავისი თეატრის განვითარების გეგმა და კონცეფცია. ასეთი ბატონ თემურს, მიუხედავად ჩვენი არაერთი მოთხოვნისა, არ წარმოუდგენია და როცა მისი დანიშვნა მოხდა, თეატრის სამხატვრო საბჭომ ოფიციალური წერილის საფუძველზე გამოითხოვა კულტურის სამინისტროდან. 22 აგვისტოს დაიდო ბათუმის თეატრის დებულება და 23-ში, მიუხედავად იმისა, რომ იყო აგვისტო და დასასვენებლად იყო ყველა, რაიონებიდან ჩამოვიდა ხალხი და მოვიდა თეატრში.

**ზაალ გოგუაძე, მსახიობი:**

– სამხატვრო საბჭო შეიქმნა 22 აგვისტოს და განვმარტავ, რატომაც. სამინისტროს ჰქონდა ვალდებულება, 4 თვის ვადაში, როცა ძალაში შევიდა კანონი თეატრების შესახებ, უნდა დაედო დებულება ანუ სამხატვრო საბჭოს არჩევის წესი უნდა ყოფილიყო განსაზღვრული. ეს ვადა არ იყო რაციონალურად გამოყენებული და დებულება დაიდო მხოლოდ სამხატვრო საბჭოს არჩევის წინა დღეს. 25-ში უკვე ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი უნდა ყოფილიყო დამტკიცებული, სამხატვრო საბჭოს დარჩა სულ ორი დღე არჩევიდან წარდგენამდე. მგონია, რომ ეს მიზანმიმართულად იყო გაკეთებული, რომ ჩვენ არ მოგვესწრო მაქსიმალურად გონივრულ ვადაში კანდიდატის მონაცემები და გეგმა წარგვედგინა, ძალიან ფორსირებულად გავაკეთეთ ყველაფერი. თვითონ ფაქტზე იმას ვიტყვი, რომ ძალიან გვიშლიდნენ ხელს, არ უნდოდათ, რომ ჩვენი კანდიდატი შესულიყო მინისტრთან წარსადგენად. ამის ეჭვი მაქვს, ისე განვითარდა მოვლენები, ყველაფერი აქეთკენ მიდიოდა. ფიზიკურად ვერ მოესწრო წარდგენილი კანდიდატის კონცეფციის განხილვა. კეჟერაძის კანდიდატურა, რამდენადაც ვიცი, საკმაოდ ადრე შევიდა იმ საბჭოში, აქაც დისბალანსი იყო. ვფიქრობ, მინისტრის პოზიცია და სიმპათია იხრებოდა ბატონი თავაძის მიმართ, მაგრამ, სამწუხაროა, რომ მინისტრმა, ალბათ, კანონი არ აძლევს უფლებას და ვერ იღებს ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას, მაგრამ კანონში წერია, რომ მას შეუძლია, ერთპიროვნულადაც მიიღოს გადაწყვეტილება და არ დაეთანხმოს საბჭოს გადაწყვეტილებას. იმასაც ვფიქრობ, ვინმემ გავლენა ხომ არ მოახდინა ვინმეზე ამ გადაწყვეტილებაზე მეთქი. შეურაცხყოფას არ ვაყენებ კულტურის მინისტრს, მაგრამ ვთვლი, რომ ის მაინც მოექცა გავლენის ქვეშ. მაქვს ეჭვი, თუმცა მტკიცებულება არ მიჭირავს ხელში, მაგრამ ბათუმი პატარა ქალაქია და ყველამ ყველაფერი იცის, რა ხდება. ჩვენ შეხვედრა გვქონდა პარლამენტის კულტურის კომიტეტში ამ კანონის ავტორებთან, იქ მიდის ცხარე კამათი, რომ სარეკომენდაციო საბჭო იყო ძალიან დიდი შეცდომა. ჩვენც ამას ვეთანხმებით, არ შეიძლება 7 კაცი წყვეტდეს 35 თეატრის ბედს. იმ საბჭოში ძალიან ღირსეული ადამიანებიც არიან, მაგრამ იმ საბჭოში 4 ადამიანთან ძალიან სერიოზული პრეტენზია მაქვს კომპეტენციის თვალსაზრისით, მორალური ღირებულებების თვალსაზრისით და პროფესიასთან დაკავშირებული თვალსაზრისით. ეს იყო მორალური ანგარიშსწორება გიორგი თავაძის მიმართ, ეს არ იყო შემოქმედებითი იდეების ჭიდილი, ამის განხილვა საერთოდ არ ხდებოდა საბჭოში, რაც ჩემთვის მიუღებელია. მათ კანონი ავალდებულებს, რომ მათ განიხილონ კანდიდატების იდეები. გაინტერესებთ ვინ არიან ეს ადამიანები? ეს არიან ნიკა წულუკიძე, ლაშა ჩხარტიშვილი, მადონა მჟავანაძე, ნერონ აბულაძე, ლელა ოჩიაური, ირინა ღოღობერიძე და მანანა ტურიაშვილი. ეს სამი ქალბატონი იყო, ვინც თავისი სიმპათია გამოხატა გიორგი თავაძის სასარგებლოდ. დანარჩენმა ოთხმა მხარი დაუჭირა კეჟერაძეს. აბსოლუტურად პიროვნულ უთანხმოებაში არავისთან მოვდივართ, მაგრამ პიროვნებები ქმნიან თავის ისტორიებს და მათი განვლილი გზა ხდება მათი პიროვნების სავიზიტო ბარათი. გიორგი თავაძის მოღვაწეობა ბათუმის თეატრში თვალნათელია, ის 8 წელი მუშაობდა ჩვენთან ერთად და უმადური უნდა იყოს კაცი, ვინც იტყვის, რომ ეს პერიოდი ბათუმის თეატრში იყო არანაყოფიერი და თეატრი იყო არასათანადო დონეზე. აქ იყო ინტერესთა კონფლიქტი. ორი წევრი, ლაშა ჩხარტიშვილი და ნერონ აბულაძე, რამდენიმე ხნით ადრე იყვნენ ჩვენი თეატრის თანამშრომლები. მათი დამოკიდებულების გამო თეატრმა მათი კომპეტენციის საკითხი დააყენა და ლაშა ჩხარტიშვილი გათავისუფლდა სამსახურიდან. ახლა კი ეს არის აბსოლუტური სამაგიეროს ანგარიშსწორება. ვერ ვიტყვი, რომ კეჟერაძე მათთვის იდეალური კანდიდატი იყო, მაგრამ მთავარია, რომ გიორგი თავაძეს 4 წინააღმდეგობით უთხრეს უარი. ჩვენ ვიჩივლებთ სასამართლოში და, თუ სასამართლოში შევა სარჩელი, უნდა შევიდეს ადმინისტრაციული აქტის წინააღმდეგ. კანონდარღვევით იქნა ეს გადაწყვეტილება მიღებული და ჩვენ ვასაჩივრებთ ამ ბრძანებით სიმართლეს. ვინც თვლის, რომ ადგილი აქვს უკანონობას, გამოხატავს პროტესტს და ეს ხალხი არის გაფიცული. ჩვენ უარს ვამბობთ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე, არ ვთამაშობთ სპექტაკლებს, არ ვკავდებით ახალ სპექტაკლებში, თუმცა ძალიან ეჭვი მეპარება, რომ ეს მოხერხდეს. გვპირდებიან, რომ დეკემბრამდე სამი პრემიერა გამოვა, მაგრამ ეს დროში არანაირად არ მოხერხდება. ეს არის ცუდი პიარი, გათვლილი მასაზე. ჩვენ ბრძოლის შეწყვეტას არ ვაპირებთ, თუ ამას ინტენსიურად არ შევეწინააღმდეგებით, უარესი შედეგი გვექნება. ეს არის პირველი ნაბიჯი ქართული თეატრების ნგრევისკენ მიმართული და თუ ეს პროცესი არ შეჩერდა, მივიღებთ უგემოვნო სპექტაკლებს. ერთმა მაყურებელმა თქვა, მთავარია, ბევრი სპექტაკლი იყოსო, რასაც კატეგორიულად ვეწინააღმდეგები. მთავარია, იყოს ხარისხიანი, მაგრამ ცოტა სპექტაკლი. ამ 7 წლის განმავლობაში 20 დრამატული სპექტაკლი დაიდგა, 5 რეჟისორი იყო მოწვეული და მათ განახორციელეს 8 სპექტაკლი, სამი საოპერო სპექტაკლი დადგა თავაძემ ბათუმში და 7 წლის განმავლობაში 8 საოპერო სპექტაკლი დაიდგა. ყოველ წელს 5 თვე თეატრი არის გაჩერებული. ანდრო ენუქიძემ 3 სპექტაკლი დადგა და ძალიან კარგად იცის, რა პირობებში ვმუშაობდით. არავინ თავს არ იქებს, მაგრამ ყველა ვეწირებით ამ პროფესიას, იმიტომ რომ გვიყვარს. 5 დღე რომ ვრეპეტიციობდით, 10 დღე ლოგინებში ვიწექით და ვმკურნალობდით. უმადურობა უფროა და ანგარიშსწორებას უფრო ემსგავსება ეს ყველაფერი, ვიდრე საქმის კეთებას. ყველა კულტურული ღონისძიება ჩვენს თეატრში იმართებოდა. სამინისტრო რომ დარეკავდა საპრემიეროდ გამზადებული სპექტაკლების დეკორაციების ალაგება გვიწევდა. სხვათა შორის, თემურ კეჟერაძე ბოლო 8 თვე იყო ბათუმის თეატრის მმართველი და საკმაოდ უნიათოც.

# ნინო სურგულაძე მსოფლიო პრემიერას იმღერებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

24-დან 28 სექტემბრის ჩათვლით კონსერვატორიის მცირე დარბაზში ჩატარდება კამერული კონცერტები – 24 სექტემბერს აჟღერდება ვოკალური მუსიკა, 25-ში – სავიოლინო მუსიკა, 26-ში – საფორტეპიანო მუსიკა, სადაც ვახტანგ მაჭავარიანის ვაჟი ალექსი მაჭავარიანი გახსნის კონცერტს და ბაბუის პრელუდიას და ფუგას დაუკრავს. 27 სექტემბერს მსმენელი ალექსი მაჭავარიანის საგუნდო მუსიკას მოისმენს, 28-ში – კვარტეტი და ჩელოს და ნარევი პროგრამა იქნება წარმოდგენილი.

როგორც ცნობილი გახდა, ალექსი მაჭავარიანის იუბილეს აღნიშნავს 12 დეკემბერს მარიას თეატრი, სადაც ვახტანგ მაჭავარიანი იდირიჟორებს. იუბილე აღინიშნება ასევე მოსკოვში, სადაც კონსერვატორიის დიდ დარბაზში რადიოს და ტელევიზიის დიდი სიმფონიური ორკესტრი დაუკრავს და იქაც კომპოზიტორის ვაჟი იდირიჟორებს. საიუბილეო კონცერტები ჩატარდა უკვე ანკარაში, სადაც ვახტანგ მაჭავარიანის მთავარი მიწვეული დირიჟორია. ალექსი მაჭავარიანის 100 წლის იუბილე აღინიშნა ბრიუსელში, ლისაბონში, ჰამბურგსა და ლონდონში.

კონსერვატორიის სამეცნიერო კვლევების საკოორდინაციო სამსახური და საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირი ოქტომბერში ალექსი მაჭავარიანის დაბადებიდან 100 წლის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციას მოაწყობს. მასში მონაწილეობის მსურველებს კონფერენციის ორგანიზატორებთან მოხსენების სათაურის, ანოტაციისა და საკონტაქტო ინფორმაციის გაგზავნა 20 სექტემბრამდე შეეძლოთ.

ალექსი მაჭავარიანის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სადღესასწაულო ღონისძიებები 30 სექტემბერს რუსთაველის თეატრში დასრულდება.


## განცხადებები

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ოსტეოქონდროზის, დაქვეითებული სმენის – ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, რადიკულიტის, ჭრილობების და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება წამლების, აპარატურისა და ქირურგიული ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. მისამართის შესახებ დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურეზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

# ესპანეთმა ტიტული დათმო

ევროპის ჩემპიონობისთვის ერთმანეთს ლიტვა და საფრანგეთი გუშინ, გვიან ღამით შეეცილებოდნენ. რაც ნიშნავს, რომ „ბებერ კონტინენტს" ახალი ჩემპიონი ეყოლება. ფინალში ასპარეზობის უფლება ამ გუნდებმა ნახევარფინალში მიღწეული წარმატებით მოიპოვეს. თუკი ბალტიისპირელებს არ გასჭირვებიათ ხორვატიის ძლევა, საფრანგეთს უდიდესი ძალისხმევა და დამატებითი დრო დასჭირდა ესპანეთის დასამარცხებლად.

ესპანელებმა პირველი მეოთხედი 4 ქულით მოიგეს, თუმცა მეორეში უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდეს და პირველი ტაიმის შემდეგ 14 ქულით – 34:20 დაწინაურდნენ. ამის შემდეგ ფრანგებიც გამოფხიზლდნენ და ტონი პარკერს, რომელიც ყველაზე ნათელი წერტილი იყო მთელი მატჩის განმავლობაში, მხარი აუბეს. მესამე პერიოდი ფრანგებმა 23:15 მოიგეს და ესპანელებზე გადამწყვეტი იერიში ბოლო ათწუთეულში მიიტანეს.

ბოლო პერიოდის შუაში ფრანგები დაწინაურდნენ, თუმცა ლიდერი ხშირად იცვლებოდა და საბოლოოდ ძირითადი დრო ფრედ – 65:65 დასრულდა. დამატებით დროში ფრანგებმა მეტი ყურადღება და სიზუსტე გამოავლინეს – 75:72.

ფრანგებს 32 ქულით ტონი პარკერმა ულიდერა, ხოლო მეორე მოთამაშე, რომელმაც მონაგარი ორი ციფრით გამოხატა, ანტონი დიო გახლდათ – 10 ქულა. ესპანელთაგან მარკ გასოლი გამოირჩა 19 ქულითა და 9 მოხსნით, რუდი ფერნანდესს 17 ქულა ჰქონდა, ხოლო სერხიო როდრიგესმა შეხვედრა 11 ქულით და 9 პასით დაასრულა.

**ესპანეთი – საფრანგეთი 72:75(ოტ)**

**ესპანეთი:** აგილარი (3ქ), ფერნანდესი (17ქ), როდრიგესი (11ქ,6მ,9პ), რეი (2ქ), კალდერონი (4ქ), რუბიო (2ქ), კლავერი (3ქ), სან ემეტერიო (5ქ), ლული (6ქ), გასოლი (19ქ,9მ)

**საფრანგეთი:** ლოვერნი (2ქ), ბატუმი (3ქ), დიო (10ქ), პეტრო (2ქ), კაჰუდი, პარკერი (32ქ), პიეტრუსი (5ქ,8მ), დე კოლო (3ქ), დიაო (8ქ,8მ), აჯინკა (3ქ), ჟელაბალე (7ქ)

რაც შეეხება ლიტვას, იონას კაზლაუსკასის გუნდმა იოლად დაამარცხა ხორვატია, რომელსაც საქართველოსთან მატჩიდან დაწყებული ჩემპიონატის მანძილზე დიდი ბრძოლები გადახდა. ხორვატები აშკარად გადაღლილები ჩანდნენ და საათივით აწყობილ ლიტვასთან ვერაფერი გააწყვეს. იონას მაჩიულისმა (23 ქულა) და ლინას კლეიზამ (22 ქულა) ხორვატებს პერიმეტრიდან დიდი პრობლემები შეუქმნეს, ისევე როგორც მანტას კალნიეტისმა – სწრაფი გარღვევებით. საბოლო-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# „დინამომ" მცხეთაში გაიმარჯვა და გალიდერდა

**ვიტ ჯორჯია – დინამო (თბ) 0:2**

**მცხეთა. მცხეთა პარკი**

0:1 გოგა (73), 0:2 გრიგალაშვილი (90)

**ვიტ ჯორჯია:** დაუშვილი, მჭედლიშვილი (ღიბრაძე 76), გეთიაშვილი, კასრაძე, ადამაძე, წყაროზია (მაისურაძე 26), დავლაშელიძე, კორიფაძე, ჯანელიძე, სიჭინავა, კუხალეიშვილი (ლობჯანიძე 64)

**დინამო:** ლორია, უსტარიცი, გივი კვარაცხელია, სეთურიძე, ხურცილავა, ხმალაძე, პაპავა, ელგუჯა გრიგალაშვილი, გოგა (გლიშიჩი 85), მერებაშვილი (ჩისკო 56), დვალი

მატჩი იმითაც იყო საინტერესო, რომ დიდი ხანია „დინამო" სტუმრად ვეტერინარების დამარცხებას ვერ ახერხებდა.

თავად შეხვედრა არცთუ საინტერესო სანახავი გამოდგა და სახიფათო მომენტებითაც არ გამოირჩეოდა. პირველ ნახევარში, ორივე გუნდს თითო-თითოჯერ შეეძლო გატანა, ჯერ პირისპირ გასულმა დვალმა დააგვიანა კარში დარტყმა და ბოლოს უკვე მცველებმა არ მისცეს ამის საშუალება. ტაიმის ბოლოს კი, ჯანელიძის დარტყმული ლორიამ ვერ შეიმაგრა ხელებში და ბოლო მომენტში, ზედ კარის ხაზზე შეძლო ბურთს დაუფლებოდა. სხვა მხრივ, ბურთს უფრო ხშირად უჰრინის შეგირდები ფლობდნენ, მაგრამ გაცილებით აზრიანად „ვიტელთა" სწრაფი შეტევები გამოიყურებოდა. გამორჩევის ღირსია მათი კაპიტანი, დავით ჯანელიძე, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იყო ვეტერინართა შემადგენლობაში და დიდწილად ყველა იერიშის სულისჩამდგმელადაც სწორედ ის გვევლინებოდა. თუმცა საბოლოოდ ტაიმი უგოლოდ დასრულდა.

მეორე ტაიმში დინამოელები გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ, განსაკუთრებით 56-ე წუთის შემდეგ, როდესაც მოედანზე ჩისკო გამოჩნდა, რომელმაც გაცილებით ორგანიზებული ხასიათი მისცა საკუთარი გუნდის შეტევებს. 63-ე წუთზე მატჩის ყველაზე სახიფათო მომენტი დაუშვილის კართან შეიქმნა, როდესაც ჩისკო-გოგა-დვალის სამსვლიანი კომბინაცია, „დინამოს" 9 ნომერმა უზუსტო დარტყმით დაასრულა.

საპასუხოდ შეცვლაზე შემოსულმა ლობჯანიძემ გაიბრწყინა, როდესაც გზიდან რამოდენიმე მეტოქე ჩამოიცილა, თუმცა საბოლოო დარტყმა არც მას გამოუვიდა.

ამის შემდეგ უჰრინის შეგირდებმა აქტიურობას უმატეს და რამოდენიმე ხელსაყრელი მომენტი გაატანეს ქარს, თუმცა გოლი მაინც გავიდა. 74-ე წუთზე დორინ გოგამ ვიტელთა საჯარიმოში შექმნილი არეულობის შედეგად მიიღო ბურთი და დაუშვილს შანსი არ დაუტოვა – 0:1.

გოლმა მოედანზე ცეცხლი კი არ გაარღვია, უფრო ჩააქრო და საინტერესო არაფერი მომხდარა, თუ ჯანელიძის დარტყმულს არ ჩავთვლით, რომელიც ლორიას იოლი ნადავლი გახდა.

მატჩის დამატებულ წუთებზე კი, „დინამომ" მეორე გოლიც გაიტანა. „ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელებმა ბურთი საკუთარი საჯარიმოს სიახლოვეს დაკარგეს, რომელიც გრიგალაშვილმა მიიღო და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა – 0:2.

**სპარტაკი – ზესტაფონი 1:0**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

1:0 კაკაშვილი (90)

**სპარტაკი:** ნადირაძე, ჭაფოძე, ქურდაძე, კონსტანტინე ხიზანეიშვილი, ბურძენაძე (შონია 52), კილასონია, კვეკვესკირი, ჩაფიძე, თუხარელი (თექთურმანიძე 76), მეტრეველი, ფანცხავა (კაკაშვილი 66)

**ზესტაფონი:** რ.კვასხვაძე, თორნიკე გრიგალაშვილი, რენე ფერეირა, თედო გრიგალაშვილი, კანდელაკი, აჯურუ, შარიქაძე (ჭანტურიშვილი 69), კუტალია (ს.გურული 69), სამუშია (ენდელაძე 80), ადამია, ქობალია

მატჩის პირველი ტაიმი სტუმართა ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა. ზესტაფონელებმა ცხინვალელთა კართან რამდენიმე სახიფათო, მაგრამ უშედეგო შეტევა განახორციელეს. არადა, ლევან კუტალიას, ლევან შარიქაძეს, გიორგი ადამიასა და ირაკლი ქობალიას მიეცათ თავის გუნდის დაწინაურების შანსები. შედეგად, პირველი ტაიმი უგოლოდ დასრულდა...



მეორე ტაიმის დაწყებისთანავე შეტევის მარცხენა ფლანგიდან გიორგი ადამიას ზუსტი პასის შემდეგ თავის გუნდის დაწინაურების მშვენიერი შანსი მიეცა გურამ სამუშიას, თუმცა მისი დარტყმული მასპინძელთა კარს ოდნავ ასცდა. მალევე კარის აღების შანსი მიეცა თავად გიორგი ადამიას, მაგრამ მას დარტყმა დაუგვიანდა. გოლის გატანასთან ახლოს იყვნენ გურამ სამუშია და ირაკლი ქობალია, თუმცა ორივეს უმტყუნა მიზანმა, ლევან შარიქაძის დარტყმა კი გიორგი ნადირაძემ მოიგერია...

ოდნავ არაზუსტი გამოდგა თედო გრიგალაშვილისა და ირაკლი ქობალიას თავურებიც. გიორგი ადამიას დარტყმის შემდეგ კი მასპინძლები მეკარესთან ერთად იღბალმაც გადაარჩინა. გოლის გატანა ზედიზედ ორჯერ შეეძლო ავთო ენდელაძეს, თუმცა პირველ ეპიზოდში მისი დარტყმა არაზუსტი გამოდგა, ხოლო მეორეში მასპინძლები აშკარა გოლისაგან ნადირაძემ იხსნა.

მეორე ტაიმი იმერელთა უდიდესი უპირატესობით კი წარიმართა, თუმცა საბოლოოდ სტუმრები სახიფათო მომენტების გაფლანგვის გამო დაისაჯნენ და გოლი საკუთარ კარში მიიღეს – ბოლო წუთზე მიზანს კახაბერ კაკაშვილის შორეულმა დარტყმამ მიაღწია – 0:1. ეს ცხინვალელთა ერთადერთი დარტყმა იყო კარში.

**ჩიხურა – დილა 3:1**

**ქუთაისი. ცენტრალური**

1:0 ჯილაური (19), 1:1 მოდებაძე (47), 2:1 ტატანაშვილი (53), 3:1 გაბედავა (87)

**ჩიხურა:** თევდორაძე, ლ.ჭელიძე (ჩიკვაიძე 88), ჯილაური, გაბედავა, ტატანაშვილი (ტატანაშვილი 83), ლომაშვილი, დათუნაიშვილი, კაშია, ოდიკაძე, დეკანოიძე (ნ.კვასხვაძე 81), რეხვიაშვილი

**დილა:** რევიშვილი, ღონღაძე (აბურჯანია 47), კობახიძე, კვახაძე, ალადაშვილი, გ.გურული, მაისურაძე, ბოლქვაძე, მოდებაძე, გორელიშვილი, გაბაშვილი (პ.ხორგუაშვილი 32, გოგინაშვილი 66)

თამაშის უმეტესი ნაწილი მასპინძელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. პირველი გოლი მე-19 წუთზე გავიდა და ჯილაურმა შეძლო თავისი გუნდის წინ გაყვანა – 1:0. ნომინალურმა მასპინძლებმა კიდევ რამდენიმე მომენტი შექმნეს, მაგრამ ხან არაზუსტად ურტყამდნენ, ხანაც რევიშვილი თამაშობდა ფანტასტიკურად. თუმცა, სტუმრები სწორედ რევიშვილის შეცდომამ დაღუპა – გორელთა მეკარემ უხეში შეცდომა დაუშვა და ტატანაშვილმა მეორე გოლი გაიტანა. მანამდე მოდებას გამთანაბრებელი უკვე გატანილი ჰქონდა.

76-ე წუთზე ირაკლი მაისურაძემ „ჩიხურას" კონტრშეტევა თამაშის წესის უხეში დარღვევით შეაჩერა, მეტოქეს უკნიდან ფეხებში ჩაუვარდა და მატჩის მთავარმა არბიტრმა იგი მოედნიდან გააძევა.

87-ე წუთზე საჩხერელებმა მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირეს. გაბედავამ შორიდან ლამაზი დარტყმით გოლი გაიტანა და შანსი არ დაუტოვა რევიშვილს.

**ზუგდიდი – ტორპედო 0:0**

**განმუხური. ცენტრალური**

**ზუგდიდი:** მამალაძე, აფაქიძე, აქუბარდია, რიგვავა, კანკია (შ.ლომია 69), მეგაპედი (პაჭკორია 80), სიხარულია, გუგუჩია, ფარჯიკია (სამუშია 64), ქვარცხავა, წურწუმია

**ტორპედო:** ქვილითაია, ჩიტეიშვილი (გაბაძე 30), ცინცაძე, საბანაძე, ჯიქია (კაპანაძე 67), კუხიანიძე, ხიდეშელი, გოროზია, ზ. ჭელიძე, ახვლედიანი (ფირცხალავა 46), უბილავა

„ტორპედომ" ზედიზედ მეორე უგოლო ფრე ითამაშა და პირველი ადგილიდან მეოთხემდე დაქვეითდა.

არადა, ისეთი მატჩი იყო, რომ გოლის გატანა ორივე გუნდს შეეძლო, მაგრამ მეკარეები კარგად გაისარჯნენ და თავდამსხმელებს შანსი არ გამოაყენებინეს.

**მერანი – სიონი 2:0**

**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**

1:0 კუჭუხიძე (12), 2:0 ფარულავა (34)

**მერანი:** შეროზია, ფარულავა, ქარქუზაშვილი, ხუბუა, მელიავა, ფონიავა, ბაბუნაშვილი, ციკოლია (კერძევაძე 59), მელქაძე, კუჭუხიძე (გეგეჭკორი 90), კვანტალიანი (შულაია 62)

**სიონი:** მერლანი, ტვილდიანი, თოთაძე (ლობჟანიძე 75) ქემოკლიძე, გოგობერიშვილი, პარუნაშვილი, იმედაშვილი (იოსელიანი 38, უგრეხელიძე, 79), კახელიშვილი, ცხადაია, მიკუჩაძე, მადუბეკე

სულ უფრო და უფრო გაოცებას იწვევს მარტვილელთა თამაში, რომლებმაც მიმდინარე ჩემპიონატში უკვე მეოთხე მატჩი მოიგეს. არანაკლებ გვაოცებს „სიონიც", ვისგანაც ამ გათამაშებაში მეტს ველოდით.

მარტვილელებს გამარჯვება კუჭუხიძისა და ფარულავას გოლებმა მოუტანა, თუმცა ბურთის გატანის კიდევ რამდენიმე შანსი ჰქონდათ.

**გურია – მეტალურგი 3:1**

**ქობულეთი. ჩელე არენა**

0:1 კორღალიძე (47), 1:1 შენგელია (62), 2:1 შალამბერიძე (83), 3:1 ჩიკვილაძე (90)

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო | 6 | 4 | 1 | 1 | 11:4 | 13 |
| 2.ჩიხურა | 6 | 4 | 0 | 2 | 13:8 | 12 |
| 3.მერანი | 6 | 4 | 0 | 2 | 9:7 | 12 |
| 4.ტორპედო | 6 | 3 | 3 | 0 | 6:3 | 12 |
| 5.გურია | 6 | 3 | 0 | 3 | 6:8 | 9 |
| 6.ვიტ ჯორჯია | 6 | 2 | 2 | 2 | 7:5 | 8 |
| 7.დილა | 6 | 2 | 2 | 2 | 7:7 | 8 |
| 8.მეტალურგი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:9 | 8 |
| 9.სიონი | 6 | 2 | 1 | 3 | 7:7 | 7 |
| 10.ზუგდიდი | 6 | 1 | 2 | 3 | 3:9 | 5 |
| 11.ზესტაფონი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:7 | 4 |
| 12.სპარტაკი | 6 | 1 | 0 | 5 | 2:8 | 3 |

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ნორვიჩი-ასტონ ვილა ..................... 0:1
ვესტ ბრომვიჩი-სანდერლენდი ...... 3:0
ვესტ ჰემი-ევერტონი ..................... 2:3
ლივერპული-საუთჰემპტონი .......... 0:1
ნიუკასლი-ჰალი .............................. 2:3
ჩელსი-ფულემი .............................. 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:2 | 10 |
| 2.ლივერპული | 5 | 3 | 1 | 1 | 5:3 | 10 |
| 3.არსენალი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:5 | 9 |
| 4.ტოტენჰემი | 4 | 3 | 0 | 1 | 4:1 | 9 |
| 5.ევერტონი | 5 | 2 | 3 | 0 | 6:4 | 9 |
| 6.საუთჰემპტონი | 5 | 2 | 2 | 1 | 3:2 | 8 |
| 7.ჰალი | 5 | 2 | 1 | 2 | 4:7 | 7 |
| 8.ასტონ ვილა | 5 | 2 | 0 | 3 | 6:6 | 6 |
| 9.სიტი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:3 | 7 |
| 10.სტოკი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:2 | 7 |
| 11.ნიუკასლი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:8 | 7 |
| 12.ვესტ ჰემი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:4 | 5 |
| 13.ვესტ ბრომვიჩი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:4 | 5 |
| 14.კარდიფი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:5 | 5 |
| 15.მანჩესტერი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:2 | 4 |
| 16.სუონსი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| 17.ნორვიჩი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:6 | 4 |
| 18.ფულემი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:7 | 4 |
| 19.კრისტალ პალასი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:6 | 3 |
| 20.სანდერლენდი | 5 | 0 | 1 | 4 | 3:11 | 1 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ჩარლტონი-მილუოლი ..................... 0:1
ბარნსლი-უოტფორდი ..................... 1:5
ბირმინგემი-უენსდი ........................ 4:1
ბლექბერნი-ჰადერსფილდი ............ 0:0
ბლექპული-ლესტერი ...................... 2:2
ბრაიტონი-ბოლტონი ...................... 3:1
დერბი-რედინგი .............................. 1:3
დონკასტერი-ნოტინგემი ................ 2:2
იოვილი-ქპრ ................................... 0:1
ლიდსი-ბარნლი ............................. 1:2
მიდლსბრო-ბორმნუთი .................. 3:3

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სოსიედადი-მალაგა ........................ 0:0
ალმერია-ლევანტე ......................... 2:2
რაიო-ბარსელონა ........................... 0:4
ვალიადოლიდი-ატლეტიკო ........... 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 5 | 5 | 0 | 0 | 18:4 | 15 |
| 2.ატლეტიკო | 5 | 5 | 0 | 0 | 16:4 | 15 |
| 3.ვილიარეალი | 4 | 3 | 1 | 0 | 10:5 | 10 |
| 4.რეალი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:4 | 10 |
| 5.ბილბაო | 4 | 3 | 0 | 1 | 8:6 | 9 |
| 6.ესპანიოლი | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 8 |
| 7.სოსიედადი | 5 | 1 | 3 | 1 | 4:3 | 6 |
| 8.ლევანტე | 5 | 1 | 3 | 1 | 4:10 | 6 |
| 9.მალაგა | 5 | 1 | 2 | 2 | 7:4 | 5 |
| 10.სელტა | 4 | 1 | 2 | 1 | 7:7 | 5 |
| 11.ბეტისი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:5 | 4 |
| 12.გრანადა | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| 13.ხეტაფე | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | 4 |
| 14.ვალიადოლიდი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:6 | 4 |
| 15.ალმერია | 5 | 0 | 3 | 2 | 10:13 | 3 |
| 16.ელჩე | 5 | 0 | 3 | 2 | 4:8 | 3 |
| 17.ვალენსია | 4 | 1 | 0 | 3 | 5:9 | 3 |
| 18.ოსასუნა | 5 | 1 | 0 | 4 | 4:10 | 3 |
| 19.რაიო | 4 | 1 | 0 | 3 | 4:12 | 3 |
| 20.სევილია | 4 | 0 | 2 | 2 | 5:8 | 2 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ნუმანსია-საბადელი ....................... 3:1
ტენერიფე-ლუგო ........................... 0:1
ეიბარი-მურსია .............................. 0:0
რეალი ბ-სარაგოსა ........................ 1:2

**იტალია. სერია ა**

კალიარი-სამპდორია ...................... 2:2
კიევო-უდინეზე ............................... 2:1
ჯენოა-ლივორნო .............................. 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 3 | 3 | 0 | 0 | 9:2 | 9 |
| 2.რომა | 3 | 3 | 0 | 0 | 8:1 | 9 |
| 3.ფიორენტინა | 3 | 2 | 1 | 0 | 8:3 | 7 |
| 4.ინტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 7 |
| 5.იუვენტუსი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| 6.ლივორნო | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 7 |
| 7.ლაციო | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 6 |
| 8.ვერონა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 6 |
| 9.კალიარი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:7 | 5 |
| 10.მილანი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 4 |
| 11.უდინეზე | 4 | 1 | 1 | 2 | 6:6 | 4 |
| 12.ტორინო | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| 13.ჯენოა | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| 14.კიევო | 4 | 1 | 1 | 2 | 4:8 | 4 |
| 15.ატალანტა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| 16.ბოლონია | 3 | 0 | 2 | 1 | 3:6 | 2 |
| 17.სამპდორია | 4 | 0 | 2 | 2 | 4:8 | 2 |
| 18.პარმა | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | 1 |
| 19.კატანია | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |
| 20.სასუოლო | 3 | 0 | 0 | 3 | 1:8 | 0 |

**იტალია. სერია ბ**

აველინო-ვარეზე ............................. 1:1
ბრეშა-კროტონე .............................. 1:2
მოდენა-ტრაპანი ............................. 3:1
პესკარა-ბარი .................................. 0:1
რეჯინა-ნოვარა .............................. 1:1
სიენა-ტერნანა ............................... 1:1
ჩეზენა-კარპი ................................. 4:1
ჩიტადელა-იუვე სტაბია ................. 0:2
ემპოლი-პადოვა ............................. 3:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ვოლფსბურგი-ჰოფენჰაიმი ............ 2:1
ჰამბურგი-ვერდერი ........................ 0:2
ჰანოვერი-აუგსბურგი ..................... 2:1
მაინცი-ლევერკუზენი ..................... 1:4
ნიურნბერგი-დორტმუნდი ............. 1:1
შალკე-ბაიერნი ............................... 0:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 6 | 5 | 1 | 0 | 16:5 | 16 |
| 2.ბაიერნი | 6 | 5 | 1 | 0 | 13:2 | 16 |
| 3.ლევერკუზენი | 6 | 5 | 0 | 1 | 15:7 | 15 |
| 4.გლადბახი | 6 | 3 | 0 | 3 | 15:11 | 9 |
| 5.ჰანოვერი | 6 | 4 | 0 | 2 | 10:8 | 9 |
| 6.ვოლფსბურგი | 6 | 3 | 0 | 3 | 9:8 | 9 |
| 7.მაინცი | 6 | 3 | 0 | 3 | 9:12 | 9 |
| 8.აუგსბურგი | 6 | 3 | 0 | 3 | 6:9 | 9 |
| 9.ვერდერი | 6 | 3 | 0 | 3 | 5:8 | 9 |
| 10.ჰოფენჰაიმი | 6 | 2 | 2 | 2 | 15:15 | 8 |
| 11.ჰერტა | 5 | 2 | 1 | 2 | 9:6 | 7 |
| 12.შალკე | 6 | 2 | 1 | 3 | 7:13 | 7 |
| 13.შტუტგარტი | 5 | 2 | 0 | 3 | 10:8 | 6 |
| 14.აინტრახტი | 5 | 2 | 0 | 3 | 7:9 | 6 |
| 15.ჰამბურგი | 6 | 1 | 1 | 4 | 10:17 | 4 |
| 16.ნიურნბერგი | 6 | 0 | 4 | 2 | 6:9 | 4 |
| 17.ფრაიბურგი | 5 | 0 | 2 | 3 | 7:11 | 2 |
| 18.ბრაუნშვაიგი | 6 | 0 | 1 | 5 | 3:14 | 1 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

არმინია-ზანდჰაუზენი ................... 2:1
ბოხუმი-ალენი ................................ 1:2
მიუნხენ 1860-აუე ........................... 3:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ბასტია-მარსელი ............................. 0:0
რეიმსი-გენგამი .............................. 1:1
რენი-აიაჩო ..................................... 2:0
სოშო-ლილი ................................... 0:2
ევიანი-მონპელიე ........................... 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 5 | 4 | 1 | 0 | 9:2 | 13 |
| 2.სტ.ეტიენი | 6 | 4 | 0 | 2 | 8:5 | 12 |
| 3.პსჟ | 5 | 3 | 2 | 0 | 8:3 | 11 |
| 4.მარსელი | 6 | 3 | 2 | 1 | 8:4 | 11 |
| 5.რენი | 6 | 3 | 2 | 1 | 7:5 | 11 |
| 6.ლილი | 6 | 3 | 1 | 2 | 5:4 | 10 |
| 7.რეიმსი | 6 | 2 | 3 | 1 | 5:4 | 9 |
| 8.ბასტია | 6 | 2 | 2 | 2 | 5:5 | 8 |
| 9.ევიანი | 6 | 2 | 2 | 2 | 9:10 | 8 |
| 10.ნიცა | 5 | 2 | 2 | 1 | 6:7 | 8 |
| 11.ლიონი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:4 | 7 |
| 12.ნანტი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:4 | 7 |
| 13.მონპელიე | 6 | 1 | 4 | 1 | 8:10 | 7 |
| 14.ლორიანი | 5 | 2 | 0 | 3 | 3:5 | 6 |
| 15.ტულუზა | 6 | 1 | 3 | 2 | 5:8 | 6 |
| 16.გენგამი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:8 | 5 |
| 17.ბორდო | 5 | 1 | 1 | 3 | 3:7 | 4 |
| 18.აიაჩო | 6 | 0 | 3 | 3 | 4:7 | 3 |
| 19.ვალანსიენი | 5 | 1 | 0 | 4 | 4:7 | 3 |
| 20.სოშო | 6 | 0 | 2 | 4 | 3:9 | 2 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ანჟე-ოსერი .................................... 2:0

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

ერაკლესი-ტვენტე ......................... 0:3
დენ ჰააგი-ნაიმეგენი ..................... 1:1
გრონინგენი-ვალვაიკი .................. 4:1
როდა-ჰერენვენი ........................... 3:3

**პორტუგალია. ა ლიგა**

ჟილ ვისენტე-ოლჰანენსე .............. 1:1
ბელენენსეში-მარიტიმუ ................ 1:0
სპორტინგი-რიუ ავე ...................... 1:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

დინამო-ლოკომოტივი .................... 1:3
კრ.სოვეტოვი-ურალი ................... 1:1
**კრ.სოვეტოვის გოლი ალესანდრე ამისულაშვილმა გაიტანა**
ტერეკი-კრასნოდარი ..................... 0:1
ვოლგა-ანჟი ................................... 2:1
სპარტაკი-ცსკა ............................... 3:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

აბერდინი-ინვერნესი ..................... 1:0
პარტიკი-კილმარნოკი .................... 1:1
როსი-ჰართსი ................................. 2:1
ჰიბერნიანი-სტ.მირენი ................. 2:0
სელტიკი-სტ.ჯონსონი .................. 2:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

იანგ ბოიზი-ლუცერნი ................... 0:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

შტურმი-აუსტრია .......................... 1:2
ადმირა-ნოიშტადი ........................ 0:3
გროდიგი-ინსბრუკი ...................... 3:3

**ბელგია. პროლიგა**

გენტი-ოსტენდე ............................. 1:1
ლიერსი-კორტრაიკი ..................... 2:0
მეხელენი-მონსი ............................ 4:2
შარლერუა-სერკლი ....................... 2:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქონია-გენჩლერი ........................... 1:0
სივასი-ქაშიმფაშა .......................... 1:2
ფენერბახჩე-ელაზიგი .................... 4:0
ესკიშეჰირი-ანთალია .................... 2:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ასტერასი-კალონისი ..................... 2:0
ატრომიტოსი-აპოლონი ................ 2:0
პანათინაიკოსი-ოფი ..................... 1:0

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

პლზენი-დუკლა ............................. 0:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლეჩნა-ზავიშა ................................ 1:1
კრაკოვია-ვისლა ........................... 1:1
ზაგლებიე-კორონა ........................ 2:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ჰოვერლა-არსენალი ..................... 2:0
ტავრია-მეტალისტი ...................... 0:3
შახტარი-ვორსკლა ....................... 3:0

**დანია. სუპერლიგა**

მიდტიულანდი-ვიბორგი ............... 0:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

კალმარი-გეფლე ........................... 0:0

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ლილესტრიომი-ჰონეფოსი ........... 1:2
ბრანი-სტრომგოდსეტი ................. 1:1

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

იარო-მარიეჰამნი ......................... 1:2

**აშშ. მლს**

მონრეალი-ვანკუვერი ................... 0:3
ტორონტო-კანზასი ........................ 1:2
კოლამბუსი-ჩიკაგო ....................... 3:0
ნიუ ინგლანდი-დ.ს.იუნაიტედი ...... 2:1
ჰიუსტონი-ჩივასი ......................... 5:1
სოლტ ლაიკი-სან ხოსე ................. 1:2
ლოს ანჯელესი-სიეტლი ................ 1:1

**ბრაზილია. სერია ა**

ფლუმინენსე-კურიტიბა ................ 1:1
ვიტორია-გრემიო .......................... 0:0

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**

ოლიმპო-ბელგრანო ...................... 1:1
როსარიო-სარანდი ....................... 1:1

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ნაქარგი ხატები ხელოვნების მუზეუმშია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ნის პორტრეტი დაწვა, რომელსაც ეწერა „სლავა ლელინუო“. დიდება უფალს, მკვდარ თავს დიდება რად უნდაო. ათონის მთიდან იყვნენ ჩამოსული ბერები და ერთ-ერთი ცნობილი არქიმანდრიტი, მათ შეხვედრა უნდოდათ მამა გაბრიელთან და რომ მივიდნენ, მამა გაბრიელი დახვდათ ძალიან მთვრალი. მაშინ არქიმანდრიტმა თქვა, ახლა კი მივხვდი, ეს არის ნამდვილი სალოსი, უარის თქმაც არ შეეძლო, ლაპარაკიც არ უნდოდა და ასეთი ფორმით გამოხატა თავისი დამოკიდებულებაო.

***—თქვენ იცნობდით მამა გაბრიელს?***

— კი, მინახავს. ჩემი სულიერი მოძღვარი არის მამა რაფაელი კარელინი. მამა რაფაელი იქვე ცხოვრობს ნავთლუღში, სადაც ცხოვრობდა მამა გაბრიელი. რამდენჯერმე მანქანით მივიყვანე მამა რაფაელი მამა გაბრიელთან, სულ საუბრობდნენ, სულიერი ძმები იყვნენ. სადღაც ვნანობ, უფრო ახლოს რომ არ გავიცანი, მაგრამ ჩემთვის მამა რაფაელი იყო ყველაფერი. არ იქნებოდა ნამდვილად სწორი, რომ იქაც წავსულიყავი. მამა რაფაელი ძალიან მავსებდა. ის არის ჩემი თანაავტორი, ყველა ნამუშევარი მამა რაფაელის მოგონებებიდან არის აღებული. თუნდაც ბოლო პერიოდის აღმსარებლები, თუნდაც აბრაამ ჩხეტიანი, რომელიც დაკრძალულია იქვე, სადაც მამა გაბრიელი, მცხეთაში სამთავროს დედათა მონასტერში. 104 წელი იცოცხლა, არაჩვეულებრივი პიროვნება იყო, სულ დაგლეჯილით დადიოდა, როგორც კი ახალ სამოსელს აჩუქებდნენ, მეორე დღეს ისევ ძველი ეცვა. თუ რაღაც პატარა თანხას გადაუხდიდნენ, იცოდა, მცხეთაში რომელ ოჯახს უჭირდა და ჩუმად, არავის რომ არ გაეგო, მაშინვე გარბოდა და ყველაზე გაჭირვებულ ოჯახს აძლევდა. პანაშვიდის მოსახსენიებელს რომ მოიტანდნენ ტაძარში, მარტო პურს დაიტოვებდა და დანარჩენი საკვებიც გაჭირვებული ოჯახებისთვის მიჰქონდა. სვეტიცხოვლის ფონზე მოვქარგე ეს დიდებული ადამიანი, ამ ტაძარში იყო, იქ მსახურობდა, უბრალოდ, დაკრძალულია სამთავროს დედათა მონასტერში. დედებმა ითხოვეს, რომ იქ დაკრძალულიყო. საოცარი ჩვევა ჰქონდა, ყოველდღე წირვის შემდეგ სვეტიცხოველს 12-ჯერ შემოუვლიდა ხოლმე. 104 თუ 106 წლის იყო, თოვლში დავარდა, თავი დაარტყა, რამდენიმე დღე ავად იყო და გარდაიცვალა. დღეს, ჩვენს ეპოქაში რომ ასეთი ზნეობრივი ადამიანები არსებობენ, ეს უდიდესი სასწაულია. ჩვენ ცოტა უცნაურად ვაზროვნებთ, აი, მორჩა მართლმადიდებლობა, ის მაშინ მეხუთე საუკუნე იყო, ახლა XXI საუკუნეა და სხვა დროაო, მაგრამ ამათმა დაამტკიცეს, რომ აბსოლუტურად ყველაფერი არის დამოკიდებული ადამიანზე. რა თქმა უნდა, უფალი ყველას უგზავნის მადლს, მაგრამ ის მადლი უნდა მიიღო, უარი არ უნდა თქვა. ამ აღმსარებლებმა მიიღეს უფლის მადლი, გადასცეს სხვებსაც და ამის დასტურია ის, რომ მათ გვერდით ყველა ძალიან კარგად გრძნობდა თავს. ამბობდნენ, სულ სხვა განზომილებაში ვართო. ძალიან სასიამოვნოა ასეთ ადამიანთან ყოფნა, მით უმეტეს მაშინ, თუ სულიერებისკენ მიდრეკილება ცოტათი მაინც გაქვს.



ჩემს ნამუშევრებში მოხვდა მამა ბასილი ანთაძეც, რომელმაც ააშენა მონასტერი თბილისიდან 20 კილომეტრში ლისის ტბისკენ. ეს არის დიდი ბასილის სახელობის ტაძარი. ერთადერთი ბერი, მღვდელი და წინამძღვარი გახლავთ, რომელიც ყოველ ღამე ატარებს ლიტურგიას, დამხმარეც არ ჰყავს, ყველაფერს მარტო აკეთებს. იცით, ჩვენშიც არიან წმინდანები. მამა ბასილი რომ ვნახე რამდენიმე წლის წინ, სულ სხვა იყო. ახლა ის არის აბსოლუტურად სხვა ადამიანი. ის თბილისში, სიონშიც მსახურობდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ბერად აღიკვეცა, სულ სხვანაირია. ის არის ნამდვილი ბერი დიდი წვერით, გამხდარი, საეკლესიო ცხოვრებაშია მთლიანად ჩართული და ეს იგრძნობა. ის მთლიანად კონცენტრირებულია სასულიერო ცხოვრებაზე.

***— მამა რაფაელი როგორ მოქარგეთ?***

— მამა რაფაელი მოვქარგე მთაწმინდის ფონზე.

***— მოგიწონათ ნამუშევარი?***

— კი, მომიწონა და მითხრა, შენ ისეთი მოქარგე, როგორიც საერთოდ უნდა გავხდე, ამ ნამუშევარში სულიერება ჩანსო. გვაქვს ჯგუფური ნამუშევარიც, რომელიც მათი ეზოს ფონზეა, მამა რაფაელის დედა ალექსანდრაც მოვქარგე, აგრიპინაც, რომელიც მისი მარჯვენა ხელი იყო. სიცოცხლის ბოლომდე მასთან იყო. მოსკოვში რომ ვიყავი, სულ მირეკავდა, მიშა, ჩამოდი აქ, მანდ რა გინდაო. მადლობა ღმერთს, ჩამოვედი და მალევე გარდაიცვალა კიდეც. არაჩვეულებრივი პიროვნება იყო, დილის 6 საათიდან შრომობდა ღამის 12 საათამდე. გვიან თუ ვინმე მოვიდოდა მამა რაფაელთან, დააკაკუნებდა მამა რაფაელთან, შევიდოდა კელიაში და ეტყოდა, მამა რაფაელ, ადამიანი მოვიდაო. ხაზს გაუსვამდა, რომ ვიღაც კი არ მოვიდა, ადამიანი მოვიდაო, ე.ი. როგორ უჭირს, ასე გვიან რომ მოვიდაო. ძალიან კარგად ესმოდა, რომ ასე გვიან მოსულ ადამიანს აუცილებლად დახმარება სჭირდებოდა, ნახეთ, ამ ქალში რამხელა სიყვარული იყო ადამიანების მიმართ. ამ ნამუშევარში მეც ვარ. მინდოდა დიდი კომპოზიცია ყოფილიყო, ოთხი პიროვნების დამატება მინდოდა, მაგრამ მამა რაფაელმა მითხრა, მიშა, მოდი, სკოლის სურათს ნუ გავაკეთებთო. ღვთის წყალობით, ვმუშაობ და ეს უდიდეს სულიერ სიამოვნებას მანიჭებს.

***— რამდენი ხანია, რაც ქარგავთ?***

— ამაში მამა რაფაელი ძალიან დამეხმარა. ვქარგავ 25-30 წელიწადია.

***— რატომ დაიწყეთ ქარგვა?***

— ოქრომჭედლობას ცუდად არ ვფლობდი. საპატრიარქოს ვუკეთებდი საოქრომჭედლო ნაკეთობებს, განსაკუთრებით ჯვრებს. ერთხელაც რომ მივიტანე შეკვეთა ძველ საპატრიარქოში, ვნახე კედელზე მოქარგული ბოლნისის ჯვარი. იცით, რა მომივიდა? ჩავვარდი შოკში. არასოდეს მინახავს ნაქარგობა, მაგრამ დავინახე, თურმე, რა შეუძლია ძაფს. იმ დღეს ვიშოვე ძაფიც, ნემსიც და დღემდე ვერ ვჩერდები.

***— იცით, ვინ არის იმ ჯვრის ავტორი?***

— არა, ეს უკვე იმდენად აღარ მაინტერესებდა... მოხარული ვარ, რომ ამ საქმეს ვემსახურები. ეს ჩემი უკვე მეოთხე გამოფენაა, რაც ჩამოვედი მოსკოვიდან. იქ დროებით წავედი, გამოფენით ჩავედი, საელჩომ დამპატიჟა, მაგრამ დავრჩი 12 წელი. ეს იყო ჩემთვის ძალიან დიდი დრო. ძალიან გამიჭირდა, რაც არ უნდა იყოს, ჩვენი მიწა-წყალი სულ სხვაა. ვუხსნი ხალხს, სამშობლო ხომ მარტო პოლიტიკა არ არის, სამშობლო ხომ შენი წინაპრების საფლავია, ჩვენი ფოლკლორია, ჩვენი ქალაქია, ჩემი ძველი თბილისი, სადაც დავიბადე, გავიზარდე. მუსიკალური ვარ და, რომ ჩავრთავდი მოსკოვში ქართულ ხალხურ სიმღერებს, ვტიროდი ამხელა კაცი! ვაიმე, სადა ვარ, აქ რა მინდა-მეთქი, სულ ამას გავიძახოდი.

***— მაშინ, რატომ არ ჩამოდიოდით?***

— კურთხევას არ მაძლევდა მამა რაფაელი, ჯერ არა, უნდა გაგაგდოს მოსკოვმაო, მეუბნებოდა და გამაგდო კიდეც.

***— დეპორტით ხართ ჩამოსული?***

— არა, ყველაფერი მქონდა მოსკოვში, ბინაც, ჩაწერაც, მაგრამ სამსახური დავკარგე. ანტიქართული პროპაგანდა რომ დაიწყო, არავის არაფერი უთქვამს, მაგრამ ვიგრძენი შინაგანად, რომ უნდა წამოვსულიყავი. ნამდვილად არ მეწყინა, სულ სხვა რაღაცები დავინახე. მგრძნობიარე ვარ და ყველაფერს ვაკვირდები. რამდენჯერმე უხეშობები იყო ქართველების მიმართ, იყო კამათი ამ თემაზე, მალაია გრუზინსკაიაზე ქართულ ტაძარშიც დავდიოდი. ცნობილმა ქართველმა ბიზნესმენმა ლევან ვასაძემ მითხრა, მიშა, შენ აქ რა გინდა, შენ უნდა იყო თბილისშიო. რომ ჩამოვედი, მიღებაზე ვიყავი უწმინდესთან და, რომ მკითხა, რამდენ ხანს იყავი მოსკოვშიო, ვუთხარი, 12 წელი-მეთქი. არა უშავს, აქ გაიხარებო, მითხრა, თან დაამატა, ეს არის ყველაზე სწორი ნაბიჯი, რომელიც გადადგიო. არ მესმის იმ ადამიანების, ვინც მიდის საერთოდ საქართველოდან და ავიწყდებათ აბსოლუტურად ყველაფერი. ბევრია მოსკოვში ასეთი ქართველიც, სხვა ეროვნების ადამიანიც, ვინც ამბობს, იქ სად უნდა ჩავიდეო. მეცოდებიან ასეთი ადამიანები და ძალიან მიჭირს მათთან ურთიერთობა. ადამიანი უფრო რთულია, ვიდრე ჩვენ გვგონია.

***— როგორ არჩევთ, ვინ მოქარგოთ?***

— წინასწარ აბსოლუტურად არაფერი ვიცი, ახლა ორ მატრონას ვქარგავ ერთად, რიაზანელსა და მოსკოველს და არ ვღელავ. ადრე ვამთავრებდი და არ ვიცოდი, მომავალში რა იქნებოდა. პრაქტიკამ თავისი მოიტანა, ეს ხდება ერთ წუთში, სულში, გულში იხატება მთლიანად კომპოზიცია. ჯერ იხატება გულში და მერე უნდა გადაიტანო ტილოზე, თან უნდა დაინახო მთლიანად, დამთავრებული. ამ ჟანრში ფრაგმენტების დანახვა არ შეიძლება. ბოლო პერიოდში გამიტაცა ბოლო დროის აღმსარებლებმა. მოვქარგე გაბრიელ ბულისკერია. მამა რაფაელმა მითხრა, შენ უკეთესად მოქარგე, ვიდრე მე მასზე დავწერეო. არაჩვეულებრივად დინჯი და შინაგანი კულტურის ადამიანი იყო, გაწონასწორებული, შინაგანი თავდაჯერება ჰქონდა. ადამიანს რამდენიც იყო საჭირო, იმდენს უპასუხებდა, ბოდიშს მოუხდიდა და წავიდოდა. კალისტრატე ცინცაძე მოვქარგე, იოაკიმე შენგელაია, კონსტანტინე ქვარაია, დიმიტრი იაშვილი, ალექსი შუშანია. მოქარგული მყავს აბო თბილელი, სერაფიმ საროველი, ბერი პაისი. მისი ცხოვრება და წიგნები რომ წავიკითხე, გადავირიე. ის წერს, ახალგაზრდა მხატვრებო, გააკეთეთ პორტრეტები თანამედროვე სულიერი პირებისო. ბევრს მეკითხებიან, წმინდანი არ არის და რატომ მოქარგეო. სერაფიმ საროველი წმინდანი არ იყო, მაგრამ, ცოცხალი რომ იყო, ვიღაცამ გააკეთა მისი პორტრეტი. რომ არ ყოფილიყო ეს პორტრეტი, ხომ არ გვეცოდინებოდა, როგორი იყო ის? მოსკოვში ჩემს სამსახურში ვიჯექი და ვქარგავდი ნიკოლაი სერბს. ერთი სერბი ქალი შემოვიდა და მკითხა, თქვენ ეროვნებით ვინ ხართო, იცნო, ვისაც ვქარგავდი, თან სერბეთში ძალიან უყვართ ეს პიროვნება. ვუთხარი, ქართველი ვარ-მეთქი და გაოცდა, წარმოგიდგენიათ, მოსკოვში ქართველი ქარგავს სერბ წმინდა ნიკოლოზსო. მოსკოვშიც გადამარჩინეს ამ წმინდანებმა, ურთულეს პირობებში ვცხოვრობდით, ვმუშაობდით, მეგაპოლისში ძალიან ძნელია ცხოვრება, მაგრამ იმედს გაძლევენ, გამშვიდებენ, მაგათი ცხოვრება ხომ იოლი არ ყოფილა, ეს სტიმულია შენთვისაც, რომ შენც ისევე მოითმინო, როგორც მან მოითმინა. მეგობარი იტყოდა, კარგი, კაცო, რას ითმენ, ერთხელ ცხოვრობ ამქვეყანადო.

ალექსი შუშანიაზე გამოფენა იყო ქარვასლაში, მისი ნათესავი მოვიდა ამ გამოფენაზე და კომპლიმენტი გამიკეთა, ყველაზე მეტად თქვენი ნამუშევარი გაქვს მამა ალექსისო. საოცარი ადამიანი იყო, ვინც გადადებული იყო და ექიმებიც კი უარს ამბობდნენ მათ მკურნალობაზე, წაიყვანდა თავის სახლში, უვლიდა, აჭმევდა და როცა გარდაიცვლებოდა, დაკრძალავდა კიდეც. მათ ძალიან კარგად იცოდნენ მართლმადიდებლობის შინაარსი, იცოდნენ რა არის სახარება, რომ მარტო ცოდნა არ არის საკმარისი და რომ ყველაფერი უნდა შეასრულო. იმიტომ არიან დიდები, რაც უფრო დრო გადის, უფრო მეტად ვგრძნობთ, რომ დიდები არიან.

აბო თბილელი საერთოდ მოვლენა იყო ჩვენს ისტორიაში. წარმოიდგინეთ, არაბების ლაშქარმა გაიმარჯვა და აბომ მიიღო დამარცხებულების რწმენა. ეს ხომ პარადოქსია? მან ქადაგებაც დაიწყო, გააფრთხილეს კიდეც, თავს მოგაჭრითო. ის ამბობდა, გამასამართლებს უფალი, სული უფალთან წავაო.

***— რამდენი ხანი მუშაობთ თითო ნამუშევარზე?***

— დიდ კომპოზიციაზე ვმუშაობ 6-7 თვე დღეში 10 საათს. თუ არ ვმუშაობ, დეპრესია მეწყება. ეს არის ძალიან სამკურნალო პროცესი, სულიერად და ფიზიკურად ვიკურნები, რაღაც ამოუცნობი ხდება ფსიქიკაში, ვმშვიდდები, ვდინჯდები. წნევაც თუ მაქვს მაღალი, დავჯდები, ვმუშაობ და ყველაფერი წესრიგშია. არ უნდა დაგვავიწყდეთ ვისთან გვაქვს საქმე, ვგრძნობ, რომ ისინი მამშვიდებენ. ადრე მიყვარდა ძალიან ღვინო, მოქეიფე ბიჭი ვიყავი და ახლა 20 წელია წვეთი არ დამილევია. არასოდეს წავსულვარ რესტორანში ერთი ჭიქის დასალევად, უფრო სწორად, წავსულვარ ცოტას დასალევად, მაგრამ საქართველოს სიყვარულით ჩავმხრჩვალვართ. მამა რაფაელმა მითხრა, შენი მტერი ღვინოაო და დავანებე თავი.



***— არ გაგიჭირდათ?***

— არა. ძალიან უცბად ვიგრძენი, რომ ეს არის ჩემი დამღუპველი. ყველასთვის ცნობილია, რომ ადამიანი რომელიც ანებებს თავს სიგარეტს, ეს უნდა გააკეთოს უცბად, ხვალიდან და ზეგიდან კი არა, იმ წუთას. იყო მომენტი, მამა რაფაელს ვუთხარი, რამდენი ძველი მეგობარი და ძმაკაცი დავკარგე-მეთქი. მითხრა, რას დარდობ, ნახე, რა მეგობრები შეიძინეო და მართალიც არის — ეს ადამიანები პირდაპირ შემოვიდნენ ჩემს ოჯახში. ეს წმინდანები უფრო ახლოს არიან ჩემთან. ჩემი შვილიშვილებიც კი, სამუშაო ოთახში რომ შემოდიან, ისე უყვართ, გრძნობენ, კოცნიან, მოწიწებით ეპყრობიან. ადამიანის ცხოვრება ტალღებივით არის, სულიერება ხან სუსტდება, ხან მძაფრდება.

***— თუ არის კომპოზიცია, რომლის მოქარგვასაც ვერ ბედავთ?***

—ალბათ, დაუძლეველია არაფერია, მაგრამ ძალიან კარგად მესმის, რომ რადგან ძაფთან ვმუშაობ, კომპოზიცია უნდა შეიქმნას ძაფისთვის. ფერწერისთვის კომპოზიცია სულ სხვაა, ძაფისთვის ყველაფერი უნდა იყოს დამრგვალებული, მერე უკვე ფორმები თამაშობს. ადრე პატარა და რთულ კომპოზიციებს ვაკეთებდი, მაგრამ მივხვდი, რომ ჯობია, იყოს ერთი პორტრეტი და დიდი, რადგან პორტრეტში პიროვნება ჩანს.

***— ყიდით თქვენს ნამუშევრებს?***

— არა.

***—სულ რამდენი ნამუშევარი გაქვთ?***

— ამ გამოფენაზე 43 ნამუშევარი გამოვფინე. 90-მდე ნამუშევარი მექნება, რამდენიმე ადრე გავყიდე, ნაწილი გავაჩუქე. მოვიდნენ უცხოელები, მაგრამ უარი ვუთხარი. უცხოელს უნდა ძალიან მუქთად. პარიზში გაკეთებული ბეჭედი, რომელიც ღირს 100 დოლარი, ზუსტად ისეთს ინდოელი მონა აკეთებს 1 დოლარად, თუმცა არანაკლები ნამუშევარია, უბრალოდ, იმას მონა აკეთებს.

# სკანვორდი



1. კოლხი მედეას დედა; 2. ტერფზე ამოსაკრავი რკინა ალპინისტებისათვის; 3. კორეული ავტო; 4. „... ია“; 5. კანფეტი; 6. საწინდარი; 7. გარეული ღორი; 8. ლოჟები პარტერის დონეზე თეატრში; 9. ბრტყელი მაგარი ჩალის ქუდი; 10. მთის მასივი სომხეთსა და თურქეთში; 11. აჯანყება; 12. ჩოგბურთელი ... საფინი; 13. ფრანგული ყველი; 14. რომის პაპის გვირგვინი; 15. ჭადრაკის ფიგურა; 16. ქალაქი უზბეკეთში; 17. დავით თორაძის ბალეტი; 18. ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი თურქეთის ტერიტორიაზე; 19. ყვავილი; 20. ცენტრალური მცველი ფეხბურთში; 21. დამღა; 22. ქართული გაზეთი; 23. მამათა დიდი მონასტერი; 24. იგივეა, რაც კრინოლინი; 25. კარის ან ფანჯრის დასაკეტი რკინა; 26. ხეობა პირიქითა ხევსურეთში; 27. საწინააღმდეგოს აღმნიშვნელი წინსართი; 28. ბატონი (ესპანურად); 29. ... ჟირარდო; 30. ფეხბურთის მეფე; 31. სიცოცხლესთან დაკავშირებული, სასიცოცხლო; 32. ქალაქი ესპანეთში; 33. ხოხბის ბარტყი; 34. დედმამიშვილი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ეშხი; 2. „იზა“; 3. გერიატრია; 4. დონგი; 5. ბიუჯეტი; 8. ნიკე; 9. ვაგნერი; 10. შოკოლადი; 12. ბასტრი; 13. გროტი; 15. ქაცვი.

**თარაზულად:** 1. ეპილოგი; 6. ბეისბოლი; 7. ხუნტა; 10. შტილი; 11. აკაბა; 13. გონიო; 14. ჩაქვი; 16. ტახო; 17. აერაცია; 18. მწნილი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. სოლისიტორი; 2. მონაკო; 3. ბარნელა; 4. ლუქსი; 5. სერჟანტი; 6. შერპი; 7. ვალენსა; 9. ტეკილა; 13. „პიეტა“; 17. ქადა; 18. ლიე.

**თარაზულად:** 1. სუნიზმი; 3. ბუშელი; 8. პეპელა; 10. გარინჩა; 11. ოსაკა; 12. დიაფანი; 14. „სტელსი“; 15. დმანისი; 16. ტაქსა; 19. შატილი; 20. ჩიხრაძე; 21. გულაბი.

# ესპანეთმა ტიტული დათმო

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ოდ ლიტველებმა 77:62 მოიგეს და ოქროს მედლებისთვის იბრძოლებენ.

**ლიტვა – ხორვატია 77:62**

**ლიტვა:** მოტეიუნასი, კალნეიტასი (18ქ), ლავრინოვიჩი (2ქ), მაჩიულისი (23ქ), სეიბუტისი (2ქ), კლეიზა (22ქ,11მ), ვალანჩიუნასი (6ქ), იავტოკასი (4ქ)

**ხორვატია:** ტომიჩი (7ქ), ანდრიჩი (3ქ), დრეიპერი (5ქ), ბოგდანოვიჩი (15ქ), სარიჩი (4ქ), რუდეზი (5ქ), უკიჩი (1ქ,7მ,5პ), სიმონი (9ქ), მარკოტა (5ქ), ზორიჩი (8ქ)

ისტორიული გამოდგა ეს ჩემპიონატი უკრაინისთვის, რომელმაც მეოთხედფინალიდან გავარდნის შემდეგ 5-8 ადგილებისთვის ბრძოლა განაგრძო და პირველი მატჩი იტალიას 66:58 მოუგო, ხოლო მე-5 ადგილისთვის მატჩში სლოვენიასთან დამარცხდა.

თავიდან უკრაინა იგებდა, მეორე მეოთხედში კი სლოვენიელებმა იძალეს და დაწინაურდნენ. უკრაინა მასპინძლებს კუდში მისდევდა, თუმცა საბოლოოდ წამოწევა ვერ მოახერხა და 63:69 დამარცხდა.

ამ მატჩის შედეგს უკრაინისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა – მაიკ ფრატელოს გუნდმა სლოვენიაში თავისი საქმე გააკეთა: მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მოიპოვა. უკრაინელები მომავალ წელს ესპანეთში პლანეტის პირველობაზე იასპარეზებენ, 2015 წელს კი ევრობასკეტს უმასპინძლებენ.

**სლოვენია – უკრაინა 69:63**

**სლოვენია:** გ.დრაგიჩი (19ქ,7მ), ნაჩბარი (9ქ), ბლაზიჩი (9ქ), მურიჩი (9ქ)

**უკრაინა:** ჯეტერი (12ქ), ზაიცევი (12ქ), ლიპოვი (10ქ), ნატიაჟკო (9ქ,7მ)

# მეორე მსოფლიო ომში დაღუპული მამის წერილი 70 წლის შემდეგ მიიღეს

ნევადის შტატის მცხოვრებმა პეგი ედინგტონ-სმიტმა გაგზავნიდან თითქმის 70 წლის შემდეგ მეორე მსოფლიო ომში დაღუპული მამის წერილი მიიღო, – იტყობინება „ფოქს ნიუსი“.

პეგი მაშინ დაიბადა, როდესაც მამამისი, რიგითი ჯონ ედინგტონი, უკვე ფრონტზე იყო. გაჩენიდან მალევე, 1944 წლის ივნისში იტალიაში დაიღუპა, ამიტომ არასოდეს არ ჰყავდა ნანახი.

დაღუპვამდე ცოტა ხნით ადრე მან ქალიშვილს, რომელსაც სამი თვე შეუსრულდა, მისწერა წერილი, რომელმაც ადრესატამდე ვერ მიაღწია. დაახლოებით 14 წლის წინ მისურის შტატის მცხოვრებმა წერილი ნათესავების სახლის დალაგებისას იპოვა. დაზუსტებული არ არის, წერილი ამ სახლში როგორ აღმოჩნდა. ცნობილია, რომ ედინგტონი ფრონტზე წასვლის წინ ასევე მისურის შტატში ცხოვრობდა.

შაბათს ნევადის შტატის ქალაქ დეიტონში სპეციალური ცერემონია ჩატარდა, სადაც ედინგტონ-სმიტს მამის წერილი და ასევე მედალი გადაეცა, რომლითაც ომში დაღუპულ ან დაჭრილ ამერიკელ ჯარისკაცებს აჯილდოებენ.

წერილში ედინგტონი წერს, რომ უყვარს ქალიშვილი და დედამისი. 69 წლის ედინგტონ-სმიტმა განაცხადა, რომ წერილის წაკითხვის შემდეგ მამასთან სიახლოვე იგრძნო.

# პეტერბურგელმა პოლიციელმა ცოლი მოკლა, მისი საყვარელი დაჭრა და ბოლოს თავი მოიკლა

სანკტ-პეტერბურგში შსს-ს თანამშრომლის დაღუპვის ფაქტზე გამოძიებაა დაწყებული. თვითმკვლელობის წინ, წესრიგის დამცველი საკუთარ ცოლს და მის ახალ რჩეულს გაუსწორდა, რომელიც ბელორუსიელი აღმოჩნდა.

34 წლის პაველ კორჟუკოვის გვამი, ხუთშაბათს ათ საათზე, სახალხო ქუჩა 67-ში აღმოაჩინეს. წინასწარი მონაცემებით, მამაკაცმა დანით სასიკვდილო ჭრილობა გულის არეში მიიყენა.

რამდენიმე საათით ადრე, იმავე მისამართზე მეორე სადარბაზოში ნახეს დაღუპული პოლიციელის 32 წლის მეუღლისა და ასევე 39 წლის მამაკაცის გვამი, რომელსაც ბელორუსის მოქალაქეობა ჰქონდა. ქალი დანით მიყენებული ათი ჭრილობით, შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო უცხოელი უმძიმეს მდგომარეობაში საავადმყოფოში გადაიყვანეს.

„დადგენილია, რომ ქალი მეწყვილესთან ერთად, ქმრისგან დამალვას მეგობართნ ცდილობდა, რომელიც აღნიშნულ სახლში ცხოვრობს“, – ნათქვამია პოლიციის პრეს-რელიზში. ამასთან, პაველ კორჟუკოვის მეუღლე განქორწინებაზე განცხადების შეტანას აპირებდა.

წინასწარი მონაცემებით, პოლიციის თანამშრომელმა ხოცვაჟლეტა ეჭვიანობის ნიადაგზე მოაწყო. საქმეზე აღძრულის სისხლის სამართლის საქმე.

„თუ დამტკიცდება, რომ პოლიციელმა ჩაიდინა მკვლელობა, ხოლო შემდეგ თავი მოიკლა, საქმე შეწყდება. მაგრამ ამისთვის საჭიროა ძიება ჩატარდეს“, – აცხადებენ სანკტ-პეტერბურგის პოლიციაში.

# უკრაინის მთავრობამ ევროკავშირში ასოცირებას დაუჭირა მხარი

უკრაინის მთავრობამ ერთხმად დაუჭირა მხარი უკრაინის ევროკავშირში ასოცირების ხელშეკრულების პროექტს.

ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლაი აზაროვმა განაცხადა, რომ შეთანხმება ხელს შეუწყობს უკრაინაში წარმოებული საქონლის ევროკავშირის ბაზარზე მოხვედრას.

სავარაუდოდ, უკრაინიდან იმპორტირებულ პროდუქციაზე გადასახადი 1,5 ჯერ შემცირდება.

პრემიერმა ასევე აღნიშნა, რომ განსაკუთრებული ეფექტი ხელშეკრულებას სოფლის მეურნეობისთვის ექნება, ასევე შესაბამისი სტიმულირება მოხდება მეტალურგიაში, კვების მრეწველობის, ტრანსპორტის და სხვა სფეროებში.

შეგახსენებთ, რომ რუსეთმა დაიწყო შანტაჟისა და მუქარის ფართომასშტაბიანი კამპანია მოლდოვისა და უკრაინის წინააღმდეგ, რათა ჩაშალოს ამ ქვეყნების მიერ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებების გაფორმება. რუსეთი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისაგან კატეგორიულად ითხოვს ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებას. რუსეთმა უკვე აკრძალა მოლდოვური ღვინოები და უკრაინული კანფეტები, მოლდოვას დაემუქრა დაშლით, ეთნიკური კონფლიქტების განახლებით და ზამთარში სიცივისაგან გაყინვით, უკრაინული ტვირთის იმპორტს საზღვარზე პრობლემები შეუქმნა რითაც 3-მილიარდ-დოლარიანი ზარალი მიაყენა უკრაინის ეკონომიკას. პუტინმა ღიად განაცხადა, რომ თუ ვილნიუსის სამიტზე ევროკავშირთან შეთანხმება გაფორმდება რუსეთი უკრაინასა და მოლდოვას პარტნიორების სიიდან ამოშლის და ეს მათ ძალიან ძვირი დაუჯდებათ. როგორც ჩანს, მსგავსი ზეწოლა სომხეთისთვის დამაჯერებელი აღმოჩნდა და ის ევრაზიის კავშირში გაწევრიანებაზე დათანხმდა.

28-29 ნოემბერს ვილნიუსის სამიტზე უკრაინა და მოლდოვა ხელს მოაწერს ევროკავშირის ასოცირებულ წევრობაზე და მასთან თავისუფალ ვაჭრობაზე. სამიტზე მსგავსი შეთანხმების გაფორმების იმედი აქვს საქართველოსაც.


# სამგლოვიარო განცხადებები

ძმა პარმენი, დები, ნაზია, გულნარა, ნათელა ლემონჯავები, რძალი იზოლდა ლეჟავა, ძმისშვილები ნინო, ქეთინო, ციცინო, ლევან ლემონჯავები, დისშვილები ნოდარ ჭილავა, მურთაზ, ირა გულორდავები ოჯახებით იუწყებიან

**ანეტა ლემონჯავა-მიქიას**

გარდაცვალებას.
დაკრძალვა გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში.

შვილები ჯულიეტა, მანანა, ოთარი, ზაზა, მული გრეტა მიქიები, რძლები მანანა წოწერია, მაია თორია, სიძე რევაზ ვეკუა, შვილიშვილები მარიკა, არჩილ, ნიკოლოზ მიქიები, ილია, აკაკი ვეკუები იუწყებიან

**ანეტა მიქიას**

გარდაცვალებას.
დაკრძალვა გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**


# შვეიცარიელები რეფერენდუმზე სამხედრო გაწვევის ბედს წყვეტენ



შვეიცარიაში ეწყობა რეფერენდუმი, აუცილებელია თუ არა ქვეყნისთვის სამხედრო გაწვევა. წინა რეფერენდუმებზე, საყოველთაო სამხედრო ვალდებულების გაუქმებაზე გადაწყვეტილებამ მხარდაჭერა ვერ მოიპოვა.

როგორც ადგილობრივი მედია იტყობინება, საზოგადოებრივი აზრის კვლევისას გაირკვა, რომ საყოველთაო სამხედრო ვალდებულების გაუქმებას, რესპონდენტთა მხოლოდ 35%-მა მხარი დაუჭირა.

რეფერენდუმზე მსგავსი საკითხი პირველად არ განიხილება. საყოველთაო გაწვევის მომხრეები კვლავ მიიჩნევენ, რომ არმიაში სამსახური ყველა ახალგაზრდამ უნდა გაიაროს, რადგან ეს ქვეყნის დაცვის საუკეთესო ხერხია. გაწვევის წინააღმდეგ გამომსვლელების ძირითადი არგუმენტი არმიის შენახვის სიძვირეა.

როგორც „იტარ ტასი“ გვახსენებს, ამჟამად შვეიცარიის შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხდება არმიის შესახებ კანონის შესაბამისად, რომელიც 1995 წლის თებერვალში მიიღეს და რომელიც საყოველთაო სამხედრო ვალდებულებას ითვალისწინებს.

შვეიცარია თანამედროვე სახელმწიფოებს შორის ერთადერთია, სადაც არმია პოლიციური პრინციპით ყალიბდება. ეს ნიშნავს, რომ ჯარისკაცებისა და ოფიცრების სამსახური ჩვეულებრივი სამოქალაქო ცხოვრებისგან ხანგრძლივად ჩამოშორების გარეშე მიმდინარეობს. მოსამსახურეებს სამხედრო ნაწილებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ანაწილებენ.

# გერმანიაში საპარლამენტო არჩევნები მიმდინარეობს




გერმანიაში საპარლამენტო არჩევნები მიმდინარეობს. დასავლური მედიის ინფორმაციით, გერმანიის მოქალაქეები მე-18 მოწვევის ბუნდესტაგს ირჩევენ. ქვეყნის მასშტაბით 80 ათასამდე საარჩევნო უბანი 08:00 საათზე გაიხსნა და 18:00 საათზე დაიხურება. კენჭისყრის შედეგებზე დამოკიდებულია მინისტრთა ახალი კაბინეტის შემადგენლობაც.

კანცლერის პოსტზე პრეტენზიას აცხადებენ ანგელა მერკელი და ფინანსთა ყოფილი მინისტრი პეერ შტაინბრიუკი. კანდიდატები არჩევნებზე 34-მა პარტიამ წარადგინა, თუმცა, ბუნდესტაგში ფრაქციების შექმნის შესაძლებლობა, სოციოლოგების ვარაუდით, მხოლოდ 5-6 პარტიას ექნება.

მმართველ კოალიციაში ანგელა მერკელის ბლოკი – „ქრისტიან-დემოკრატები“ და „თავისუფალი დემოკრატიული პარტია“ არიან. „კავშირი 90“, „მწვანეები“ და „მემარცხენეები“ კი ოპოზიციაში იმყოფებიან. 5%-იანი ბარიერის გადალახვის შანსს ინარჩუნებს პარტია „ალტერნატივა გერმანიისთვის“, რომელიც გერმანიის ევროზონიდან გამოყვანის ინიციატივით გამოდის და ერთიან ევროპულ ვალუტას შეცდომად მიიჩნევს.

ბუნდესტაგს 4 წლის ვადით ირჩევენ.

გერმანიის პარლამენტი 622 დეპუტატისგან შედგება. პარლამენტის ვადამდელი დათხოვნა შეუძლია მხოლოდ გერმანიის პრეზიდენტს. ბუნდესტაგის კომპეტენციაში შედის კანცლერის არჩევა. 1999 წლიდან ბუნდესტაგი განთავსებულია რაიხსტაგის შენობაში.

# კენიაში შეიარაღებული თავდასხმის მსხვერპლთა რიცხვი 40-მდე გაიზარდა

კენიაში სავაჭრო ცენტრზე შეიარაღებული თავდასხმის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 40-მდე გაიზარდა. დასავლური მედიასაშუალებები გუშინ 20 დაღუპულის შესახებ იუწყებოდნენ.

„ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, მომხდარზე პასუხისმგებლობა სომალის ისლამისტურმა დაჯგუფება „ალ-შაბაბმა“ აიღო. მათი განცხადებით, თავდასხმა იყო პასუხი სომალიში მიმდინარე სამხედრო ოპერაციაში კენიელების მონაწილეობაზე.

კენიის პრეზიდენტ უჰურუ კენიატის განცხადებით, დაღუპულთა შორის მისი ნათესავებიც არიან. დაჭრილია 150-ზე მეტი ადამიანი. პრეზიდენტის თქმით, ისინი ამ ოპერაციის ორგანიზატორებზე „ინადირებენ“.

მომხდარს მკაცრად გმობს საერთაშორისო საზოგადოება. თეთრმა სახლმა თავდასხმას „საზიზღარი აქტი“ უწოდა.

„მან, ვინც ეს საზიზღარი აქტი ჩაიდინა, კანონის წინაშე პასუხი უნდა აგოს და ჩვენ ამაში კენიის ხელისუფლებას დახმარებას ვთავაზობთ“, – ნათქვამია აშშ-ის ეროვნული უშიშროების საბჭოს განცხადებაში.

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა უილიამ ჰეიგმა განაცხადა, რომ დაშავებულთა შორის, სავარაუდოდ, ბრიტანელი მოქალაქეებიც იქნებოდნენ.

სავაჭრო ცენტრზე თავდასხმა კენიის ისტორიაში 1998 წლის შემდეგ ყველაზე სისხლიანი მოვლენაა. მაშინ ნაირობიში ამერიკის საელჩოს აფეთქების შედეგად 200-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

# რუსეთის საელჩოს ტერიტორიაზე ნაღმმტყორცნის ყუმბარა აფეთქდა

სირიაში რუსეთის საელჩოს ტერიტორიაზე ნაღმმტყორცნის ყუმბარა აფეთქდა. როგორც საელჩოში აცხადებენ, ეს შემთხვევითი აფეთქება იყო.

აფეთქების შედეგად რამდენიმე ადამიანს ასხლეტილი ქვა მოხვდა. „საელჩოს ეზოში ერთი ყუმბარა აფეთქდა. როგორც ჩანს, ეს შემთხვევით გამოსროლილი ყუმბარა იყო. ჩვენს ორ თანამშრომლებს ასხლეტილი ქვის ნამსხვრევები მოხვდა“, – აცხადებს სირიაში რუსეთის საელჩოს თანამშრომელი.

ამ ფონზე, რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, რუსი დაქირავებულები სირიის ტერიტორიაზე იბრძვიან. განცხადება ამის შესახებ რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის დირექტორის პირველმა მოადგილემ სერგეი მნირნოვმა გააკეთა.

მისი განცხადებით, სირიის ტერიტორიაზე, შესაძლოა, 400 მდე რუსი დაქირავებული იმყოფებოდეს.

მისივე თქმით, „ეს ადამიანები რუსეთში დაბრუნდებიან, რაც დიდ საფრთხეს წარმოადგენს“.

ჩინოვნიკმა ასევე აღნიშნა, რომ რუსეთის კანონმდებლობაში არ არის მკაფიო აკრძალვა დაქირავებულობის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის აპრილში სირიის მთავრობამ გააკეთა განცხადება ქვეყანაში ამბოხებულების მხარეს მსოფლიოს 29 ქვეყნიდან დაქირავებულები იბრძვიან.

# 83 წლის მილიარდერი ჯორჯ სოროსი მესამედ დაქორწინდა



83 წლის მილიარდერი ჯორჯ სოროსი მესამედ ბიზნესლედი ტამიკო ბოლტონზე დაქორწინდა.

ქორწინების რეგისტრაცია სოროსის მამულში, ნიუ იორკში შედგა.

რეგისტრაციის ცერემონიალს მხოლოდ ახლო ნათესავები, მათ შორის სოროსის ხუთი შვილი ესწრებოდა.

„როიტერის“ ცნობით, ქორწინების რეგისტრაცია ადგილობრივმა მოსამართლემ განახორციელა.

ქორწინების ოფიციალურად გაფორმების შემდეგ ახლად დაქორწინებულმა წყვილმა საზეიმო ბანკეტზე გადაინაცვლა, რომელსაც 500 სტუმარი ესწრებოდა. მათ შორის იყვნენ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელი კრისტინ ლაგარდი, მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელი ჯიმ ენ კინი, აშშ და სხვა ქვეყნების მაღალი თანამდებობის პირები, ასევე შოუბიზნესის ვარსკვლავები.

საქორწინო საჩუქრებზე წყვილმა უარი თქვა. სოროსმა და ბოლტონმა ამის ნაცვლად სტუმრებს სთხოვეს, გაეღოთ შემოწირულობა ქველმოქმედებისათვის. საზეიმო ღონისძიება დღესაც გრძელდება.

83 წლის სოროსმა და 42 წლის ბოლტონმა ერთმანეთი ხუთი წლის წინ გაიცნეს. თაფლობის თვესთან დაკავშირებული გეგმების გამხელაზე წყვილმა უარი თქვა.

ჯორჯ სოროსი უნგრელ-ამერიკელი ფინანსისტი, ინვესტორი და ფილანთროპია. ღია საზოგადოების თეორიის მომხრე და „საბაზრო ფუნდამენტალიზმის“ მოწინააღმდეგეა (ამ მიმართულებით ახლოსაა კარლ პოპერის სოციალურ იდეებთან). ის ასევე დამფუძნებელია ისეთი ცნობილი საქველმოქმედო ორგანიზაციების ქსელისა, როგორიცაა „სოროსის ფონდი“.

*მოამზადა ვერა მამულაშვილმა*

# TV პროგრამა

**ორშაბათი 23 სექტემბერი**

**08.00** დ/ფ "როგორ შეგვქმნა დედამიწამ" **09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **09.10** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" **10.15** დან. სერ. "ჯადოსნური პლანეტა" **11.00** "გურმანია" **12.35** მხ.ფ "**მოგზაურობა მამასთან ერთად**" (ა.სორდი) **14.30** დ/ფ "ისპაჰანის სამეფო მეჩეთი" **15.00** ტ.სერ. "**ჭორიკანა**" **17.00** ტ.სერ. "**ზღვარს მიღმა**" **18.00** დ/ფ "ძვლების მკვლევარები" **19.05** ტ.სერ. "**მაგდა ემი**" **21.00** ტ.სერ. "**ზღვარს მიღმა**" **22.00** მხ.ფ "**სასიკვდილო იარაღი-3**" (მ.გიბსონი) **00.00** ღამის კ. ჩვენება – მხ.ფ "**ინტიმური ლექსიკონი**" (ჯ.ალბა)

**08.00** დ/ფ "მსოფლიოს ოდისეები" – "კატმანდუ" **08.30** მხ/ფ "**ტკბილი ნოემბერი**" (კ.რივზი) **11.30** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "ვენეცია" **12.00** მხ/ფ "**ოუშენის 13 მეგობარი**" (ჯ.კლუნი) **14.00** "ეპიცენტრი" (შაბ. გ/ჩვ) **15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **16.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

**07.30** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.30** ქრონიკა **08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) (გაგ.) **10.05** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **11.25, 12.05** სერ. "**ცივი გული**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) **13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) **14.40, 15.05** ფულთან თამაში (**21.09.13** გ/ჩ) **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" **6** სერ. **21.50** თოქ შოუ: თეა სიჭინავა — პოლიტიკის დრო (პ/ე) **23.30, 00.40** მხ/ფ "**სამართლიანი თამაში**" (ნ.უოთსი)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ."**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ."**ცრემლების გვირგვინი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ვანოს შოუ (პარასკევის გ/ჩ) **17.00** სერ. "**ნამდვილი ბრძნობა**" **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **22.00** "საბა" დაჯილდოვება (პირ.) **00.00** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **00.30** შიშის ფაქტორი **01.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.25** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.50** მხ/ფ "**მე მოვედი**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**გზა შინისაკენ**" **13.20** ქართული მულტფილმი **13.30** დოკ/ფ "ქართული მულტიპლიკაციის თავგადასავალი საქართველოში" **14.00** ფოტოგალერეა **14.05** მხ/ფ "**ნიურნბერგის პროცესი**" I სერ. **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.00** განთიადის სტუმარი **15.30** სპექტაკლი - "**კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა**" **16.35** კონცერტი - ბიძინა კვერნაძე **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.45** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**იმერული ესკიზები**" **20.40** ძილი ნებისა **21.15** საღვთისმეტყველო საუბრები **22.25** დოკ/ფ "ალექსი მაჭავარიანი" **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "დრო და ტრადიციები" ქართულ-ებრაული ურთიერთობები გად. **შ 23.35** დოკ/ფ "ფეხბურთი უბურთოთ" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**გრაფი მონტე-კრისტო**" I სერ.

**მაესტრო** **7.00, 0.45, 2.30, 5.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00** **სერიალი "ღრუბლებს მიღმა"** **6.45, 12.50** ფარული კამერა **17.45, 21.30, 0.30,4.45** "ყოველდღიური ამბები" (გამ.) **18.05, 1.30, 5.45** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ) **19.00** **სერიალი "ასი"** **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 3.15** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ.)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


23 სექტემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6628
ევრო — 2,2519
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6658
რუსული რუბლი — 0,0524

## ამინდის პროგნოზი 23 სექტემბრისთვის




## ნაქარგი ხატები ხელოვნების მუზეუმშია

ეკა ირემაშვილი

შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში მიხეილ მჭედლიშვილმა ნაქარგი ხატების გამოფენა „ნათელი სოფლისა“ მოაწყო. ეს ხელოვანისთვის მეოთხე პერსონალური გამოფენაა, მისი ნამუშევრები გამოიფინა კოპალაში, ფოლკლორის ცენტრში, ქარვასლაში და ამჟამად ხელოვნების მუზეუმში.

**მიხეილ მჭედლიშვილი:**

— ჩემი ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარია პატრიარქი ეფრემ მეორე, ჩვენი პატრიარქი ილია მეორე, რომელიც მაშინ იყო ეპისკოპოსი.



ამ ნამუშევარზე მოქარგული არიან მამა იოანე და მამა გიორგი ბეთანიელები და მამა გაბრიელი, რომლებიც წმინდანებად არიან შერაცხულნი. ისინი ბეთანიის ღვთისმშობლის მონასტრის ეზოში არიან. ბეთანიაში ცხოვრობდა ეს ორი უდიდესი ანგელოზი პიროვნება — გიორგი და იოანე. ბეთანია ყველას უყვარდა, მათი სულიერი მეგობარი იყო სალოსი გაბრიელი. პატრიარქ ეფრემსაც ძალიან უყვარდა ბეთანია, რა თქმა უნდა, ჩვენს უწმინდესსაც. ბეთანიასთან ბევრი რამ არის დაკავშირებული. გასული საუკუნის 50-იან წლებში, ხრუშჩოვის უმძიმესი წლები იდგა და ბეთანიის მონასტერი იყო ერთადერთი მოქმედი ტაძარი მთელ საქართველოში. იქ იყვნენ გაფორმებულები მამა იოანე და მამა გიორგი, როგორც დარაჯები, პატარა ხელფასიც ჰქონდათ, მაგრამ ისინი მართლმადიდებლურად ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ, წირვაც ტარდებოდა, აღსარებასაც იბარებდნენ. მთავრობამ იცოდა ამის შესახებ, მაგრამ ისე იქცეოდა, თითქოს არ იცოდა. უამრავი ხალხი ჩადიოდა ბეთანიაში, მათ შორის ტურისტებიც. დღესაც არიან ცოცხლები ის ადამიანები, ვინც იცნობდა მათ და ერთ-ერთი წერს: რომ მივიდოდით გორასთან და ზემოდან ჩანდა მონასტერი, გადავძახებდით, მამა გიორგი, მამა იოანე, გვაკურთხეთ და ისმოდა ზარების რეკვა, სანამ ჩავიდოდით ბეთანიაში, ყველაფერი გამზადებული იყო, სუფრაც და ტრაპეზიცო. მათ ძროხებიც ჰყავდათ, რძის ნაწარმიც ჰქონდათ, პურს თვითონ აცხობდნენ, მათთვის სტუმარი დიდი სიხარული იყო. წირვა ტარდებოდა და წამოსვლისას კიდევ რაღაცებს გამოგვატანდნენ, ცხვრებიც ჰყოლიათ, მამა იოანე თვითონ კრეჭდა და წინდებს ქსოვდაო.

მინდა, მამა გაბრიელზეც ვთქვა, რომელიც ყველა ბერი გაბრიელის სახელიც იცნობს. ის სალოსი იყო, აბსოლუტურად თავის ჭკუაზე იქცეოდა, ხანდახან ისეთ რამეს იტყოდა, რასაც სხვას არ აპატიებდა. ზოგს გიჟიც კი ეგონა, უჭირდათ მისი გაგება. მან ლენი-


გაგრძელება მე-10 გვერდზე


## ასტროპროგნოზი 23 სექტემბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ლომი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ქალწული** — იმიჯის შეცვლა სწორედაც რომ ღირს. **მშვილდოსანი** — თავს კრიტიკულად შეხედეთ, ამ ეტაპზე ასე აჯობებს. **სასწორი** — გზიდან ფულს მიიღებთ, შეიძლება ვიღაც ჩამოვიდეს. **ღრიანკალი** — ახალ საქმეს წამოიწყებთ, გაამართლებს. **თხის რქა** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, გადაღლილი ხართ. **მერწყული** — ყურადღების ცენტრში ყოფნა გსიამოვნებთ, სხვები შემოგნატრიან. **თევზები** — მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, საქმე კარგად წაგივათ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**თარაზულად:** 5. ღია წირი (მათემ.); 6. სისხლის მიმოქცევის ხელშემწყობი პრეპარატი; 9. იაპონური სამოსელი; 10. ერთერთი ფიგურა (ნახატი) ბანქოში; 11. ... ფრეინდლიხი; 13. ჯარების მართვის ორგანო; 15. მცენარეული შხამი; 18. ვარდობისთვე; 21. უზარმაზარი გადაშენებული ქვეწარმავალი; 22. სამკელი იარაღი; 23. სესილია თაყაიშვილის კინოროლი.

**შვეულად:** 1. ქალის თავსაბურავი; 2. სოფელი საგარეჯოს რაიონში; 3. მუსიკოსშემსრულებელთა ოთხეული; 4. ნოეს ...; 7. ქიმიური ელემენტი, ლითონი; 8. გულყვითელა (მგალობელი ფრინველი); 12. უმაღლესი სასწავლებლის მოსწავლე; 14. ხის ზღაპრული ბიჭუნა; 16. ახალი წელი გურიაში; 17. სახურავი მასალა; 19. ...-დიდება; 20. ცეცხლის ღვთაება ინდუიზმში.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*





## მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები




მალე! მალე! მალე! მალე!

„ახალ თაობასთან“ ერთად

ტომი 4

ფრანგული ზღაპრები

მათთვის, ვინც ვერ მოახერხა წინა სამი ტომის შეძენა




20 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 1 ამერიკული ზღაპრები




24 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 2 ჩეხური ზღაპრები




27 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 3 ბრაზილიური ზღაპრები


## ნინო სურგულაძე მსოფლიო პრემიერას იმღერებს

ეკა ირემაშვილი

23 სექტემბერს ალექსი მაჭავარიანის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით დიდ საკონცერტო დარბაზში საიუბილეო საღამო გაიმართება. როგორც კომპოზიტორის ვაჟი, დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი აცხადებს, მთელი სექტემბერი სხვადასხვა კულტურული ღონისძიებით არის დატვირთული. პირველი ღონისძიება, რომელიც ალექსი მაჭავარიანის იუბილეს მიეძღვნა, კონსერვატორიაში გაიმართა. ამჯერად კომპოზიტორის შემოქმედების თაყვანისმცემლები დიდ საკონცერტო დარბაზში შეიკრიბებიან. ამ ღონისძიებაზე, ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, ბილეთები არ გაიყიდება და მასზე დასწრება მხოლოდ მოსაწვევებით იქნება შესაძლებელი.

ამ კონცერტთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის კანცელარიის დარბაზში კონცერტში მონაწილეები ჟურნალისტებს შეხვდნენ.

— გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის, არაერთი პრემიისა და ჯილდოს მფლობელის ალექსი მაჭავარიანის 100 წლის საიუბილეო კონცერტში მონაწილეობას ჩვენი ორკესტრიც იღებს. ჩვენთვის დიდი პატივია, რომ ამ საიუბილეო ღონისძიებაში ვართ ჩართული, — აღნიშნა ოპერისა და ბალეტის თეატრის ხელმძღვანელმა გიორგი ჟორდანიამ.



ალექსი მაჭავარიანის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ოპერისა და ბალეტის ორკესტრი და საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი შემსრულებლები — ლადო ათანელი და ნინო სურგულაძე. კონცერტს ვახტანგ მაჭავარიანი უდირიჟორებს.

— 23 სექტემბერს ალექსი მაჭავარიანი 100 წლის ხდება. ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში მერიის ეგიდით ტარდება კონცერტი და მასში მონაწილეობს ოპერის ორკესტრი და სოლისტები ნინო სურგულაძე და ლადო ათანელი, მე ვდირიჟორობ. ამ კონცერტზე შესრულდება ოთხი საბალეტო სიუიტა. მამას აქვს ოთხი ბალეტი. ეს არის „ოტელო“, ოტელოდან მეორე სიუიტა, იმღერებს ნინო სურგულაძე და ესეც იქნება პირველი შესრულება ანუ მსოფლიო პრემიერა, არასდროს შესრულებულა გერტრუდას მონოლოგი ოპერიდან „ჰამლეტი“ და ამის შემდეგ შესრულდება ბალეტი „ჭირვეულის მორჯულებიდან“ სიუიტა. პირველი განყოფილება მთლიანად შექსპირისეულია — „ოტელო“, „ჰამლეტი“ და „ჭირველის მორჯულება“. მეორე განყოფილებაში სულ ქართული თემატიკა იქნება წარმოდგენილი. შესრულდება სიუიტა ბალეტიდან „ფიროსმანი“, ამის შემდეგ ლადო ათანელი იმღერებს ორ სიმღერას, ერთი არის ხალხურ ტექსტზე „გოგოვ, შავთვალა“, ხოლო მეორე — ილია ჭავჭავაძის ტექსტზე. ამის მერე საბოლოოდ იქნება „ვეფხისტყაოსნიდან“ ნესტანის წერილი ბალეტიდან „ვეფხისტყაოსანი“ და ფინალი „ვეფხისტყაოსნიდან“. ნესტანის წერილს იმღერებს ნინო სურგულაძე, შემდეგ ორკესტრი გააგრძელებს ამ ბალეტის ფინალს, — განაცხადა ვახტანგ მაჭავარიანმა.

როგორც ლადო ათანელმა და ნინო სურგულაძემ განაცხადეს, მათთვის დიდი პატივია ალექსი მაჭავარიანის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ კონცერტში მონაწილეობა და მისი ნაწარმოებების შესრულება.

— ამ მნიშვნელოვან საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამოიცა სპეციალურად კრებული, რომელიც მთლიანად ალექსი მაჭავარიანის შემოქმედებას ეძღვნება. მიგვაჩნია, რომ ის იმსახურებს ამას, რადგან სამუსიკო სფეროში ალექსი მაჭავარიანი ერთ-ერთი გამორჩეული და ორიგინალური ხელწერის ავტორია, — აღნიშნა მერიის წარმომადგენელმა ანი ლაღიძემ.

ვახტანგ მაჭავარიანის თქმით, 30 სექტემბერს რუსთაველის თეატრში კვლავ ოპერის ორკესტრი დაუკრავს. ღონისძიება დაიწყება ალექსი მაჭავარიანის ოპერა „ჰამლეტიდან“ ჰამლეტის მონოლოგით და ესეც პირველი შესრულება იქნება. მას ანზორ ხიდაშელი იმღერებს. კონცერტზე შესრულდება პატარა სიმფონიური ნაწარმოები — „ფრესკა“ ვეფხისტყაოსნიდან. ლადო ათანელი იმღერებს 5 მონოლოგს ვაჟა-ფშაველას სიტყვებზე. ამ ნაწარმოების შექმნისთვის ალექსი მაჭავარიანმა რუსთაველის პრემია მიიღო. მეორე განყოფილებაში კი წარმოდგენილი იქნება მეხუთე სიმფონია სახელწოდებით „უშბა“.


გაგრძელება მე-8 გვერდზე


## ზვიად სიჭინავა: „ასეთი დონის ტურნირის ჩასატარებლად ჯერ მზად არ ვართ“

გასული კვირის განმავლობაში, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა და გენერალური მდივანი რევაზ არველაძე დუბროვნიკში, უეფას წევრი ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციების პრეზიდენტებისა და გენერალური მდივნების სამუშაო შეხვედრაზე იმყოფებოდნენ.

შეხვედრის მონაწილეებმა არაერთ საინტერესო საკითხზე იმსჯელეს. ერთ-ერთი მთავარი კი, ევროპის 2020 წლის ჩემპიონატის რეგიონალური პრინციპით ჩატარება და მასპინძელი ქვეყნების ქალაქების განაცხადებისა და წინადადებების მიღება იყო. აქვე გეტყვით, რომ დიდი სურვილის მიუხედავად, საქართველოს განაცხადი არ შეუტანია.

**ზვიად სიჭინავა:**

— ჩვენ ბევრი რამე გავითვალისწინეთ და შესაბამისად, განაცხადის შეტანაზე თავი შევიკავეთ. უპირველესად, ჩვენ ანგარიში გავუწიეთ რეგიონალურ პრინციპს. ის მდგომარეობა კი, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაშია, ნამდვილად არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ევროპის ჩემპიონატს ვუმასპინძლოთ. აქ საუბარი მხოლოდ ერთ თამაშზე კი არა, ერთი ჯგუფის მასპინძლობაზე იყო. ჯგუფი კი, ეს უკვე 4 გუნდია და 6 თამაში, რასაც მინიმუმ ორი სტადიონი, 4 სავარჯიშო მოედანი და სხვა ძალიან მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული თუ ადამიანური რესურსი სჭირდება. ჩვენ მხარი დავუჭირეთ რეგიონალურ პრინციპს და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი აზერბაიჯანელი კოლეგები მიიღებენ ჩემპიონატის მასპინძლობის უფლებას, რადგან ბაქოში მართლა ყველაფერი მზადაა და ეს ქალაქი უმაღლეს დონეზეა განვითარებული — სტადიონები, სასტუმროები, აეროპორტი და სხვა... თუმცა, ჩვენთვის საინტერესო და მნიშვნელოვან სხვა თემებზე იყო სერიოზული საუბარი და ალბათ, იანვარში, როცა ჩვენ კიდევ ერთხელ შევიკრიბებით, არ არის გამორიცხული, ქართველი გულშემატკივრებისთვის ძალიან საინტერესო და სასიხარულო სიურპრიზით დავბრუნდეთ. საუბარია, საკმაოდ მაღალი დონის ერთ-ერთ ტურნირზე. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ უეფა ჩვენს სასარგებლოდ გადაწყვეტს. ევრო 2020-ს რომ დავუბრუნდეთ, ამ თემაზე, ცხადია, ყველაზე დიდხანს ვმსჯელობდით. ჩემი ვარაუდი შემიძლია გითხრათ, რომ ჩემპიონატს აუცილებლად წაიღებენ გერმანიის, თურქეთის, იტალიის, ესპანეთის, პორტუგალიის, ინგლისის, ჰოლანდიის, სკანდინავიის ქვეყნებიდან ერთ-ერთისა და აზერბაიჯანის ქალაქები. ბალტიისპირეთის ქვეყნებმაც თავად თქვეს უარი. ჩვენს მსგავსად, ისინიც არ არიან მზად, ასეთი დონისა და მასშტაბის ტურნირის ჩასატარებლად.



მ. ყ.